

# ლიტერატურული საქართველო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# საქართველო

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРЛИ САКАРТВЕЛО

18 მარტი 2022წ. №3 (4038) გამოცემის 91-ე წელი უახლოესი 1 ლარი

## Слава Україні! Героям слава! სად არის გამოსავალი?

ომს ერთი მიუცილებელი თვისება ახასიათებს – იწყება და აღარ მთავრდება. რამდენი ომიც დაიწყო, არცერთი არ დამთავრებულა. ყველა ომი უსასრულოდ გრძელდება. ყველა ომი ერთმანეთის გაგრძელებაა...

უკრაინაში 24 თებერვალს, გამთენიისას დაიწყო რუსეთმა ომი, უფრო სწორად, განაახლა ის, რაც მიმდინარეობდა 2014 წელს, რაც მიმდინარეობდა სტალინის დროს, რაც მიმდინარეობდა ბოგდან ხმელნიცკის დროს, რაც მიმდინარეობდა მუდამ – ლიად თუ ფარულად, პრაქტიკულად თუ ფსიქოლოგიურად.

რუსეთის პრეზიდენტს ეგონა, ორ დღეში აიღებდა კიევს; ჩვენ გვეგონა, რამდენიმე დღეში შეაჩერებდა რუსეთი ნარუმატებელ ომს; მსოფლიოს ეგონა, სანქციებით მოაგონიერებდა აგრესორს. არცერთი პროგნოზი არ გამართლდა. ომი გრძელდება. იბომბება კიევი, ხარკოვი, მარიუპოლი, ხერსონი, მელიტოპოლი, ზაპოროჟიე, სუმი, ოდესა, ლვოვი... სამი მილიონი ლტოლვილი გავიდა უკრაინიდან. როგორც ამბობენ, ზარალის აღსადგენად უკრაინას ნახევარი ტრილიონი აშშ დოლარი დასჭირდება. კატასტროფა შეუქცევადია.

მთელი მსოფლიო სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, ეხმარება, ამხნევებს. რუსეთის უვადო მმართველი პუტინი ატომური ბომბის გამოყენებით იმუქრება. არის ამ მრისხანებაში რაღაც ფატალური, პროვიდენციული, მონოლოიდური. დოსტოევსკის ვერსილი არ ამბობს „ყმანვილში“, ნებისმიერი რუსი რომ გადაფხიკო, მონღოლს აღმოაჩენო.

სად არის გამოსავალი?


დარწმუნებული ვარ, გამოსავალი ისევ რუსეთშია, სადაც, მიუხედავად სასტიკი რეჟიმისა, უკვე დაიწყო ორად გახლეჩის პროცესი: იქით მილიტარისტების უმრავლესობა, აქით ანტიმილიტარისტების უმცირესობა. რუსეთში ომის მომხრეთა რაოდენობა ყოველთვის გადაჭარბებს მშვიდობის მომხრეთა რაოდენობას, მაგრამ ერთი რამ არ დაგვავინწყდეს, ჭეშმარიტება მომხრეთა რაოდენობით არ იზომება.

ამ ოთხიოდე დღის წინ მილიტარდობით ადამიანის საქმე გააკეთა ერთმა რუსმა ჟურნალისტმა მარინა ოვსიანნიკოვამ. რუსეთის პირველ პრობაგანდისტულ ტელეარხზე „ვრემიას“ საინფორმაციო გამოშვებისას მოულოდნელად გამოჩნდა ეკრანზე და გამოიტანა უკრაინაში ომის სანინალმდეგო ბანერი, რომელზეც ეწერა: „არა ომს“ შეაჩერე ომი“, არ დაუფეროთ პრობაგანდას. აქ გატყუებენ! რუსები ომის წინააღმდეგ“.

ამაზე მეტი რა უნდა გაეკეთებინა ერთ მამაც ადამიანს, კარგ რუსს. ჭეშმარიტების, სიმართლისა და სამართლიანობის პრესტიჟი დაიცვა. და ახლა მას ციხე ემუქრება.

სხვათა შორის, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მადლობა გადაუხადა მარინა ოვსიანნიკოვას. მის შესახებ უფრო ფართოდ პაატა ნაცვლიშვილისგან შეიტყობთ ჩვენი გაზეთის მე-9 გვერდზე. ომი კი გრძელდება. უკვე ოცდამეორე დღეა.

ვაჟა ზეთინელი



## დაბრუნება საოპერო სცენაზე

ვაჟა ძიგუა

ხანგრძლივმა, გაუთვალისწინებელმა პაუზამ დაისადგურა საქართველოს თეატრალურ სივრცეში. სცენას მონატრებული ქართველი მსახივრების არტისტული ნაჭურა ჭირისუფლის როლის მორგებას არც ფიქრობდა. დიდი დავით კლდიაშვილის ბრძნული შეგონებისა არ იყოს, ხმლის მოქნევას ხომ „მოთმინება და იმედი“ ჯობს, მაგრამ მოლოდინის უსასრულობა ჩუმი პროტესტის მუხლს ძალაუვნებურად აღვივებს.

ეს განწყობილება რეფრენად გასდევდა ამას წინათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილ სპექტაკლს – იტალიური საოპერო სტილის ვერიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ნარმომადგენლის რუჯერო ლეონკავალოს (1858-1919) „ჯამბაზებს“. მსმენელი სუნთქვაშეკრული ისრუტავდა ლეონკავალოს ემოციებით მოვარაყებული პანგების მდინარეებს, იძირებოდა მელოდიური ოკეანის ლაბირინთებში და იბრუნებდა რწმენას, რომ ვერანაირი დროებითი ვაკუუმი ვერ ჩაკლავს ქართველ ხალხში ხელოვნების სიყვარულს და ახლის შექმნის გენეტიკურად მომადლებულ ნიჭიერებას.

დასასრული მე-2 გვ.

ანზორ სალუქვაძე – 90

## იასაენის ჩაინდი



ბუნებით არისტოკრატი, ხასიათით ჰუმანისტი, შემოქმედებით რომანტიკოსი. ასეთი ჩანდა, ასეთს ვიცნობდით, ასეთად დარჩა მესხიერებაში – ანზორ სალუქვაძე, ოდია, როგორც ყველა მეგობარი და ახლობელი ეძახდა.

პოეტი, პროზაიკოსი, სცენარისტი. ნატიფი გემოვნებითა და ლირიკული სიღრმით გამორჩეული, ავტორიტეტული შემოქმედი, ღირსების დამფასებელი მოყვასი და მეგობარი – ეს არის მისი ზოგადი შტრიხები, რომლებიც ალბათ არასოდეს გახუნდება, რადგან იყო ამ შტრიხებში ბუნებრიობა, ნამდვილობა, ღირებულება.

ბევრ სახასიათო თვისებას ატარებდა. გამოკვეთილი ინდივიდუალისტი იყო, ანაქორეტის ნიშნებით. მისი მდუმარე, ფიქრიანი სახე უფრო მეტს მეტყველებდა, ვიდრე ათასი ყბედის ოქროპირობა. ამითაც იქცევა ყურადღებას. ფარისევლებისა და უთვისებო კაცების სიახლოვეს არასოდეს გვინახავს, რადგან უშუალო, „თვისებათა“ კაცი იყო. მართალია, არტისტულობა მასში ჭარბად იყო, მაგრამ სიმძიმის ცენტრი არტისტულობისა და სიმშვიდის ზღვარზე ჰქონდა გადატანილი, მისი სიტყვიდან კი გამოსჭვავოდა ფორმისა და აზრის ჰარმონია, სინთეტურობა, ბუნებრივ ასოციაციათა სინრფელე და სინატიფე, სემანტიკური სისავსე, სისრულე, სიზუსტე.

ისეთი მეტაფორა ჰქონდა, ფსიქოტროპული დანიშნულებითაც გამოდგებოდა.

„პოეტი იყო და უყვარდათ, როგორც ნამდვილი პოეტი. არც არსებობთ შეუნუხებია გარეშენი, არც მგოსნობით, არც პირადი ტრაგედიით“ (რეზო ჭიჭიკილი).

იასამანი იყო მისი სულის გამოხატულებაც, სახისმეტყველებაც, სინრფელისა და უკვდავების ნიშანიც.

მართლაც სევდა, ტკივილი, გაუშხელებელი დარდი იყო მისი პირადი და სულიერი ცხოვრების თანამგზავრი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ დიდი ღირსებით ატარა ეს სიმძიმე.

ლამაზი, მართალი სულის ადამიანი, შემოქმედი და მოქალაქე იყო. იცხოვრა ღირსებისათვის, სიყვარულისთვის, სიცოცხლისათვის – ისე, როგორც ფატალურმა რაინდმა.

ივანე ამირხანაშვილი

თაშთა მელაშვილის რომანი  
  
მარინა ტურავას რაცხანია  
83.3

რეზო ჭიჭიკილის გახსენება  
  
ვაჟარ კვიციანიშვილისგან  
83.4

„ლს“ – დილოგებიდან  
  
გ. ბოგოლაშვილი ა. ჩხიკიძე  
83.5

გივის „გაბლი“  
  
გიორგი შარვაშიძე  
83.6-7

ივანე ვაულ ცელანი  
  
რეზო ზინინაშვილის ნაჩილი  
83.11

პირველი გვერდიდან

„ჯამბაზების“ პრემიერა მილანის თეატრში 1892 წელს შედგა. ხანმოკლე დროში ოპერამ მსოფლიოს ყველა სკენა მოიარა და დღემდე მკვიდრად მსოფლიო რეპერტუარში. ნიშანდობლივია, რომ ამ ოპერის დადგმა საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა, 1893 წელს განახორციელა. საგულსხმია ის ფაქტიც, რომ 1892-93 წლების სეზონში ქართული თეატრი სახელმწიფო მსახიობის, ანტრეპრენიორ მაკო საფაროვა-აბაშიძის ხელთ იყო. ამ დროიდან მოყოლებული „ჯამბაზები“ თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარს მუდმივად ამშვენებს.

ამ საოპერო ქმნილების ბოლოდროინდელი ინტერპრეტაციის განახლებულ ვერსიას ეფუძნება ჩემი შთაბეჭდილებანი, რაც მინი-რეცენზიის სახით ჩამოყალიბდა. ალბათ, მუსიკოსები არ გამოიწვევდებიან, თუ საოპერო სპექტაკლის შეფასებას ქართული სცენის ცოცხალი კლასიკოსის, თემურ ჩხეიძის რეჟისორული ნამუშევრით დავინყებ. „ჯამბაზების“ მუსიკა და ლიბრეტო (ლიბრეტოს ავტორი ც ლეონკავალო) იმ მცირერიცხოვან საოპერო ქმნილებათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ერთ სინთეზშია მოქცეული, ორგანულადაა გადაჭიმული მუსიკალური და სასცენო ქმედება. საერთოდ, ვერისტებმა იცოდნენ, რომ გრძლიობები, გაჭიანურება თეატრში მონყენილობას იწვევს, „მოსანყენი თეატრი კი ყველაზე ცუდია“ (ვერდის სიტყვებია).

თემურ ჩხეიძის რეჟისორული გააზრების ამოსავალი წერტილი იყო სცენური დინამიკის მუსიკალურ ექსპრესიასთან შერწყმა – სიმღერასთან ერთად თამაშის სრულყოფილების, პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს მთელი სისხავით წარმოჩენის გზით ჩანვდომოდნენ კომპოზიტორის ჩანაფიქრს. სოლისტების გარდა, მოხეტიალე დასისთვის საგანგებოდ მოწყობილ სასცენო მოედანთან იკრიბება მაყურებელი, რომელიც კომედიანტების მიერ ჩამოტანილ წარმოდგენას მუდამ ინტერესით ეგებება. მაყურებლები, ანუ მასობრივი სცენის მონაწილე, უშუალოდ ერთვებიან განვითარებულ მოვლენებში. რეჟისორმა ოსტატურად დაანყენა, ჩვენი წარმოსახვაში გააცოცხლა ის მამოძრავებელი ძარღვი, რაც ერთ მთლიანობაში მოაქცევს სცენასა და დარბაზს. ამის მიღწევა გამომსახველი, მაგრამ უაღრესად სადა ხერხებით მეტად რთულია.

ამ ამოცანის ეფექტურად დაძლევა დიდწილად განაპირობა გოგი არქესი-მესხიშვილის სცენოგრაფიამ. არცთუ ხშირად მინახავს (არა მხოლოდ საოპერო, დრამატული თეატრის სცენაზეც) რეჟისორისა და მხატვრის ესოდენ საუცხოო ტანდემი. არც ერთი გაუმართლებელი, ზედმეტად მისადაგებული დეტალი – აქ არაფერი არ გეხამუშებათ. სცენა თითქმის განძარცულია, რითაც განუსაზღვრელი თავისუფლება ეძლევა მსახიობს: რამდენიმე შტრიხი, ისიც მინიშნებით, უკვე ქმნის სათანადო განწყობილებას. ამგვარი „აკადემიური ლაკონიზმის“ ჩარჩოშია მოქცეული ის დიდი სულიერი ქარტეხილები, რითიც დამუხტულია ლეონკავალოს საოპერო ქმნილება.

ეს მონაპოვარი დამდგმელი დირიჟორის, სპექტაკლის მუსიკალური მესაჭის ზაზა აზმაიფარაშვილის დამსახურებაა, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მუსიკის მელოდიურ მხარეს. საორკესტრო ორკესტრი უკრავდა რბილად და არ ახშობდა ვოკალის ხმოვანებას, იმავდროულად, სრულყოფილად გადმოსცემდა ლეონკავალოს ოპერის მძაფრი, მღელვარე, ხატოვანი პარტიტურის კოლორიტს. ყველა დირიჟორს შესტიკულაციის თავის ბუნებისთვის დამახასიათებელი სტილი უმუშავდება, რითიც გადმოსცემს საკუთარ ჩანაფიქრს, შინაგან განცდებს, სადირიჟორო მეტყველება მისი სულის გამოხატულებაა. ზაზა აზმაიფარაშვილი პირად ცხოვრებაში უაღრესად კორექტული, განონასროებულია. ასეთია სადირიჟორო პულტანაც. ხელოვნურად „აღვზნებული პათოსი“ მისთვის საგვებით

უცხოა. მას ნაწარმოების ღრმა იდეურობა, დრამატული დაძაბულობა ხელეების ზომიერი მოძრაობით და ჩამოქნილი შესტი-მიმიკით მიაქვს მსმენელამდე.

ლეონკავალოს ოპერის მთავარი გმირი – კანო განასახიერა სახალხო არტისტიმა თემურ გუგუშვილმა, რომელიც დიდი ხანია აოცებს როგორც ქართველ, ასევე მსოფლიოს საოპერო ხელოვნების თაყვანისმცემელს არა მხოლოდ კარგი სიმღერით, არამედ ხმის ახალგაზრდული უღერადობის ხანგრძლივობით, ტემპრის პირველქმნილი სილამაზის შენარჩუნებით, რაც მომღერლის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის გზაზე ერთობ უნიკალურია. „ჯამბაზები“ მეორე სალამოსაც წარუდგინეს მაყურებელს. გაცემა კიდევ უფრო გაზარდა იმ ფაქტმა, რომ ესოდენ რთულად შესასრულებელი პარტია კვლავ წირმუცვლელად შესასრულა თემურ გუგუშვილმა. სხვა რა უნდა ვუნოდოთ ამ მოვლენას, თუ არა ვოკალური ფენომენი!..

კანოს სახე ცენტრალურია ოპერაში, მასთან არის დაკავშირებული ამბის განვითარების ძირითადი ხაზი. კომპოზიტორმა მისთვის არ დაიშურა ფერების სიჭარბე, ადამიანურ განცდათა სიმძაფრე, რასაც ლირიკულ-გროტესკული შტრიხებიც შემატა, რითაც კანოს მრავალნახნაგოვანი ხასიათი გამოკვეთა. გმირის პორტრეტის ეს მხარეები გააზრებულად მოიტანა მაყურებელამდე თემურ გუგუშვილმა: კანო – თავდავინყებით შეყვარებული ქმარი, კანო – ეჭვიანობით შეპყრობილი, კანო – თავისი ადამიანური ღირსებების შელახვით შეურაცხყოფილი შურისმაძიებელი.

ორატორულად ზეანეულ არიოზოში, სადაც კანო-გუგუშვილი სალამოს წარმოდგენაზე ეპატიყება შეკრებილ საზოგადოებას, გმირის სახის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იყო ხაზგასმული: კანო პროფესიონალი მსახიობია, ჯამბაზი, რომელიც ვალდებულია, მუდამ მხიარული იყოს. მომდევნო არიოზო, რომელსაც „კანტაბილე“ უწოდებენ, თემურ გუგუშვილის შესრულებით აღსავსე იყო უიღბლო, მაგრამ უსაზღვროდ შეყვარებული ქმრის წრფელი გრძობებით. გმირის განწყობილების ცვლა შესანიშნავად მოქონდა მომღერალს არიოზოში, რომელიც ვითარდება გამომსახველი ლირიკული კანტილენიდან (პირველი ნაწილი), მუქარითა და მრისხანებით გაჯერებულ, დაძაბულ რეჩიტატიულ ნამოძახილებამდე... ..მაყურებელი თავს იყრის. კანო ემზადება სცენაზე გამოსასვლელად. ეს მის ძალებს აღემატება, მაგრამ ასეთია პროფესიონალი კომედიანტი-მსახიობის ბედი – უნდა ითამაშოს... ამ სცენაში თემურ გუგუშვილის გმირი დრამატულ სიმაღლებს სწვდება: „განა შენ ადამიანი ხარ? არა, მხოლოდ ჯამბაზი!“ ეს სულის ყვირილი კულმინაციას აღწევდა ცნობილ არიოზოში – „იციენ, ჯამბაზო!“

კანოს ორი არიოზო: „არა, არა ვარ ჯამბაზი“ და „იმედი მქონდა“ – გმირის თავისებური აღსარებაა, სადაც თემურ გუგუშვილს გაცრუებული იმედების სიმწარე, გახლენილი გულის კენესა მოქონდა მსმენელამდე.

„ჯამბაზები“ ერთგვარ საბენეფისო წარმოდგენად გადაიქცა თემურ გუგუშვილისთვის. სოლისტებმა ჩინებული პარტნიორობა გაუწიეს კოლეგას. საგაზეთო ფორმატის გამო მოკლებული ვარ, დეტალურად შევხვო მათ. ნამუშევრებს, მაგრამ ვიტყვი, რომ სულხან გველეხიანის (ტონიო), ირინა თაბორიძის (ნედა), ვახტანგ ჯაშიაშვილის (სილეო) და თამაზ საგინაძის (არლეკინი) პერსონაჟებმა ვოკალური და აქტიორული სინთეზით შეძლეს მომთხროვი საოპერო მაყურებლის გულის მონადირება.

ოდიოგანვე და დღესაც ქვეყნის მალაქი კულტურის განმსაზღვრელია ნელგამართული თეატრი, მათ შორის დომინანტურია საოპერო ხელოვნება. საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე სიამაყით ატარებს ხელოვნების ფლაგმანის სახელს, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მიმდინარე წლის დამლევს წარმოდგენილმა ლეონკავალოს „ჯამბაზებმა“.



# და ის, რის გამოს არ პართ მოსლილი

ეს ნიგნი ისეთი ცოდნითა და გემოვნებით არის დანერილი, იმდენი საინტერესო რამ არის ნათქვამი ვაზის, ვენახისა და ღვინის შესახებ, რომ გრძნობ ყურძნის გემოს, ყურში ჩაგვსმის მატრის უშუშური და ღვინის მათობულად სურნელი მოდის საიდანლაც. „ვაზი მინიდან ამოზრდილი გენია – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭია, რომელიც ცისა და მიწის ღვთიური კავშირიდან მოველინა ძეხორციელს... ვაზი თავადვე შემოქმედებითი პროცესია, დაუსრულებელი და ისეთივე მარადიული, როგორც დაუოკებელი სწრაფვა ჭეშმარიტების შეცნობისკენ... ვაზი სიცოცხლის, სილამაზის, ტრფობის, სიმღერის, ბარაქიანობის, სიმარათისა და უძლეველობის, ყოველივე ციურისა და მინიერის ერთიანობის მარადიული სიმბოლოა... გახსოვდეს, რომ ვაზი ქართველთა კოდაა, ამიტომაც გვიყვარდეს შვილივით ნაზარდი ეს კეთილშობილური მცენარე, ვიზრუნოთ მისი მოშენებისა და გაზრდისათვის, მოვეფეროთ და გადავარჩინოთ, შევიცნოთ და გავიზაროთ ვაზი – დვრიტა ჩვენი ცნობიერებისა“.

ეს არის მიმართვა ახალგაზრდა მკითხველისადმი. დასკვნითი აკორდი. ნიგნის ბოლოსიტყვა.

„ვაზო, შვილივით ნაზარდო“. ნიგნი ახალგაზრდებისთვის და ყველა იმისთვის, ვისაც აინტერესებს ქართული ვაზის ათიათასწლოვანი ისტორია და მისი დღევანდლობა. ენციკლოპედიური ხასიათის ამ პოლიფონურ ნიგნში შეიტყობთ ყველაფერს, რაც უკავშირდება ვაზისა და ღვინის ისტორიას, ვაზის გაშენებისა და მოვლის საკითხებს, ყურძნის დანურვის, ღვინის დაყენებისა და შენახვის საიდუმლოებებს, ვაზის სიმბოლიკას ქართულ ფოლკლორსა და ყოფა-ცხოვრებაში, ძველ ბერძნულ მითოლოგიასა და ბიბლიაში, ჩვენს თანამედროვეობასა და ისტორიაში. გაეცნობთ ცნობილი ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების პორტრეტებს, ვაზის ენდემური ჯიშების გავრცელების ისტორიას საქართველოს კუთხეებში: კახეთში, ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში, მესხეთში; გაიგებთ, რა არის მალღარი, ოლიხნარი, დაბლარი; როგორ ხდება ვაზის გამრავლება, მყნობა, გასხვლა და ა. შ. შეიტყობთ ღვინის ტექნოლოგიური პროცესების შესახებ, პრესტიჟულ და ფალსიფიცირებულ ღვინოებზე, მარნის, ქვევრისა და სუფრის კულტურაზე, ღვინის კვებით და დიეტურ თვისებებზე, ყურძნის „დედოსა“ და ზედაშეზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც ვაზის თემას უკავშირდება.

ნიგნის ავტორ-შემდგენელია სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი თეიმურაზ ლლონტი, იდეის და პროექტის ავტორი – დოდო ნივნივაძე, რედაქტორი ელზა მეტრეველი; მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე, დიზაინერ-დამკაბადონებელი თამარ ნინიკაშვილი. გამომცემლები: საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემი“ და საბავშვო გამომცემლობა „დილა“. დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“. გამომცემლები განსაკუთრებულ მაღლობას უზდიან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ცენტრის თავმჯდომარეს, ქუთათელ-განათელ მიტროპოლიტს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემის“ თავმჯდომარეს, აკადემიკოს იოანე გამრეკელს ნიგნის გამოცემაში განეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

## ვანო ჩხიკვაძე მოხუცი თოჯინა - ვაზი

ვერ კიდევ ნუხელ, ბაფთის პეპელით, თმაწაწული და სუფთა, მოვლილი, გდია ნანგრევში მომფერებელი ხელების სითბოგამოყოფილი.

ახსოვს, გოგონას გვერდით ეწვინა, მერე რაც მოხდა, რისთვის ან რატომ – ლოდებში ჩაჰყვა მკლავი თოჯინას, ხელიც არ უჩანს ჩამარხულ პატრონს.

ვიდრე მწუხარე დროშებს დახრიან, მოისხენებენ სულებს, ნანამებს, გაცეცხული, შიშით თვალღია ნევის, წვიმის ცრემლი სცივია ნანამებს.

ვიდრე სინათლეს კორტნის უკუნი, რომ ჯოჯოხეთის გზებით იარო, ვიდრე კანის ქვა დაზუზუნებს, მშვიდად როგორ ხარ, ადამიანო!

როგორ ისვენებ, როცა ჰადესმა ლამის ზესკნელიც დაიმორჩილა, როცა ნანგრევში გოგოს დაედებს დამწუხრებული მუნჯი თოჯინაც.

ფრთხილად, მსოფლიო! ხვალაც იბარტყებს, ვინც ძალადობას ძეგლი დაუდგა, ღმერთო, შენ მაინც ჰკითხე „პილატეს“, ბავშვებს ძმათამკვლელ ომში რა უნდათ!

იფხიზლე, ვიდრე მახვილს შეიბამს, ვიდრე აუშვებს ბრძოლის ფანფარებს, ვიდრე მდუმარე, ნატანჯ ხეიბარს, ცვილის თოჯინას არ დაგამგვანებს!..

ეჰ, დედამინაე, შავი მანდილი ჩამოგაფარა ისევ გლოვის ხმამ, უფლის ვალთიდან გადმოვარდნილი, შენც ეს თოჯინა რატომ მგონიხარ?!

თბილისი, 16.03. 2022



გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2022 წლის პირველი ნომერი. უწინა დღის იხსნება მაცვალა მიქელაძის მრავალმხრივ საინტერესო ესეთი „საუკუნეებს გადმოყოფილი შავი მანდილი მეფე თამარისა“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: ფიქრია ყუშიტაშვილის, შალვა საბაშვილის, თინათინ თელაველის, დარეჯან ჭანკოტაძის, ლულა კურტანიძის, გიორგი ზუბიტაშვილის, ჯემალ შანიძის ლექსები; ლანა მანველის რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), ვანო ჩხიკვაძის, მარიამ ძამუკაშვილის, როლანდ გიორგაძის, ვაჟა მიროტაძის მოთხრობები.

რუბრიკაში „ბავშვებისთვის საკითხავი“ გაეცნობთ მიხო მოსულოშვილის საბავშვო პიესას „ოფოვების თეატრი“ (დასასრული) და ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსებს. რუბრიკით „სახალხო მთქმელი“ ქვეყნდება ფიროზ კოჭლამაზაშვილის ლექსები. „თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობთ ვვგენი ვოდოლაშკინის მოთხრობას „ასეთი განსხვავებული დაკრძალვები“.

რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ: ნუნუ ძამუკაშვილის „წოდარ იაგორაშვილის პოეტური ნათელხილვა“. გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მხატვარ ლევან მოსიაშვილის ნახატი. ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

მარინე ტურავა

1 უკვე თამამად შეიძლება საუბარი XXI საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებზე და განვითარების თავისებურებებზე. ნინა საუკუნის ბოლო ათწლეულების მსგავსად, იგი ხელსეხიანობითა და ახალი გამოცემების, ავტორების სიჭარბით გამოირჩევა. ბოლო 30-40 წლის ქართულ მწერლობას, ერთი მხრივ, ცენზურის არარსებობა და ამის გამო მეტაფორულობის, ქვეტექსტურობის აქტუალურობის დაკარგვა, მეორე მხრივ, დანარჩენი სამყაროსადმი სრული ღიაობა, გახსნილობა განაპირობებს.

საბჭოთა პერიოდში ქართველი მწერლები იგავურად ცდილობდნენ სიმართლის თქმას, საკუთარი თავის გამოხატვას. ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და გავლენა იქონია მთელი XX საუკუნის ლიტერატურაზე: თავისუფლებამ, სრულ-მა უკონტროლობამ, პოზიტიურ-თან ერთად, ნეგატიური შედეგიც მოიტანა: უნიჭობის, უგემოვნების მოძალევა გამოიწვია. თუმცა შეიქმნა არაერთი ლირიკული ტექსტი, გამოიცა მნიშვნელოვანი წიგნები. პოლიტიკა ლიტერატურის სფეროშიც შემოიჭრა, მუდმივი პოლარიზაციისაკენ მიდრეკილმა ქართველებმა, ლიტერატურული პრემიებიც პოლიტიკურ კონსტრუქტურას დაუქვემდებარეთ და არაერთი სამწერლობო საკითხი სწორედ ამ ქრილში მოვაქციეთ.

მეორე მხრივ, არასდროს ყოფილა სამყარო ასეთი გახსნილი, მსოფლიო ლიტერატურა - ასეთი ხელმისაწვდომი. გაჩნდა ახალი თარგმანები, ინტენსიურად და საკმაოდ პროფესიულად ითარგმნა ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები, დაიწყო კლასიკური ტექსტების ხელახალი გადმოქართულება. თარგმანი კვლავინდებურად დიდ ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ლიტერატურულ პროცესებზე, მკითხველის გემოვნებაზე, არამედ ენის ლექსიკურ მარაგზე, გათანამედროვეობაზე.

2 ტრადიციულ ტექსტებზე აღზრდილი მკითხველისათვის უფრო ძნელი აღმოჩნდა თვისებრივად ახალი პროცესების მიყოლა, თუმცა ახალგაზრდებმა, რომლებიც დღესაც ისეთვე ინტენსივობით კითხულობენ, როგორც ადრე, ადვილად აუღეს ალლო თანამედროვე ცხოვრების ამსახველ წიგნებს. უდავოა, რომ დღეს „ბეოფულფზე“ უფრო საინტერესოა, ამ ანგლესაქსური ეპოსით ინსპირირებული ტექსტები - ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის „ჰობიტი“ და „ბეჭდების მბრძანებელი“. ჩვენშიც, ვეროპის მსგავსად, ტექსტი ინტერტექსტუალური და მეტატექსტუალური ავტორმა ჩაანაცვლა.

3 თავისუფლად შეიძლება საუბარი ქართულ პოსტმოდერნიზმსა და მის თავისებურებებზე, ეროვნულ აქცენტებზე. გამოჩნდა არაერთი საინტერესო ქალი-ავტორიც, რომელთა შორის თამთა მელაშვილი გამოირჩევილია. მისი პირველი რომანი „ვათელა“ 2011 წელს გამოვიდა და დებიუტანტებს შორის „საბას“ გამარჯვებული გახდა, თუმცა ეს ახალგაზრდა ქალი მკითხველმა მცირე პროზით გაიცნო. ხმაურისანი იყო ელენე დარიანის მითით შთაგონებული რომანი „აღმოსავლეთით“, რომელიც 2015 წელს გამოვიდა. ბოლო რომანი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“, ტრადიციულად, „სულაკაურის გამომცემლობამ“ დაბეჭდა 2021

წელს და ისიც „საბას“ გამარჯვებული გახდა ერთ-ერთ ცენტრალურ - რომანის - ნომინაციაში. „საბა“ ქვეყნის მთავარი ლიტერატურული პრემიაა, ოპონენტების სიმრავლის მიუხედავად, ის, ნამდვილად, განსაზღვრავს ლიტერატურის ხასიათსაც და მკითხველის განწყობასაც, ამიტომაც მისი გამარჯვებულები და ნომინანტები ყოველთვის იქცევენ კრიტიკოსთა ყურადღებას.

4 წერილის მიზანია, თამთა მელაშვილის რომანის „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ ანალიზი შემოგთავაზოთ. შორს ვარ იმისგან, რომ ბოლო ინსტანციის ან ჩემი მოსაზრების უცილობელი ჭეშმარიტების პრეტენზია მქონდეს, თუმცა ვეცდები, გულწრფელი და მართალი ვიყო. ყოველთვის ძნელია, გამანძილების გარეშე ისაუბრო ლიტერატურულ ტექსტზე. ბევრად უფრო ადვილია გარკვეული დროის შემდეგ, სხვების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, იკვლიო, მაგრამ, ქართული კრიტიკის მისამართით არაერთხელ ნასროლი კენჭი, ქვაც, იმის გამო, რომ ლიტერატურული პროცესის მყისიერი ანალიზი არ ხდება, დუმილის უფლებას არ მაძლევს, მით უფრო, რომ რეციპიენტის კულტურული იდენტობა, ხასიათი, მდგომარეობა, ჩემს შემთხვევაში, კითხვის პროფესიული ნესიც, განსაზღვრავს ტექსტის მნიშვნელობასა და ინდივიდუალურ აღქმას, რომელიც არასდროს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც პოსტმოდერნიზმში. ამ ეპოქისათვის ორგანული მკითხველის დომინანტური ფუნქცია იმის ლეგიტიმაციის მაინც მაძლევს, ერთი ლიტერატურათმცოდნის კონკრეტული, შესაძლოა, ზოგიერთისთვის მიუღებელი, მოსაზრებები შემოგთავაზოთ.

თამთა მელაშვილს პირადად არ ვიცნობ, ჩემი მეგობრების მეგობარიც კი არ არის, ამიტომ ეს მომენტი „ქართულ უხერხულობას“ ამარბობს. ნინასნარი, ფიქსირებული განწყობაც არ მაქვს მის მიმართ, გარდა იმისა, რომ მტკიცედ მჯერა და პროფესიულად ვიცი, „დარიანის“ თორმეტეტივე ლექსის ავტორი პაოლო იაშვილია. ეს ჩვენი მწერლობის კლასიკური ლიტერატურული მისტიფიკაციაა და მისი ავტორის უკან ქალი არ დგას. თუმცა პატივს ვცემ თამთა მელაშვილის გაცხადებულ ფემინისტურ პოზიციას, უფრო მეტიც, ქალი ავტორების მიმართ სოლიდარობის განცდაც მაქვს. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად არასდროს დავწერდი რომანზე „აღმოსავლეთით“.

5 ნაწარმოების კვლევა, როგორც წესი, მისი სათაურით უნდა დაიწყო, მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით დაუბრუნდები. წიგნისთვის მნიშვნელოვანი გამოცემის კულტურა, დიზაინი, ყდა, ჩემს შემთხვევაში, არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან ელექტრონული ვერსია ნავეიკითხვით თამთა მელაშვილი „გამომცემლობა სულაკაურის“ ავტორია. ამ გამომცემლობის წიგნები, ტრადიციულად, მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა. დარწმუნებული ვარ, არც ეს რომანი იქნება გამონაკლისი. ფანების ნომინალიზმის ეპოქაში ნაკლებად იწერება კლასიკური რომანი, რასაც ხშირად დროის დარქარებითა და მკითხველის მოუცლევლობითაც ხსნიან. ჩვენში ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მოდურია ე.წ. მინი/მცირე რომანი, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს ვრცელ მოთხრობასა (novel) და კლასიკურ რომანს შორის. სწორედ

ასეთი მცირე რომანია „შაშვი, შაშვი, მაყვალი“.

ვეცდები, შესაძლებლობის ფარგლებში, არ გავცდე ტექსტს, როგორც დამოუკიდებელ სტრუქტურას და კვლევაც მის საზღვრებში მოვაქციო. პოსტმოდერნიზტული რომანი ივნიყებს დადგენილ ჭეშმარიტებებს, თხრობის ორგანიზებულ

დარდს გადაწყვეა, მაგრამ ეთეროს საკუთარი თავით კმაყოფილების რეცეპტები აქვს: „ქმარს არ გამოუჭამივარ და შვილს და კაი შენახული რატომ ვერ ვიქნები?“ ეს თემა ბევრჯერ და ბევრნაირად ვარიანებს ტექსტში. გათხოვილი ქალი ეთეროსთვის „მონგრეული და ტანდაკარგული“, ცხოვრების-

თი-ძმისშვილის მომელოდა, მოსამსახურედ აღუქვამს, შედამედეგელი მამიდის სიკვდილიც შევინსომავრელია უტყუარად... მინდობდა ქეთო მკვდარი მენახა“.

პაპიდა დომნა კი რომანის ერთი ყველაზე ნათელი სახეა, თუმცა პაპიდას არსად უწოდებს ავტორი მას; მცირე გამოძიების ჩატარებაც კი გჭირდება ნათესაური კავშირის დასადგენად. „რალაც გაცრეცილი ვანცდით“ ენატრება ეთეროს დამენყრილი სოფლის ნაპირზე, დაბრცილ შავ ქონში მცხოვრები დომნა, რომელთანაც სასკოლო ასაკამდე იზრდებოდა. ამ სახლიდან გამოყოფილი მოგონებები „მთელი სამყაროა“ მისთვის, ერთადერთი სამოთხეა დარდიან ყოფაში. დომნას ხატი განსაცდელის უამს ისევ ცოცხლდება. რომანის პოზიტიური ფაბულაციებიც, ძირითადად, ამ პერსონაჟს უკავშირდება. რეალურისა და ირეალურის აღრევა, რაც უმთავრესად ანწყოსა და ნარსულის კოლაჟური გაცოცხლებით ხორციელდება, ტექსტისთვის ბუნებრივია.

მოქმედება 8-9 კვირის განმავლობაში ვითარდება. სწორედ ამ დროში იხსენებს ეთერო რეტროსპექტულად საკუთარ ცხოვრებას. მისი რეფლექსია ქაოტური და არათანმიმდევრულია, რაც სრულიად ახსნადია, მაგრამ ზოგიერთი თემა თითქოს ნაძალადევადა და არაბუნებრივად შემოდის ტექსტში. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია ქუთაისში გატარებული სტუდენტობის წლები. ამ ეპიზოდის გამორჩეული პერსონაჟია მარიკა, რომელთანაც სულიერ ბმას ეთერო დღემდე განიცდის, მასთან განსაკუთრებული გრძნობა აკავშირებს: „ისე მეკვროდი, გული სუ ფეხებშუა მინყებდა ცემას, იქ მიფეთქავდა. ეგრე აფრიალებულს მეძინებოდა და ყველაზე მშვიდად, მაშინ მეძინა ჩემს ცხოვრებაში.“ ამას მოყოლებული უცნაური ნატვრა მარიკას დობისა: „დები არ არიან დედებივით სასტიკები.“ რომანში უამრავი კლიშესა და ნორმის მოშლას აწყობდა მკითხველი, რისი გამოცდილებაც ბოლო ათწლეულებში ისედაც უხვად დაგროვდა.

8 ნაწარმოები პერსონაჟის განცდა-ქმედებათა ფსიქონალიზის საშუალებას გვაძლევს: ბავშვობიდან ეთეროსთვის სამყარო მხოლოდ მტრული გარემოა, ყველას მისი გამოყენება, თავის სამსახურში ჩაყენება სურს. ამიტომაც პალეოზანი უნდა ააშენოს, ცხოვრებას პატარა-პატარა სიხარულები მოჰპაროს, თვითკმაყოფილების განცდასაც თვითონ, მარტო მიაღწიოს, სხეულის ენაც, მამაკაცის გარეშე, უნდა შეითვისოს. გაუთხოვარი, მარტოხელა ქალები-სადმი საზოგადოების მტრულ დამოკიდებულებასაც მედგობდა უნდა გაუმკლავდეს, მაგრამ სიკვდილთან პირისპირ შეხვედრა ეთეროს მიერ აშენებულ ყველა ციხესიმაგრესა და გალავანს ანგრევს და ბუნების კანონს ამარჯვებინებს. თავისი მალაზიის 55 წლის დისტრიბუტორთან ისე ამყარებს კავშირს, ვერც კი ხვდება, ამით რუღუნებით ნაშენებ მშვიდ ცხოვრებას რომ ანგრევს. პირველული სიძლიერის მიუხედავად, ეთეროს ხასიათს სწორედ საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრავს: „ავის სახელი მირჩენია ბოზის სახელს“. ამიტომაც სიახლე სიმშვიდეს უკარგავს, აშფოთებს, არაცნობიერის იმ შრეებში გადაისვრის, სადაც უნებლიეთ საკუთარი პრინციპების მოლაპატე ხდება. აქედან იწყება მისი პიროვნული ფორიატიც, იცვლება მისი შინაგანი მონოლოგი.

►► დასასრული იქნება

# ანგელოზის ხალი

## თამთა მელაშვილის რომანი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“



სწორხაზოვნებას, აფართოებს ენის როლს. ასეა აქაც, რომანის სტრუქტურა, კომპოზიციური მთლიანობა მთხრობელის, ამ შემთხვევაში პერსონაჟის, შინაგან მონოლოგს ემყარება. ცენტრალური და ჩართული ამბებიც 48 წლის ეთეროს რეფლექსიის, ფიქრის, შინაგანი მონოლოგის საშუალებით გვეუწყება. ყველა ამბავი მის ირგვლივ, მისი ჩართულობითა და მისი შეფასებებით ვითარდება, ასეა პერსონაჟების შემთხვევაშიც. ეთერო არის ცენტრალური ფიგურა. ყველა მოვლენა, ამბავი და პერსონაჟი მისი მეშვეობით, მასთან კავშირში ჩნდება ტექსტში. ამ თვალსაზრისით „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ კონტრაპუნქტის პრინციპით ნაგები რომანია.

6 მოქმედება ერთ პატარა ქალაქში, დაბაში, მიმდინარეობს, რომლის სახელსაც ავტორი არ ამხელს. ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი ქალი, შესაძლოა, ყველგან ცხოვრობდეს. ეთეროს ტოპოსის/სამყაროს ცენტრი თერჯოლა და ქუთაისია. თბილისი მისთვის უცხო და საშიში, ბეტონის ტყედ ქცეული ადგილია, სადაც სულ ორ-სამჯერაა ნამყოფი. პროვინციული ქალაქის მოჩვენებით სიმყუდროვეში, სიბერის ტკბილად გასატარებლად მოზადებული ქალი, მოულოდნელად სიკვდილს ჩახედავს თვალეში, რაც მის დაგარცხნის, უშფოთველ, მშვიდ ცხოვრებას (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს თავად - ცხოვრება ხომ ადამიანის სუბიექტური, ინდივიდუალური აღქმის შედეგია) თავდაყირა აყენებს. მძიმე ბავშვობისა და გამწარებული ყმანველქალობის მიუხედავად, თითქმის ნახევარ საუკუნეს მიტანებული იმითაც კმაყოფილია, რომ მოსავლელი არავინ ჰყავს. ჯერ კიდევ პატარა გოგო, შვიდი წლიდან, ძმასა და მამას ურეცხავდა, უკემსავდა, საქმელს უმზადებდა, ულაგებდა. დიდი სახლის დიასახლისობა ისე ადრე არაგუნა ბედმა და იმდენად მძიმე ტვირთად აწვა, ამისაგან განთავისუფლება ბედნიერებას ანიჭებს.

დედა ადრე გარდაეცვალა, არც კი ახსოვს, „უცხო ქალია“ მისთვის, ძმა მოუკლეს („თითქოს ყელში ნაჭერილი ხელი მომშორდა“), მამა

გან გამეტებულია. ქმრიანი ქალის მიმართ გარკვეული უპირატესობის შეგრძნება, მისთვის თვითკმაყოფილების მიზეზია: „საკუთარი თავის პატრონიც და მესაიდუმლევც“ თავადაა. ეს თვითკმარობა, სისავე მისი ხასიათის უმთავრესი შტრიხია.

ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს ნაცნობი ოჯახების, ზოგადად ამ ინსტიტუციის მიმართ. რომანის ყველა ოჯახი ფასადური და ყალბია. ამას თავისი საფუძველი აქვს, ოჯახი არასდროს ყოფილა ეთეროსთვის თავშესაფარი, სიმყუდროვის, დაცულობის გარანტია - მისი ერთიანობა მხოლოდ ასე ნარმოუდგენია: „მინაში მაინც ვიქნებოდით ოთხივე ერთად“. შვებას ჰგვრის, რომ მასთან ერთად დამთავრდება ერთი ოჯახის ისტორია, ის დაუსვამს წერტილს ამ კონკრეტულ მოდგმასა და ჯიშს. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტრაგიკული ამბები თამთა მელაშვილთან დიდი მწუხარებისა და სენტიმენტების გარეშე იკითხება, როგორც ჩვეულებრივი, მოსალოდნელი. ზოგადად, ამ ტექსტისთვის არ არის დამახასიათებელი თხრობის ტონალობის აწევა ან დადაბლება, ნეიტრალურთან მიახლოებული თხრობა განსაზღვრავს მის ტემპორიტმს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცუდად იკითხება. პირიქით, თამთა მელაშვილი კარგი მთხრობელია, წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მაგრამ რამდენად არის მთხრობელობა, თუნდაც ჩვეულებრივი ამბის საინტერესოდ გადმოცემა რომანისთვის საკმარისი? პოსტმოდერნიზტული ეპოქისთვის მნიშვნელოვანი ეს კითხვა აქტუალურობას არც ამ ტექსტში კარგავს.

7 ორი ქალი - მამიდა და პაპიდა - მნიშვნელოვანი პერსონაჟები არიან, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი არ არის ცოცხალი. ზოგადადაც, ამ ნაწარმოებში საიქიოსა და სააქიოს შორის ზღვარი თითქოს მოშლილია, რადგან არ არსებობს ამგვარი ზღვარი თავად პერსონაჟის ასოციაციებში. მამიდა ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი პერსონაჟია, უფრო მულივით ან დედამთილივით აკონტროლებს ობლად დარჩენილ ძმისშვილს, რომელსაც ძმისა და ვა-

### ეპიკური კვიციანი

ქართველი მწერლებიდან ყველაზე ღრმად, საფუძვლიანად თეატრის სამყაროს, მსახიობთა ცხოვრებასა და მიდრეკილებებს რეზო ჭეიშვილი იცნობდა. მისი ეს დაუცხრომელი გატაცება ადრევე გამოვლინდა. მანამდე, როდესაც მისი მთელი ცხოვრება ვერ ეგუებოდა თეატრს და დაწერა კიდევ (ალბათ, რაღაცაზე გული ატკინეს) ეს ჩვენთვის უცხო სამყაროა. შეიძლება რეზო ამიტომაც იყო ცუდად განწყობილი „ჯადოსნური მთისა“ და „დოქტორ ფაუსტის“ ავტორის მიმართ, აუგად იხსენიებს ხოლმე „გადანახულ ჩანაწერებში“, მაგრამ უთუოდ აჭარბებს.

რეზო ჭეიშვილის თეატრალური მოთხრობებიდან, ოსტატობის მხრივ, სრულყოფილებითა და ჩანაფიქრის მრავალფეროვნებით „ალ-რაზაკის სიკვდილი“ გამოირჩევა. ვიდრე თვით მოთხრობაზე ვიცხოვრებო, ეპიგრაფად ნამდვირებულ მცირე ტექსტს მინდა დავაკვირდე. ეს უეჭველი გამჭვირვალედ შენიღბული მისტიფიკაციაა, რაც განზრახ უნდა იყოს გაკეთებული. ეს ტექსტი, ასევე განზრახ, დამაბნეველად, ყველა დროის უდიდეს დრამატურგსა და პოეტზე, უილიამ შექსპირზე მიუთითებს. თვითონ ეპიგრაფი ზეანული და ტრაგიკული ტონით ვგაუხყვებს:

„მე ვთამაშობდი იულიუს კეისარს და კაპიტოლში (!) მომკლეს ბერძენმა (!). მე მომკლა ბრუტუსმა“.

შექსპირი ასეთი ეპიგრაფის შედგენის საბაზს მოთხრობის ავტორს ისიც აძლევდა, რომ შექსპირი ლონდონის თეატრ „გლობუსის“ მსახიობი იყო და ზოგჯერ მისსავე დაწერილ პიესებში თამაშობდა კიდევაც. რომელი სენატორებისაგან განმირულ კეისარზე შეგნებულად არის ნათქვამი, რომ იგი ბერძენმა მოკლეს. „კაპიტოლიუმის“ ნაცვლად წერია „კაპიტოლი“. ერთი შეთქმულთაგან, მარკუს იუნუს ბრუტუსი, მაჩაბლისეული დანერგობითაა წარმოდგენილი („ბრუტუსი“), რაც შეცდომად არ უნდა მივიჩნიოთ. წერისას რეზო ჭეიშვილი ხანდახან დაუდევრობას იჩენდა, მაგრამ ამ მცირე ეპიგრაფში ზოგი რამ, როგორც იქნა, განგებინა არის არეული.

ერთი კია – „მომკლეს ბერძენმა“ უშუალოდ ეხმარება მოთხრობის მთავარი გმირის, ოდესღაც ალ-რაზაკის როლის განმასახიერებლის, სავლე გიორგაძის ფრაზას, თავის სახლში მიყვანილ ძველ თანამშრომლებს რომ უთხრა: „მე მესამე აქტში მომკლეს ქართველებმა“. ამას საგანგებო დაკვირვება სჭირდება. ძნელად შესაძლებელი მინიშნება, ქართველებისგან პიესის პერსონაჟის, ამ შემთხვევაში, ქართველი კაცის მოკვლა, განზოგადების ძალას, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და სინამდვილისგან არც ისე დამორჩეულია. ამაზე ბოლოსკენაც მომიხედავს თქმა.

მოტივი ეპიგრაფში შექსპირისა და იულიუს კეისარის ხსენებამ მოთხრობას უჩვეულო დრამატიზმი, სიმძაფრე, დამაბნელობა შესძინა და ეს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ხდება. შესაბამისად, არეალიც გაფართოებულია.

თვით იულიუს კეისარი, წარსულის დიდ, ისტორიულ პიროვნებათაგან ინგლისელთათვის ყველაზე ახლობელი და საკულტო სახელი იყო. მათ სწამდათ, რომ ტაურის

პირქუში ციხესიმაგრე იულიუს კეისარმა ააგო. რომაელებმა მეტად ღრმა კვალი დაატყვევეს ინგლისს. პიტერ აკროიდის ვეება ნიგნში („ლონდონი. ბიოგრაფია“) ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტია მოყვანილი. კეისარი რომელ ლეგიონერებს ინგლისში ჩვენს ნელთაღრიცხვამდე 55 წელს შემოუძღვა და მაშინ აღწერა ლონდონის შემოგარენი. ამ მიდამოებში დამცავი კედლის აშენებამდე, 150 წლით ადრე დათარეშობდნენ და სამხედრო ბანაკებს აწყობდნენ რომაელი მეთრები. კეისარის შემოჭრიდან მალევე იქაური ტომები იძულებული გახდნენ, რომის გამგებლობა ელიარებინათ. რომაულ ნაგებობათა არაერთი ნანგრევი დარჩენილი. ლონდონი, როგორც ქალაქი, ჩვენი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაარსდა და ძალიან სწრაფად განვითარდა, დიდ სავაჭრო ცენტრად გადაიქცა. გამოთქმაც არ-

## თეატრი პროზის ენაზე

ნიგინიძე „რეზო ჭეიშვილის გვერდით“

„ალ-რაზაკის სიკვდილი“



სებობს – „რომის ლონდონი“. პიტერ აკროიდი იმასაც წერს, რომ არქეოლოგებმა ტემზიდან იმპერატორ ადრიანეს ქანდაკების თავი ამოიღეს. ყველა ნიშანი იმისა, რომ მრავალი განსაცდელის გადამტანი (მაგი ქორი, ხანძრები) ლონდონი ქალაქი-სახელმწიფო გახდა. გასაგებ მიზეზთა გამო, მეხუთე საუკუნიდან ინგლისზე რომაელთა გავლენა შეწყდა.

შექსპირი ტრაგედიების წერისას უხვად სარგებლობდა ძველი ქრონიკებითა და ანტიკური ხანის ავტორთა ნიგნებით. შეუძლებელი იყო, იულიუს კეისარის ეპოქა და მისი ვერაგული მოკვლა შექსპირის ყურადღების გარეშე დარჩენილიყო; ძირითად წყაროდ პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ გამოიყენა და კიდევაც შექმნა ამ სიუჟეტზე თავისი ერთ-ერთი უძლიერესი, კომპოზიციურად მწყობრად შეკრული ტრაგედია; „იულიუს კეისარი“ 1599 წელს, „გლობუსის“ გახსნისთანავე დაუდგამთ, რაზედაც უტყუარი ცნობა არსებობს.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ რეზო ჭეიშვილმა მოთხრობის დაწყებამდე შექსპირის ამ სულის-შემძვრელ ტრაგედიას მიგვანიშნა და მის გმირსაც, პროვინციული თეატრის რეკვიზიტის გამგეს, სავლე გიორგაძეს (ადრე იგი იმავე თეატრში მსახიობობდა) სულ სხვაგვარი შარავანდედი დაადგა, ფართო სარბიელი მისცა.

მოთხრობის პირველსავე აბზაცში (ამის გამხელა დიდი სითამამეა) შეკუმშულად არის გადმოცემული სიუჟეტი. ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, თითქოს მსოფლიო მნიშვნელობის ამბავი მოხდა და სავლე გიორგაძის თეატრიდან წასვლამ, მერე კი დაბრუნებაზე ხეწნამ გაუთავებელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რეზო ჭეიშვილი მისთვის ჩვეული მოგონილი სერიოზულობით გვატყობინებს, რომ გადამწყვეტია, ჭორებს ბოლო მოღებოდა და მართალი ისტორიის დასაწერად ამან ააღებინა ხელში კალამი.

ბაღის კიდესთან, სასტუმროს მახლობლად, ნაცნობებში ჩამდგარმა ავტორმა სავლე უცნაურ ვითარებაში იხილა – თოფი და ხმალი წამო-

ვლო ხელოსანთან, შესაკეთებლად, მას კი თავდაპირველად „ქვეით მემორად“ მოეჩვენა. თურმე როლში ზედმეტად შეჭრილ, ალგზნებულ მსახიობ კირტავას (გვარიც როგორი შერჩეულია!) დაეღწა თეატრის კუთვნილი საჭურველი თუ ინვენტარი, სავლეს რომ ებარა. მომხდარი არევი-დარევი დაფეთებული და თეატრიდან გამოვარდნილი კაცი მცირე აბზაცში ისე ხელმესახებად არის დახატული, ყველაფერი მაშინვე თვალწინ დაგიდგება:

„სახელოებაკეცილი, ჯიბეებიანი ხალათი ეცვა. გამხდარ, ძარღვიან მამაკაცს მზემოკიდებულ სახეზე სიჯანმრთელისა და უბრალოების დალი აჩნდა. ჩახმახმორყეული თოფი და ქარქამგაბზარული ხმალი წელზე კი არ ეკიდა, შორიდან რომ მომეჩვენა, ამოიღლიავეებული მიქონდა ხელოსანთან. ასე გავიცანი იმჟამად თეატრის რეკვიზიტის გამ-

გე, ყოფილი მსახიობი სავლე გიორგაძე, რომლის ჟამთააღმწერელსაც (თქვენს მონა-მორჩილს) ახალი წარმოების დაბადების მორიგი პატივი არგუნა იმ წუთას განგებამ“.

ამის მერე გადავინაცვლებთ თეატრში, სადაც სავლე გიორგაძისთვის არასასურველი რამ ხდება; მოულოდნელად ახალ დირექტორს ნიშნავენ – ავტორიტეტობოვებულ, სახელოვან რეჟისორს, ვინაც რეკვიზიტის გამგეს, ოცდაათი წელი რომ შეენირა თეატრს, ამრეზილად შეხედა; გაითამაშა, თითქოს მასზე არაფერი სმუნოდა და რამდენადმე დამცინავად ჰკითხა, რა გვარი ბრძანდებოდა. სავლე შეითვისა კილოზე მიხვდა ახალდანიშნულის დამოკიდებულებას (ეს რამდენჯერმე განმეორდა) და, როცა უფროსი გაშორდებოდა, თვითონაც ადგებულად ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „ისე მეკითხება, ვითომ თვითონ ბაგრატიონ-მუხრანსკი იყოს“.

ისიც დაუფარავად არის ნათქვამი, რომ სავლე გიორგაძე დღინოს იყო მიძალბებული და იმ გადაწყვეტილებულ-გადაჭრეული ლეონი შემოღობისას ლხინისა და ქორის სუფრებზე ხშირად უწევდა სმა; იქიდან მობრუნებული თეატრსაც დახედავდა ცოტა ხნით, უნაგორზე წადებდა თავს და მერე, მოფხიზლებული, თავის ერთადერთ დამმარეს, უშანგის დაუწყებდა ძებნას. სავლე მას „პირველ მოადგილეს“ ეძახდა, როცა მეორე საერთოდ არ ჰყავდა. მათი ურთიერთდადახილი კომიკურია.

თავის საუფლოში სავლეს სამაგალითო წესრიგი ჰქონდა, მაგრამ ახალმოვლენილი დირექტორის კირკიტმა გუნება გაუფუჭა. გარდა იმისა, რომ დისციპლინის ავადმყოფურად მოყვარული იყო, დირექტორი ღვინის მსმელს დასაძახავად ვერ იტანდა და რეკვიზიტის გამგეს მსტოვრებშიც კი მიუჩინა. სხვანაირად ამის გაგება გავიჭირდება; ზედმეტად ეჭვიანი „ერთი-ორი კაცის დახმარებითაც ადევნებდა სავლეს თვალს, უნაგორზე გამოძინებულიც არ მოსწონდა და ხშირად ფხიზელიც მთვრალი ეგონა!.

მიყურადებულს მთავარი ადმინისტრატორი გამოესარჩლა,

სახე აქვს, ბატონო, ასეთიო, არწმუნებდა, მაგრამ გავიქებულმა შეფმა არაფერი შეისმინა, საქმეს მიხედვით, სხვისი პირით უთვლიდა ათვალინუნებულ სავლეს.

რეკვიზიტის გამგე ვერ მიმხედარიყო, რას გადაეკიდა უფროსი. მერე თავის თავს შემოსწყრა (იგი საუცხოო მეთუნე იყო, დურგლობაც ემარჯვებოდა), „ოქროს ხელობის“ მქონე თეატრს რომ შესწირა მთელი ცხოვრება. შუადღისას ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ ბიძას შეუვლიდა სახელოსნოში, გრდემლზე ტყვიისფერ თუნუქს ხის ჩაქურს უხატებდა, აბრტყელებდა, საღამო ხანს რომელიმე ქელესს ან ნათლობას მოითავებდა, გვიან თეატრში შეივლიდა, როცა სპექტაკლი რამდენიმე ხნის დაწყებული იყო. პარადოქსულად გამოიყურება, რომ ოცდაათი წლის მერე იხსენებს თავის ძირითად, „ოქროს ხელობას“.

მოთხრობაში მოკლედია მოხაზული სავლე გიორგაძის ცხოვრების გზა, რომელიც თეატრს თხუთმეტი წლის ყმანილი შეეკვლა, შეეთვისა და სცენა თავდავინებამდე შეუყვარდა, იქაურობა დღე და ღამე ელანდებოდა:

„სავლე რეკვიზიტში არ დაბადებულა. ადრე მსახიობობდა. მთელი ოცი წელი თამაშობდა სცენაზე. წარმატებას ვერ მიაღწია, დიდება და სახელი ვერ იშოვნა, მაგრამ ოცი წელი, ოცი გაზაფხული, ოცი შემოდგომა და ოცი სეზონი სიზმარით შემოაღწა ხელში. გულდაწყვეტილი გადავიდა რეკვიზიტში. ეპიზოდურ როლებს გვიანობამდე თამაშობდა მაინც, მაგრამ ბოლოს ახალ თანამდებობას შერჩა საბოლოოდ და სამუდამოდ. არტისტობის მიტოვება, თუ თვითონ დაუფურცდით, არ სწყენია, სანერვიულო და საფიქრალი მაინც აღარ მექნება რამე. შევალ ამ ჩემს რეკვიზიტში, მოვირთხამ ფეხს თათაროვით და ვიქნები, უთქვამს რამდენჯერმე“.

ჯერ კიდევ ისმის თეატრის კედლებში ნახვამი სავლეს ხლიჩინი, თავის „პირველ მოადგილეს“ რომ ეძახის: – „უშანგია!“ – „უუ!“ – პასუხობს იგი რომელიმე კუნჭულიდან, მიახვედრებს, აქ ვარო. სავლეს მისი კეთილისმყოფელი, მსახიობი თენგიზ დადიანი აფრთხილებს, სმას მოუკლოს, თორემ დირექტორი მოხსნის. სავლე აპოლიტიდება – ისევე გაიხსენებს, როგორი „ოქროს ხელობა“ აქვს, „უესტიანჩიკი“ მაინც არის, რეჟისორ დირექტორს კი არაფრად მიიჩნევს. მერე, შეჩებულ თენგიზ დადიანზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ხმას აუნევეს, საკუთარ წარსულს გადაწვდება:

„– იმედაშვილთან მითამაშია, ბიჭო, „ოტელმო“, ვისთან არ მითამაშია, თუ გინდა, ჩამოგივლი... სულ ბოლოს ქართველებმა მომკლეს „ლალატი“...“

ეს ნამოძახილი პირდაპირ ეხმარება შექსპირზე მიუთითებულ ეპიგრაფს. რეზო ჭეიშვილი ნართაულად, ნამსახიობარ სავლე გიორგაძის პირით ახიბობს შემადრწუნებელ, სისხლისგამყვან სიმართლეს, რაც ჩვენი ერის არსებობის მანძილზე უთვალავჯერ მომხდარა და ამჟამადაც ყოველდღე ხდება. ამის თქმა უფრო ხაზგასმულად ქვემოთაც მომიხედავს.

სიცხისგან გათარანებულ სავლეს უნაგორზე მიუღვია და ნელ-ნელა ზმანებებში იძირება, თვალწინ უტრიალებს ადრინდელი სპექტაკლები; უსულუ საგნებიც ცოცხლდება მის წარმოსახვაში, იხსენებს, როგორ ითამაშა „ლალატი“ უკანასკნელად ალ-რაზაკის როლი, მესამე აქტში ქართველებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე... სელიმ-ხანის წინააღმდეგ ოთარ ბეგთან შეთქმული რუქას კაპასი ხმაც ჩაესმება. იგი ანანია გლახას გადაარჩენილ უფლისწულს, ზეინაბის შეყვარებულ

ერეკლეს ზაქარიაშვილს, ალ-რაზაკი მოასაკლავოს, თორემ ყველაფერი ცუდად შემოვრჩნდება. ისტორია ნაწყვეტი ოსტატურად არის წამოული თხრობის მდინარეებში, სიუჟეტს ბუნებრივად ერწყმის:

„რუქაია: მოჰკალ, მოჰკალ! ერეკლე: მოჰკალ, საჭურისია, ძალღია... დაიფიცავს და მერე შენც დაგლუპავს და მეც... მოჰკალ!..“

ერეკლე (ამოიღებს ხანჯალს, უნდა ჩასცეს, მაგრამ შედგება). რუქაია, ისე შემომცქერის...

რუქაია: მხდალო, ჩაეც ხანჯალი! მთელემავე საველი სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელდება. ეზოში მოთამაშე ბავშვებმა დარტყმული ბურთი უცაბედად ფანჯარას მოახვედრეს და სავლე შუშის მსხვერვის ხმამ წამოახტუნა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო და გაცეცხლებულმა ძირს ჩაიბრინა, ნაძვის ნარგავებსა და წყავის ბუჩქებში შემალულ ონავრებს დაეღვინა, მაგრამ ვერავინ მოიხელთა. თავბრუდამხვევი ორომტრიალი ერთ პატარა წინადადებაში ზუსტად და ამასთანავე მეტაფორულად არის ასახული: „შემინებული ბავშვები თავკომბალებივით დაიფანტნენ“.

მრისხანე დირექტორმა, ვისაც თანამშრომელთა საერთო კრება ჰქონდა დაგემილი, ყველაფერი დაიწახა და სავლე ჭკუიდან გადაქანებულად ჩათვალა – მისი სამსახურიდან გაშვების კიდევ ერთი საბაბი მიეცა. თვითონ სავლე მალევე დაბრუნდა თეატრში და ბენუარის ლოჟაში შევიდა, რომ თვალში არავის შეჩხეროდა.

დირექტორმა კრების გახსნისთანავე იკითხა, გიორგაძე თუ გვესწრება. სავლემ ახლოს მყოფ მსახიობებს ანიშნა, ხმა არ ამოელოთ და იმავე ლოჟაში ჩაიმალა.

პარტიკრიდან რომელიღაცამ დაიძახა არ არისო და დირექტორს გული მიეცა, ნიშნის მოგებთ განაცხადა – რანაირად იქნება, ეზოში ბავშვებთან კუკუმალობანას თამაშობს, აღმა-დაღმა დარბისო.

ბენუარის მეცხრე ლოჟაში ჩაცუცქულმა სავლემ თავი ველარ შეიკავა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „მასე სწორად იარე მთელი შენი ცხოვრება!“

დირექტორმა, იმავე მთავარმა რეჟისორმა (ეს უსახური ჩინოვნიკი შეგნებულად უგვარსახელოდ არის დატოვებული) უფრო თამამად განაგრძო სავლეს გაკოლვა. მის ირონიულ შეკითხვებს („რამდენი ბავშვი ჰყავს თვითონ გიორგაძეს?“, „რამდენი წლისაა გიორგაძე?“) კომიკმა ბარნაბა კეხევაძემ უპასუხა (ეს მსახიობი რეზო ჭეიშვილის პირველ რომანშიც არის გამოყვანილი ეპიზოდურად) და იმ დღეს კრება გაართულების, ექსცესების გარეშე დამთავრდა.

შარის მაძიებელ დირექტორს სულ მალე ბეგრავდა ხელსაყრელი მიზეზი მიეცა უდისციპლინო სავლე გიორგაძის სამსახურიდან დათხოვნისა. დღის თორმეტ საათზე, როცა რეპეტიცია უნდა დაწყებულიყო (პარტიკრის პირველ რიგში მოკალათებული მთავარი რეჟისორი ყველას მოძრაობას თვალს ადევნებდა), სავლე, როგორც იტყვიან, გამოიღიო მთვრალი გამოცხადდა თეატრში, მაგრამ როგორღაც თავს იკავებდა, ნასვამობა რომ არ დატყობოდა. სცენაზე, სრულიად უადგილოდ, მანუჩარის უნაგორი გამოიტანა („მანუჩარის უნაგორი“, ალბათ, პოლიკარე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინების“ პერსონაჟი იგულისხმება). დირექტორი დასაბნეველად და მოულოდნელად შეკითხება, რეკვიზიტისგან რამდენი არღის გამოიყენება შეიძლებაო. სავლე არეულ-დარეულად პასუხობს. იმას ნერვიულობა დაეტყობა. უნაგორიან კაცს განრისხებული ეკითხება: „გესმით, რასაც გეკითხებით?“

▶▶▶ ბაზრამილება იძნება

„ლს“ - დიალოგებიდან  
ენათმეცნიერი  
გიორგი გოგოლაშვილი  
ესაუბრება მთარგმნელ  
პაატა ჩხეიძეს

გოგოლაშვილი ენის  
თავანჯაროს დასასაყად

ათეული ნღობა გიორგი გოგოლაშვილი თბილისის სტეპანოვო უნივერსიტეტში კითხულობს სალექციო კურსს „ენა და მწერალი“. ამ სათაურით წიგნების სერიაც წამოიწყო და უკვე გამოცა 7 წიგნი, რომლებიც მიეძღვნა ჩვენს კლასიკოსებს დავით კლდიაშვილს, მუხრან მაჭავარიანს, ანა კალანდაძეს, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიასა და ოთარ ჩხეიძეს... ამ სფეროში სხვა გემებზე აქვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ თემაზე ფიქრისას არაერთი კითხვა გაუჩნდა... გიორგი გოგოლაშვილმა გადაწყვიტა, დიალოგები გაემართა მეგობარ შემოქმედებთან; მიზანი, ასევე, ზოგჯერ საკითხის გარკვევა, ზოგჯერ საკუთარი აზრის გადამოწმება...



დღეს ცუდ ტონად გვივლიან; პოეტი აღარ უნდა იყოს „ცის დანიშნული“ და „ერის აღზრდილი“, ეს ხომ ყალბი პათეტიკააო, მაგრამ მაინც არის და ბედისწერა ანვდის კალამს და ბედისწერა გააგდებინებს ხელიდან, მოვალეობა ამოშორებს, არ მოასვენებს განგება.

რომ „კარგი მთარგმანი სასარგებლოა“... „თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წიპლიანს კახლოვსა“... „მთარგმანი ხომ არ ვარა, ენა უფრო უფარვისი აქვს“... „ეს მთარგმანი ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი“ და ასე შემდეგ. აი, ამას ვგულისხმობ... მეჩვენება, რომ ამას უფრო ადვილი არ მახვილდება... თუცა ნუ გაყვებით ამჯერად ამ ხაზს...

მისთვის საინტერესო კითხვები თემატიკის მიხედვით დააჯგუფა (პროზა, პოეზია, თარგმანი და კრიტიკა)... ყველა თემას ადრესატი მიუზღინე; თარგმანისა და მთარგმნელის მისამართით გაჩენილ კითხვებზე პასუხის ვასაცემად პირველად პაატა ჩხეიძეს მიმართა – მთარგმნელსა და ლიტერატურის მკვლევარს.

გიორგი გოგოლაშვილი: მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული!“. დაამატებდით რამეს თუ... როგორ ფიქრობთ, დღეს ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე ხომ არ დაკარგა ძალა, აქტუალურობა ამ შეგონებამ? თუ ეს მარადიული შეგონებაა?

გ.გ.: ანა კალანდაძის აზრით: „მთარგმნელობა რომ მოწოდებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, – მთარგმნელიც ისევე იბადება, როგორც იბადება პოეტი, მხატვარი, პროზაიკოსი... ამის ბრწყინვალე მაგალითია ივანე მაჩაბელი, რომელიც სწორედ ამ უდიდესი მისიით მოუვლინა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.“ რას იტყვი დღევანდელ ვითარებაზე; მთარგმნელთა რიგებს ხომ არ შეერივნენ „არამთარგმნელები“ (ერთგან ნავიკითხე, ხელოვნებისა და ხელოვნობის აღრევა ხდებოდა...): ანუ – თარგმნის ის, ვინც არ „დაბადებულია მთარგმნელად“.

პ.ჩ.: კეთილი, ამჯერად ნუ გავყვებით, მაგრამ, რამდენჯერაც უნდა წაიკითხო ეს წერილი, შეუძლებელია, არ განცვიფრდე ილიას სიბრძნითა და მარადიულობით. ევ ამონარიდები ხომ დღევანდელ დღეს ეხმაურება, თანაც ზედმიწევნით!

პაატა ჩხეიძე: ვფიქრობ, მარადიული შეგონებაა, რადგან ჩვენ ყველა, ვისაც ქართულ ენასა და ლიტერატურასთან გვაქვს საქმი, ქართული ენის შენახვა-გადარჩენას ვცდილობთ; მთარგმნელიც, ენათმეცნიერიც... თამაზ ჩხეიძეს უთქვამს ჩემთვის: რომ დაფიქრდები იმაზე, ჩემს ნაწერებს მხოლოდ რამდენიმე კაცი წაკითხავს, ლამისა ხელი ავიღო წერაზეო; არ აუღია ხელი იმიტომ, რომ იცოდა, რასაც ემსახურებოდა. ქართველი მწერალი თუ მთარგმნელი შეუძლებელია სკეპტიკოსი არ იყოს, მაგრამ მოვალეობა არ მისცემს უფლებას, დაგდოს კალამი – მოვალეობა ქართული ენის წინაშე, მოვალეობა კარგი სალიტერატურო ქართულის წინაშე!

პ.ჩ.: ანა კალანდაძის ეს მოსაზრება არ მახსოვდა, თვითონ არასოდეს გამომიყენებია; ჩემგან ქება რას შემატებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მეტად ზუსტი ნიაღვრებაა. ვანო მაჩაბელი მათ შორისაა, ვინც ქართული ენა გადაარჩინა მეცხრამეტე საუკუნეში; ისინი ბევრნი არ იყვნენ და არც ახლა არიან ბევრნი, ვგულისხმობ მოწოდებით მთარგმნელებს, ვინც დაიბადნენ მთარგმნელებად. მათ გამოსარჩევად უნდა ითქვას, რომ ისინი შედეგებს თარგმნიან და თარგმნიან შედეგებზე; ისინი ამდრებენ ქართულ ლიტერატურას, ქართულ ენას; ახალ ძალებს მატებენ მას, ახალ სიცოცხლეს შთაჰპერავენ... დანარჩენები კი მაკულატურაა, თუნდაც გაიყდოს; მთარგმნელობაც ზაზარმა ჩაყლაბა, ისევე როგორც მწერლობა. ბევრი არამწერალი წერს და ბევრი არაპოეტი პოეტობს; ბევრი არამთარგმნელი თარგმნის; ეს არაა ის რაოდენობა, რომელიც ხარისხში გადავა და ვერც იქნება რაოდენობა ჭარისხის განმსაზღვრელი. უცხო ენა დღეს ბევრმა იცის, საყველბურო ქართული – კიდევ უფრო მეტმა, მაგრამ წერას და თარგმნას კიდევ რაღაც სჭირდება, სჭირდება ის, რაზეც ანა კალანდაძე მიანიშნებს.

გ.გ.: სიმონ ჩიქოვანი წერს: „მთარგმანზე მუშაობაში საჭიროა დაახლოებით მაინც მოძებნა იმ ნათესაობისა, რომელიც უნდა არსებობდეს მთარგმნელსა და სათარგმნი ავტორის ბუნებას შორის“... სხვაგვარადაც ითქვა: „მთარგმანი სისხლის გადასხმას ჰგავს; სისხლი ერთი ჯგუფისა უნდა იყოს.“ – (მწერალთა საკავშირო ყრილობაზე უთქვამს ვილაცას, – ანა კალანდაძე ეგონებს)... რას იტყვით ამის თაობაზე? თქვენი აზრით, ხშირად ირევა „სისხლის ჯგუფები“? (მინახავს ეროვნული პოეზიის ანთოლოგია, რამდენიმე ათეული პოეტისაგან შემდგარი, ერთი პოეტის მიერ თარგმნილი... სისხლის ჯგუფზე საუბარი ამ დროს ალბათ ზედმეტია, ყველა ნათარგმნი ავტორი თითქმის ერთმანეთს ჰგავს, ანუ – მთარგმნელს...)

გ.გ.: „მოვალეობა“ თუ „ბედისწერა“? ოთარ ჩხეიძე ამბობს: „მწერალს კალამს ბედისწერა აწვდის... ხოლო თუ როდის დებს – ესეც ბედისწერის საქმეა“... თუ იმ „მოვალეობასაც“ ბედისწერა განსაზღვრავს?

პ.ჩ.: ლეიბნიცი მადლი... ერთმა ფიქრმაც იჩინა თავი: ჭეშმარიტებაა, „ვანო მაჩაბელი მათ შორისაა, ვინც ქართული ენა გადაარჩინა“; მაგრამ... აქამდე არ მიფიქრია: მთარგმნელობითი საქმის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის როლის ცოტა მეტი ყურადღება ხომ არ სჭირდება? არ ვგულისხმობ „მეფე ლირისა“ თუ ბუვიეს რომანის თარგმნას (ესეც საქმეა!...); რევაზ ერისთავის მიერ ნათარგმნი „შეშლილი“ რომ მინასთან გაასწორა და „პროგრამული ტრაქტატი“ შექმნა, რა უნდა ითარგმნოს ქართულად, რა მიზნით და როგორ... ამ გასწავლებაზე კიდევ ერთხელ ჩავიხედე ამ წერილში; ორიოდე ამონარიდს მოვიყვან:

პ.ჩ.: პ.ჩ., პარადოქსია! ერთი მხრივ, ნათესაობა მთარგმნელსა და სათარგმნი ავტორის ბუნებას შორის?! აქ ალბათ სულიერი ნათესაობა იგულისხმება; სიმონ ჩიქოვანის დროს სულის სხეულები არ ეგებოდა. მეორე მხრივ – სისხლის საერთო ჯგუფი. ზოგისთვის თარგმნა სახლიდან სახლში გადასვლა; ზოგისთვის – ლალატი; ზოგი, წარმოიდგინეთ, პიროვნულ ერთიკვანძს უწოდებს; ჩემთვის დიალოგია... ეს ყველაფერი მეტაფორებია. ლიტერატურული თარგმანი ლიტერატურაა. მთარგმნელს უჩნდება დაუძლეველი სურვილი, უკეთ ნაიკითხოს წიგნი; ეტიამბლი ხომ ამბობდა, მხოლოდ იმ წიგნებს ვკითხულობთ, რომელსაც ვთარგმნი. და აი, მთარგმნელს, მონოდებით მთარგმნელს, უჩნდება დაუძლეველი სურვილი, თავის ენაზე გადმოიტანოს ის, რაც სხვა ენაზეა და ამით დაიკმაყოფილოს კითხვისა და წერის სურვილი. ამ დროს იგი ეგებ არც ფიქრობს მშობლიურ ლიტერატურაზე, მაგრამ მაინც ამდრებებს მას, როცა შედეგს შედეგად გადმოიტანს. სისხლის ჯგუფი ეგებ არ ემთხვეოდეს, მაგრამ ხმა ესმოდეს და ახლებურად ახმინებდეს, თემა ანუ სხეულებს და სხვებსაც უზიარებდეს, ახალი ფორმის მოსიყვავა უნდოდეს

და სინჯავდეს... ჰო, ხდება, რომ მთარგმნელს, როგორც პოეტს, თავისი ხმა აქვს, თარგმანებში იყენებს და სრულიად განსხვავებულ პოეტებს არგებს ამ ხმას... ეს კარგ მთარგმნელებსაც ემართებათ; არის ამის მაგალითები, დამინერია ამაზე, მაგრამ შორს ნავალთ...

გ.გ.: იმ პასაჟს რომ დაფიქრუნდეთ: მინახავს ეროვნული პოეზიის ანთოლოგია, რამდენიმე ათეული პოეტისაგან შემდგარი, ერთი პოეტის მიერ თარგმნილი-მეთქი... „სისხლის ჯგუფზე“ საუბარი ამ დროს ალბათ ზედმეტია; როგორც ვთქვი, ყველა ნათარგმნი ავტორი თითქმის ერთმანეთს ჰგავს, ანუ – მთარგმნელს...

პ.ჩ.: სჯობს, რომ მთარგმნელმა ერთი პოეტი თარგმნოს, ერთ ჯგუფს. პოეზიის თარგმნა ძალზე ძნელია და მთარგმნელისაგან პოეტის ზედმიწევნითა და ნიუანსობრივ შესწავლას მოითხოვს. თარგმანმდე მოხდება ეს თუ თარგმნისას, ეს გზა უნდა გაიაროს მთარგმნელმა და, აბა, როგორ შეისწავლის ერთბაშად რამდენიმე პოეტს? – ხმები აერევა. უამრავი ლირიკული ლექსია ქართულად თარგმნილი და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია ყურადღების ღირსი...

გ.გ.: პაატა, „პნკარედის“ თემა მინტერესებს: ინტერნეტში ვნახე, მთარგმნელი წერდა: „მთარგმანი გელურიდან (164-ე ენა). უცნობი ავტორი“ და ასე შემდეგ. ამგვარი რამ უხერხული მეჩვენება; შეიძლება პრაქტიკულად ერთი ან ორი ენა იცოდეს კაცმა და „164 ენიდან“ თარგმნიდეს?... საკითხი ასე მინდა დავსვა: პნკარედს ვინც აკეთებს, თარგმანს ისიც უნდა მიუწეროს თუ არა? ვინ იღებს პასუხისმგებლობას აზრობრივად, შინაარსობრივად დედნის სწორად გადმოტანაზე? გამლექსავი? გავისწავლოთ: „მთარგმნელს ძალზე საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია – ავტორსა და მკითხველს შორის შუაკაცობა“ (ანა კალანდაძე). ამ შემთხვევაში ვინაა „შუაკაცი“ – ვინც პნკარედს აკეთებს თუ გამლექსავი? თუ ორივე?

პ.ჩ.: პნკარედის საკითხში ვერც მე გავრკვეულვარ. პნკარედი შინაარსს განვდის. თუ პოეტს ან მწერალს სხვა ენიდან იცნობ და გინდობა სურვილი „ნაკითხვისა“ და პნკარედს ითხოვ, რომ უფრო ახლოს იყო ტექსტთან, კიდევ ვასაგებია; მაგრამ თუ მწერლისა არაფერი იცი და პირდაპირ პნკარედიდან თარგმნი, შთაგონება და შემოქმედება სადღაა? ისე კი, სჯობს ენა იცოდეს და წიგნი ორიგინალში გქონდეს ნაკითხული და იქ დაგეუფლოს დაუძლეველი სურვილი.

გელური/გაელური ხომ ირლანდიური ენაა, ცოცხალია ანუ გაცოცხლდა/გააცოცხლეს და ლიტერატურაც არსებობს; საქართველოში ალბათ ირლანდიის კონსულმა და კიდევ ვეიმზ ჯოისის „ლამისთევა ფინეგანისათვის“ მთარგმნელმა, თამარ გელაშვილმა, იცის. თუმცა, შესაძლოა, ირლანდიაში ნაცხოვრებმა ანუ მცხოვრებმა რომელიმე ქართველმაც. ძალიან მინდა, რომ ვინმემ გელურიდან თარგმნოს. ამ ხალხმა, ირლანდიელებმა, მსოფლიოს უდიდესი ინგლისურენოვანი პოეტები და მწერლები მისცეს და შეუძლებელია გელურადაც დიდი ლიტერატურა არ ჰქონდეთ.

გ.გ.: და... პნკარედის ავტორის ინტერესი? პასუხისმგებლობა?.. მე მაინც ვფიქრობ, რომ მკითხველისათვის „გასაიდუმლოებული“ არ უნდა იყოს...

პ.ჩ.: პნკარედის ავტორის ინტერესი შესაძლოა იყოს მატერია-

ლური ანაზღაურება, ან ლიტერატურის სიყვარული და თბილისის თარგმნის სფეროში დატოვების ოსტატის მოწვევა; რეტირირებული იყოს? თუცა ყველაფერი შეიძლება ივარაუდო... პასუხისმგებლობა კი დიდი ეკისრება, ტექსტი დედანს უნდა მიჰყვებოდეს და შეცდომები არ უნდა გაეპაროს.

გ.გ.: სხვათა შორის, დანტეს „ლვთაბრივი კომედიის“ თარგმანში აღნიშნულია: „ჯოჯოხეთის“ ნახევარი თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პნკარედების მიხედვითო...

პ.ჩ.: ასეა, ერთად თარგმნიდნენ...

გ.გ.: რამდენადაც მე ვიცი, თქვენც ერთად თარგმნით – პაატა და როსტომ ჩხეიძეები. თარგმნის დროს თუ გქონიათ „ენობრივი დისკუსიები“ (თანამთარგმნელებს შორის თუ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა ქართული ენის გამო)?.. ამგვარ შემთხვევაში გიორგი შატბერაშვილი იტყოდა, შევეკითხოთ „სიტყვის პაპას“ ან „სიტყვის დედასო“... როგორ წყდება თქვენთან ეს საქმე? ვინაა მსაჯული?

პ.ჩ.: ჰო, ერთად ვთარგმნით, თავიდანვე და დღესაც, და სხვაგვარად აღარც იქნება. ასე ვთქვათ, ბრენდია – პაატა და როსტომ ჩხეიძეები! თუ არ ვცდები, ერთხელ ამირან კალაძემ იხუმრა, – იყო ედმონ და ჟიული, იყო ილფი და პეტროვი, მე კი როსტომ და პაატას ვარ ერთი თანამედროვეო.

ადრე ერთად ვისხედით და ვთარგმნიდით, ახლა დავშორდით, მოგესხნებათ ოჯახი, ცოლ-შვილი, მაგრამ ტელეფონი და ინტერნეტი, ზუმი და მესინჯერი გვაახლოებს. მსაჯული ოთარ ჩხეიძე იყო, თვალს გვადევნებდა, გვირჩევდა, არ ჩავერეოდა მკვეთრად, მაგრამ არც იმის ნებას მოგვცემდა, რომ ძალიან გავეცია... ახლა როსტომია „სიტყვის პაპა“... დისკუსია ანუ კამათი? არა, რა საჭიროა? ორმოც წელზე მეტია ერთად ვთარგმნით, რა გვაქვს საკამათო?! როსტომი მწერალია და თავისი სტილი აქვს, მაგრამ თარგმანში არ შემოაქვს – რად უნდაა? ყველანაირი სტილი ემარჯვება.

გ.გ.: ესეც გვაინტერესებს: თქვენ რა პრინციპით არჩევთ სათარგმნ მასალას? თუ ყოფილა შემთხვევა, ნაწარმოები მოგწონებია, მაგრამ გიფიქრია, რომ ქართულ ენას „ვერ მოერგება“, „აბრ გადმოვა“ ქართულად და ამიტომაც აღარც გითარგმნია? მიზეზი რა შეიძლება იყოს ამ დროს? (თუ არც არსებობს ასეთი რამ; ყველაფერი შეიძლება გადმოვიდეს ქართულად... მთავარი მთარგმნელის ოსტატობაა)...

პ.ჩ.: თავიდან რაც მოგწონდა, იმას ვთარგმნიდით, მერე და მერე – რაც მოგწონდა და, ამავე დროს, რაც ჩვენს ლიტერატურას სჭირდება. არ ვთარგმნით იმას, რაც უკვე თარგმნილია კარგად, თუნდაც ძალიან მოგწონდეს. ქართულად ყველაფერი გადმოვა, ყრველ შემთხვევაში, ინგლისურად.

გ.გ.: მოკლედ, იმის თქმა გსურთ, გადმოიტანს გააჩნიაო, არა?

პ.ჩ.: ჰო, ეგ უპირველესად! მთარგმნელი კარგი, გემოვნებიანი ლიტერატორი უნდა იყოს, მწერლობის მცოდნე, განაფული მწერლობაში; უნდა იცოდეს, როგორ იწერება ლექსი, მოთხრობა, რომანი, დრამა; თვითონ უნდა ჰქონდეს ნაცადი. ყური უნდა ჰქონდეს განვრთნილი და კალამი – ნაეარჯიშევი.

▶▶ ბაბრძალაძე იანა

გიორგი შერვაშიძე

გივის გაგლი

ართომოქალაქიანი მოსოქიასა

სცენაზე დგას სანოლი, სამეული, დაბალი „ჭურნალის“ მაგიდა და ორფრთიანი კარადა. სანოლიში ნითელი ატლასის ლამის პერანგში გამოწყობილი გასაბერი ქალი წევს. სავარძელში, სანოლისკენ ზურგშექცევით, ორმოც წელს მიტანებული გივი ზის და გაზეთს კითხულობს.

– რაო, რას მიუბნებოდი? არ განვიმდებო? არ განვიმდებო კი არადა, კოკისპირულადაც წვიმს, ჩემო ბატონო... დიას, როგორც ინგლისელები იტყვიან, It rains cats and dogs.

გივი გაზეთს გვერდზე დებს, ჭიქაში ვისკის ისხამს, ყინულს იყრის და სვამს. სიამოვნებისგან კენესის და მთელი ტანით გასაბერი ქალისკენ ბრუნდება.

– გოგო, სულ დამავინწყდა, მეთქვა, მაღაზიაში რომ ვიყავი ჩასული, ჩვენი მეზობელი ლამარა ხომ იცი? ჰო, მეცხრე სართულზე რომ ცხოვრობს, ეგ შემხვდა და ახალი ამბავი მახარა, ლიფტი ვერ გაკეთდებო. ძრავა დაენვა და აღდგენას აღარ ექვემდებარებო, მაშ?! და, რადგან კორპუსი ჯერ ჩაბარებული არ არის, მერია ვერ დაგვეხმარება და მთელი ხარჯიც ჩვენ უნდა გავნიოთო. გესმის შენ? ოჯახზე 100 დოლარი უნდა დავდოთო. და არ გაინტერესებს, მე რა ვუპასუხებ? სულ გადაირია სანყალი... აი, ამას დავდებ-მეთქი...

გივი გასაბერი ქალს სამი თითის კომბინაციას აჩვენებს და ხარხარებს.

– აი, ამას დავდებ-მეთქი, გესმის... მე, ჩემო ბატონო, მეოთხე სართულზე ვცხოვრობ და სულაც არ მიჭირდება ეგ თქვენი ლიფტი და ფეხითაც მშვენივრად ავცურვულ-ჩამოვცურვულდები ამ ჩემს ბინაში-მეთქი. უნდა გენახა, როგორ დაუმრგვალდა, სანყალს ლამის სულ გადმოსცივიდა ის გადმოკარკული თვალები.

გივი კიდევ ერთსაც მოსვამს და გაზეთს უბრუნდება.

– რა? აუ, მოდი, მაგაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, რა. ახლა ნაღდად არა ვარ საუბრის განწყობაზე. თან, ხომ ხედავ, გაზეთს ვკითხულობ. რაო? რატომ მიჭირავს თხა და გიგოსავით? ძალიანაც სწორად მიჭირავს და ძალიანაც საინტერესო სტატიას ვკითხულობ ახლო აღმოსავლეთში არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე.

გივი ისევ მთელი ტანით ბრუნდება სანოლისკენ და ხელებს ნერვიულად იქნევს.

– კარგი, თუ შენსას არ იშლი, მოდი, მაშინ ვისაუბროთ ამ ჩვენი ურთიერთობის გაოფიციალურებაზე... მიდი, მითხარი, რა განუხებს და რა გტანჯავს? დიას, სწორედაც რომ გტანჯავს, აბა, მთელი დილაა, კენესი და... ჰო, წუნუნებ და კენესი...

გივი სავარძელს იცვლის და სანოლის მოპირდაპირედ რომელიც დგას, იმაზე ჯდება.

– აი, მომკალი და არ მესმის, რატომ ჩაიციკლე ასე ძლიერ ამ ჩემი მშობლების გაცნობაზე. ჩვენთვის ხომ მთავარი ერთად ყოფნაა? რა, არა? ისე კი, გაგაცნობ, აბა, რას ვიზამ? უბრალოდ, ვიფიქრე, ჯერ ჩვენ გავრკვეულიყავით საბოლოოდ, რას ვაპირებთ და როგორ და მერე ჩემს მშობლებსაც შევხვედროდი. კი, რა თქმა უნდა, ბიძაშვილებსაც და მთელ ნათესაობასაც გაგაცნობ. რაო? და რა გენყინა, ვერ ვხვდები? არა, გენაცვალე, ეს შენ გაიგე ყველაფერი არასწორად... მე არ მითქვამს, რომ არ მიყვარხარ და რამეში გარკვევა მიჭირდება. ეს, უბრალოდ, სიტყვას მოვყავოდი, რაღაცებში უნდა გავერკვეთ-მეთქი, თორემ, რა თქმა უნდა, გეთანხმები – ჩვენ გასარკვევი არაფერი გვაქვს.

გივი ოდნავ წამოიწევა და გასაბერი ქალს ზემოდან დახედავს.

– კარგი ახლა, რა დავამართა? რა ბავშვივით იქცევი და ყველაფერზე იბუტები. რას შეკიდები თითოეულ სიტყვაზე და გასაქანს არ მძღვე? ხომ იცი, ხანდახან მეც წამომცდება ხოლმე რამე სისულელე და...

გივი დგება, ჭიქას იღებს, სვამს და სანოლს გვერდულად გახედავს.

– და შენ რა, მართლა გენყინა? მართლა გამებუტე? გადაირიე, გოგო? საერთოდ არ მიგულისხმია, რომ ჩვენს ურთიერთობაში კიდევ რამე გვაქვს გასარკვევი. აბა, მაშინ შენ მითხარი, რაში უნდა მეპარებოდეს ეჭვი? გეკითხები? კარგი რა, ხომ იცი, რომ ყველაზე და ყველაფერზე მეტად სწორედ შენ მიყვარხარ და... აი, ვგიჟდები და ვირევი შენზე... აი, ახლაც რომ გიყურებ, ლამისაა მღელვარებისგან გული საგულედან ამოვივარდეს. გეხვენები, ამდენს ნულარ მაღაპარაკებ, რა.

გივი სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება სანოლს და გასაბერი ქალის გვერდით წევა, ეხუტება, სახეს უკოცნის და ეფერება.

– ესიო, მორჩი ახლა ეგეთებს და შემირიგდი... მიდი, ჩამეხუტე და მომეფერე. მაკოცე... ბევრი მაკოცე... აი, თუ გინდა, დღესვე დავურეკავ დედაჩემს და ვეტყვი, რომ შაბათს ვესტუმრებით. რა, არ გჯერა? მართლა? დამაცა...

გივი დგება, მაგიდიდან მობილურს იღებს და რეკავს.

– აი, ახლა ნახავ, რასაც ვიზამ... ჰო, დედა, როგორ ხარ? მეც არა მიშავს. ვარ ძველმსგავსი... რომელ ექიმთან? კი, ვიყავი მაგ ექიმთან და იქით კვრამშიც წავალ. გადასარევედ ვგრძნობ თავს. ოოო... კარგი ახლა, ნუ იცი ხოლმე ეგრე ჩაიციება და ადამიანის შენუხება, თორემ, იცოდე, გავთიშავ... კარგი... ახლა

რაზე გირეკავ და შაბათს უნდა გესტუმროთ. მე და ტასოს გინდა თქვენთან გამოსვლა. ტასო ვინაა? ჩემი გოგო რომ არის, ტასო, აი, ის... ჰო, აი, ვისთან ერთადაც ვცხოვრობ... ჰოდა, ტასოს ძალიან უნდა თქვენი გაცნობა და მოვალთ. არა, ამჯერად მხოლოდ შენი და მამის... კარგი, მაშინ შაბათს გესტუმრებით. მამა ხომ იქნება სახლში? მშვენიერი. აბა, მაშინ შაბათამდე. რა ვერ გაისხენე ახლა ტასო? თითქმის წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ახლა მეკითხები ვინაა? ფაქტობრივად, ჩემი ცოლია. რა, არ იცოდე? ოოო... აი, ისევ მომიშალე ნერვები, რა. აი, დარდი, თუ არ გახსოვს, ვინ არის ტასო. ნავედი ახლა და შაბათს მოვალთ. ჰოდა, მაშინ ნახავ, ვინც არის ჩემი ტასო...

გივი გაღიზიანებული თიშავს ტელეფონს და მაგიდაზე უდიერად აგდებას.

– გამაგიჟებს ეს ქალი. ტასო ვინ არისო? ჰო, ვიცი, ვიცი, მართალი იყავი და აქამდეც უნდა გაგეცნოთ ერთმანეთი და ასეთ გაურკვეველობასაც აღარ ექნებოდა ადგილი. თუმცა, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და აბა... ახლა ხომ დარწმუნდი, რომ არ ვხუმრობ და მართლა ვაპირებ, გაგაცნო ჩემი მშობლები? ჰოდა, მაშინ ისე მომიფერე, აი, შენ რომ იცი ხოლმე, სუპერეროტიკულად.

გივი პერანგსა და შარვალს იხდის. საცვლისა და წინდების ამარა სანოლიში წევა. გასაბერი ქალს ვნებთანად ეხუტება და საბანს თავზე იფარებს. ისმის კაკუნის ხმა. გივი გველნაკბენივით წამოხტება და ტანსაცმელს ნაჩქარევად იცვამს. კარადასთან მიდის და კარს აღებს.

– ოჰ, შამშე, შენა ხარ? შემოდი, ბიჭო, რას დამდგარხარ გარეთ უცხოხავით...



გივი კარადიდან გასაბერი კაცს იღებს და სავარძელში სვამს. გასაბერი კაცს „მარსელონას“ ფორმა – მუხლამდე შორტი და მაისური ნარნერი MESSI აცვია.

– სად იყავი, შამშე, სავარჯიშოდ? მაღაღეც შენ, ძმაო, რომ არ გეზარება ეს ვარჯიში და მისთანები. მე ვერაფრით ვაიძულე საკუთარი თავი, ვარჯიში დავინყო. არადა, უკვე ღიპიც კი დამედო და ტასოც სულ მაგას მსაყვედურობს, მოიმატეო. სახლში ხომ ხართ კარგად? თამარი? ბავშვები? მშვენიერი... აბა, რა ვქნათ, დავცხოთ ჩვენებური? კარგი, ვითამაშოთ, ოღონდ დღეს ნარდში უნდა გავეჯიბოთ ერთმანეთს. ჭადრაკი სხვა დროს იყოს. ახლა მეზარება ტვინის ჭყლეტა. კი, წინაზე მართლაც მომიგე და დიდად მანერვიულე კიდევ, თუმცა არაფერს გერჩი და გასაყვედურობ. გეკუთვნოდა და მოიგე. იმედია, სხვა დროს გავსწორდებით. ახლა კი ნარდის ჯერია და დღეს ნარდში უნდა დაგაგრიო. ეს იქნება ჩემი რევენშიცა და ვენდეტაც.

გივი კარადასთან მიდის, კარს აღებს, ნარდს იღებს და მაგიდასთან ბრუნდება. ნარდს გასაბერი კაცის წინ დებს და თავად ტახტზე, მის მოპირდაპირედ ჯდება.

– ტასო, გოგო, გესმის... მოგხედე ერთი, ხომ ხედავ, შამშე გვესტუმრა. კარგი, კარგი, ინექი... შამშე, არ გენყინოს და, დღეს ტასო ვერ მოგვემსახურება. გუშინ ფეხს გადაუბრუნდა კოჭში და დღეს მთელი დღეა წევს, ვერ დგება. რა არ ვუქენი და რით არ ვუნამლე, მაგრამ ფეხზე ვერ წამოვაცენე. არა უშავს, დღეს საღამოს კვერცხის ცილის სახვევს დავადებ და ხვალ ჩიტივით იქნება. შამშე, მოდი, დღეს ყავას მე გაგიკეთებ, ჰა?! არ გინდა? აბა, ვისკის არ გთავაზობ, ვიცი, არა სვამ. საერთოდ არაფერი გინდა? არ გინდა და ნუ გინდა. შენ, მგონი, მარტო ტასოს მორთმეულები გიყვარს... ჰა... ჰა... მაშინ მე მოვწრულებ ცოტას და ასე წრუტავ-წრუტავით მოგიგებ კიდევ. აბა, რას იტყვი, დავინყო? გივი დაფაზე ქვებს აწყობს, კამათელს აგორებს და პირველ სვლას აკეთებს.

– დუბარა, დუბარა, გიტლერს მოხვდა ყუმბარა. ჰა... ჰა... ჰა... აბა, როგორია? უხ, შენი გულისა... ტასო, უყურებ, პირველივე დუბარა არ გაუგორე? აბა, მიდი ახლა, ჩემო შამშე, და შენ გააგორე. ახლა შენი ჯერია.

გივი ნარდს ატრიალებს და კამათელს პარტნიორის მაგივრად აგორებს. ქვებს გადაადგილებს, დაფას ისევ თავისკენ ატრიალებს და ახლა უკვე თავისას აგორებს.

– დუბეში, დუბეში, ჩაგიკუე უბეში. ჰა... ჰა... ჰა... შენე, რა გავაგორე? მეორედაც წყვილი არ დავსვი, ბიჭოს? თან დუბეში... ტასო, უყურებ, რაეხს ვშვრები? ფაქტობრივად, მოგებული მაქვს უკვე ეს პარტია. ორ გაგორებაში მოგიგე, ჩემო შამშე, ორში... რაო, ტასო? შენც მოგიგდა ვისკი? ახლავე, ძვირფასო. შამშე, ქესტუმ, ეს გაგორება არ ითვლება... ცოტა მადროვე.

გივი ნარდს ისევ თავისკენ ატრიალებს, კამათელს-პარტნიორის მაგივრად აგორებს და ხელსაც-თავად-უკოცავს, ვითომც, ქესტუმ, შეჩერდით. შერდევ ქიქარას კითხვებს სანოლიდან მიდის და გასაბერი ქალს ხედავს.

– იცოდე, ეს ერთი იმყოფინე და მეტი აღარ მომთხოვო. მერე არ დაინყო, დამისხი, დამიმატეო, თორემ იმდღევანდელივით დათვრები და გლახად გახდები. მე კიდევ დღეს შენი მოვლის თავი ნამდვილად არა მაქვს. თან, ხომ ხედავ, სტუმარი მყავს. შამშე, ტასომ შემოგითვალა, გივის დღეს მაინც თუ მოუგებ, შემდეგ მოსვლაზე შენს საყვარელ ვაშლისა და ფორთოხლის ნამცხვარს დაგახვედრებო. გესმის, შამშე? ეჰ... მეტი არაა ჩემი მტერი, შენ მე დღეს მომიგო. ჰა... ჰა... ჰა...

გივი ჭიქას თავად ცლის და ტახტს უბრუნდება. კამათელს აგორებს და პარტნიორის მაგივრად თამაშობს. შემდეგ ნარდს ისევ უცვლის მხარეს და ახლა თავის ქვებს დაასრიალებს დაფაზე. ისმის კაკუნი, გივი კარადასთან მიდის და კარს ფრთხილად აღებს. სახე უნათდება და იცინის.

– ტასო, ნახე, ვინ გვესტუმრა? აბა, რად წუნდებოდით, ქალბატონო მაკრინე, განა მე ვერ მივხედავდი ტასოს? გიგო ახლა, რომ ქალიშვილს ფეხი გადაუბრუნდა და მოქანდა უმალ, თითქოს პატარა გოგო იყოს. აბა, მე რისთვის ვარ აქ?

გივის კარადიდან შორიგი გასაბერი ქალი გამოაქვს, ოღონდ ამას მეტად ძველმოდური კაბა აცვია და თავზეც ჭადრაკ პარკი ადევს.

– აი, გაიცანით, ეს შამშეა, ჩემი მეგობარი და თანამზრახველი. ეს კი, ჩემო შამშე, ტასოს დედაა, ქალბატონი მაკრინე. ჩემთვის მართლაც ძალიან სასიამოვნოა ამდენი ძვირფასი ადამიანის ერთ ჭერქვეშ თავშეყრა. აბა, აქეთ მობრძანდით, ქალბატონო მაკრინე. აი, ასე, ტასოსთან ახლოს დაგიდგამთ ამ სავარძელს, რომ თქვენთვის მყუდროდ იტუკუტუკოთ თქვენს ქალურ ამბებზე. შამშე, შენ მანდ არ მოინყინო, ახლავე მოგხედავ.

გივის ცალ ხელში გასაბერი ასაკოვანი ქალი უჭირავს, მეორით კი სავარძელს სანოლისკენ მიათრევს. გასაბერი ქალებს ერთმანეთის პირისპირ სვამს, ახალგაზრდას – სანოლზე, ხნიერს კი სავარძელზე და თავად ტახტს უბრუნდება.

– აბა, ვისი გაგორებაა? ვაჰ, მგონი, სულ ამერია ყველაფერი და დამავინწყდა, ვისი სვლა იყო. ახლა შენი სვლაა, შამშე, თუ ჩემი?

გივი ნარდს რამდენჯერმე ატრიალებს, მხრებს იჩეჩს და ბოლოს კამათელს უგულოდ აგორებს.

– შენი სვლა ყოფილა, ჩემო შამშე. რა არის ეს, რომ დუ-იაქეზე მეტი ვერაფერი გავიგორებო? ასე ვერ გაფრინდები, ჩემო მეგობარო. ახლა კი ჩემი ჯერია და, მესამე წყვილიც თუ გავაგორე, გირჩენია, ახლავე დამნებდე, სანამ მარსი ან კოქსი ნაგიგია. ხომ იცი, ხუთამდე ვთამაშობთ და მერე არ დაინყო, ერთიც ვითამაშოთ, მოდი, ახლა ექვსამდე იყოსო. ისე, ქალბატონო მაკრინე, რამეს ხომ არ ინებებთ? იქნებ, ყავა და ან ჩაი გესიამოვნოთ? ან ცოტა უფრო მძიმე სასმელიც გეამოთ? მარაგში გვაქვს ვისკი, კარგი ხილის ორნახადი ჭაჭა და სამი ლიტრი გორული მწვანე. აბა, რა მოგართვათ? არაფერი? რატომ, განყენივით რამე? მხოლოდ წყალი? მეტი სულ არაფერი? კეთილი, იყოს მაშინ წყალი.

გივი დგება და კარადასთან მიდის. იქიდან 5-ლიტრიანი წყლის ბალონი და ჭიქები გამოაქვს. ბალონს მაგიდაზე და სვამს და ორ ჭიქას წყლით ავსებს.

– ეს შენ, ჩემო შამშე, მოგწყურდებოდა. თან საქმეც არ მიგდის მთლად კარგად და ვგონებ, ცოტა გულის გაგრილება არ განყენს... ჰა... ჰა... ჰა...

გივი ერთ ჭიქას გასაბერი კაცისკენ აცურებს, მეორე კი გასაბერი ასაკოვანი ქალთან მიაქვს.

– აი, ინებეთ, ქალბატონო მაკრინე. მაცივრის არაა, თუმცა გადადუღებულია. მე და ტასო, როგორც მოგხსენებათ, მხოლოდ გადადუღებულ წყალს ვსვამთ.

გივის ჭიქა გასაბერი ხნიერი ქალის პირთან მიაქვს და შემდეგ წყალს თავად სვამს.

– გაამოთ... თუ შეგერგოთ? ნუ, მოკლედ, როგორც ითქმის. კიდევ ხომ არ გნებავთ? არა? მაშინ დაგტოვებთ და შამშეს მიუბრუნდები, თორემ გადამერია კაცი. სამი თვეა ჩემთვის ერთი ხელიც კი ვერ მოუგია და მგონი, დღესაც ტყუილად ირჯება.

გივი ტახტს უბრუნდება და კამათელს აგორებს. გახარებული დასცქერის და ტაშს უკრავს.

– ხომ ჩემი სვლა იყო, შე ღვთის გლახა? კი, ნამდვილად ჩემი სვლა იყო და აბა, მაშინ ახლა, ერთი, შენ თვითონ მითხარი, რა დაჯდა. მიდი, მიდი, თქვი, ნუ გრცხვენია. ჰა... ჰა... ჰა... კი, იაგანია... იაგანი, იაგანი ტრაქიხაბილი დიაკვანი... ჰა... ჰა... ჰა... მესამე წყვილი გავიგორე, შე მართლა არიფო, შენა. ტასო, გეყურება? მესამე წყვილი გავიგორე და ასე იძახის, აღარ მინდა თამაშო. არა, მართლა ძალიან მაგარი ვარ, რა. აღარ მეთანხმები, შამშე? კაი, კაი, ნუ გაიბერები ახლა მეტეოზონდით. მიდი, მიდი, გააგორებლე თამაში და ვეცდები, მეტი წყვილი აღარ გავიგორე. ჰა... ჰა... ჰა...

გივი ვისკის ბოთლიმ დარჩენილ სითხეს ჭიქაში აპირქევეებს და ერთ დიდ ყლუბად სვამს. იჭყანება, ტურქებს მკლავით ინმუნდს და ჯიბეებს ისინჯავს.

– ტასო, გოგო, სიგარეტი სად წაიღე? არა, მაგიდაზე არა დევს. არც მანდაა? აბა, მაშინ სად ჯანდაბაშია? ვითომ გათა-



ვდა? შამშე, შენ ხომ არა გაქვს პაპიროსი? არ ენევი? ა, ჰო, შენ ხომ სპორტსმენი ხარ. ქალბატონო მაკრინე, შემთხვევით თქვენ ხომ არ გეგულებათ სადმე ერთი ღერი სიგარეტი? არა? რა სამწუხაროა... აუ, რა ჩავა ახლა მალაზიაში. მიდი, შამშე, გეხვეწები და შენ ჩაირბინე, რა. ხომ ხედავ, ტასოს ფეხი აქვს ნალრძობი, მაკრინეს მაგას ვერ შევკადრებ და მე კიდევ ამ ხალხს აქ მართო ვერ დავტოვებ. გამოდის, რომ ყველა ვარიანტი შენ უნდა ჩახვიდე. რაო? თუ ნაავებ, მაშინ ჩახვალ? და თუ მოიგე? ცხვარი და ოკლიტრიანი ღვინო ცოტა ბევრი ხომ არ არის, ვაუბატონო? კარგი, კარგი, დღეს შენ ჩემი მომგები მაინც არა ხარ და იყოს ცხვარი და ოკიანი. მაგრამ, მე თუ მოგიგე, მაშინ სიგარეტზეც ჩამეგზავნები და მე რე ჭურჭელსაც შენ დარეცხავ. აბა, როგორია? არის სა-მართლიანი? ჰოდა, მაშინ ჩაარტყი ხელი და დავნაძღვედით.

გივი წამოდგება და გასაბერ კაცს ხელს ჩამოართმევს.  
- მიდი, გაავარე. ჯერ ეს ხელი უნდა დავამთავროთ... ზუმიცა, იქნებ, გირჩევნია, რომ ეგრევე ოინზე შევთანხმდეთ, ჰა? ერთით ნული და ახალი ხელი დაიწყეთ? აბა, რას იტყვი? არ გინდა? არ გინდა და ნუ გინდა. მაშინ აგერ მიყურე, ახლა თუ არ დავსაჯო და მარსი არ მოვიგო.

გივი წარდს ატრიალებს, კამათელს აგორებს და პარტნიორის მაგივრად თამაშობს. დაფას ისევ უცვლის მხარეს და ახლა თავის თამაშს აგრძელებს.

- დუშაში ზარო, შე ნაბოზარო... ჰა... ჰა... ჰა... არა, ნაღდი პოეტი ვარ, რა.

გივი მკერდზე კამათლიან ხელს რამდენჯერმე ირტყამს, აგორებს და დაფას დასცქერის. თავს უკმაყოფილოდ აქნევს, კამათელს იღებს და ორივეს ექვსიანებზე აყენებს.

- სად ტრაკში იყურები, შამშე, შე მართლა ბრუცინაო? აქეთ მოიხედე, ბიჭო და ნახე, რა გავავარე, რა დავსვი... ჰო, დუშაშია, დუშაში... აბა, ჯერ ჭურჭელს დარეცხავ, თუ მალაზიაში ჩასვლა გირჩევნია? რაო? მე ვიტყუები? ეგ საი-დანლა მოიტანე? მე კი არა, შენ იტყუები თუ კარგია. დიახ, მატყუარაც ხარ და ნაღდი აფერისტიც. ერთი ამას დამიხედეთ, როგორ გამითამამდა და რაგებს კადრულობს.

გივი დგება და ოთახში ბოლთას სცემს. სანოლთან ჩერდება და თავს დანანებით აქნევს.

- გესმით, ქალბატონო მაკრინე, რა მითხრა ამ მართლაც აფერისტმა შამშემ? შენ სტყუიო, გესმით? დუშაში არ გაგიგორებია და კამათელი ხელით გაასწორეო. არა... არა... ოღონდ ახლა თქვენ ნუ აღელდებით და საერთოდაც დავივიწყებ ამ ამბავს. ისე კი იცოდეთ, რომ არავის დასაცავი მე არა მჭირს რა და თავადაც მშვენივრად მოვახერხებ ღირსეული პასუხის გაცემას. არა... არა... ძალიან გთხოვთ, თქვენ ნუ ჩაერევით და ნუ დასთხრით თვალებს ამ საბრალო შამშეს. კარგი, რა, ტასო, შენ რაღა დაგემართა? შენ მაინც დანაწყნარდი. შენ მაინც ხომ იცნობ და სულელ შამშეს... შამშეს, რომელსაც ენა წინ გაურბის და გონება კი უკან რჩება. ვაიმე... შამშე, გაასწარი ახლა აქედან დროზე ამ ქალებს, თორემ თუ მოგწვდნენ, შენი ბუნდლაც არ დარჩება.

გივი კმაყოფილი იცინის და გამარჯვებული ივრით ტახტს უბრუნდება. ისმის კაკუნი. გივის სახე ეცვლება. კარადას ფრთხილი ნაბიჯით უახლოვდება და კარს სწრაფი მოძრაობით ფართოდ აღებს. სახეზე სრული გაურკვევლობა ესახება.

- შენ ვინლა ხარ? რაო? ვინ? ვაა... ტასო, გესმის, რას მეუბნება? არა, დაუჯერებელია პირდაპირ. ღმერთი ვარო... ჰა... ჰა... ჰა...

გივის ოთახში ხნიერი გასაბერი კაცი შემოაქვს, რომელსაც თეთრი წვერი აქვს და ტანთ ასევე თეთრი ძველბერძნული ტოგა მოსავს.

- შემობრძანდით, ბატონო ჩემო, და დიდი მადლობა, რომ დაგვაფასეთ. ნამდვილად არ ვართ განებივრებული ღმერთის სტუმრობით. აი, აქეთ მობრძანდით და რადგან სავარძლები დაკავებულია, პირდაპირ ტახტზე დაბრძანდით. პრინციპში, შეგიძლიათ, წამოწვით კიდევ. ისე, აბა, სხვანაირად ვერც იქნება და ღმერთიც ყოველთვის წამოწვლილი უნდა იყოს, რადგან დარდი და ფიქრი მას არა აქვს და... ჰა... ჰა... ჰა...

გივი გასაბერ ხნიერ კაცს ტახტზე აწვენს და თავად მაგიდის კუთხეზე ჯდება.


- უჰ, ბოდიში დამსწრე საზოგადოების გაცნობა დამავინწყდა. ეს ჩემი მეუღლე, ტასო გახლავთ. ნუ ახლა... ჯერ ჯვარი არ დავგინერია და არც ხელი გვაქვს მოწერილი, თუმცა სხვა მხრივ, ნაღდი მეუღლეა, რა. ამჟამად ფეხი აქვს ნალრძობი და ლოგინშიც ამიტომ წევს. ეს კი მისი დედა, ანუ ჩემი სიღვრე, ქალბატონი მაკრინეა. არაჩვეულებრივი პიროვნება. ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზადაა, ჩემს დასაცავად ბრჭყალები გამოაჩინოს და მომხდურს ეკვეთოს. ეს კი, ჩემო ღმერთო, ჩემი მეგობარი შამშეა. შამშე ყოფილი სპორტსმენია და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევს. ისე, ეს ყველაფერი, ალბათ, უჩემოდაც მშვენივრად იცით, რადგან თვით ღმერთი ბრძანდებით, თუმცა, როგორც მასპინძელი, ვალდებული ვარ, კიდევ ერთხელ გავაცნოთ დამსწრენი.

გივი ხნიერ გასაბერ კაცს აყენებს, სხვებთან მიჰყავს და სათითაოდ ხელის ჩამორთმევით აცნობს. ღმერთი - ტასო; ღმერთი - მაკრინე; ღმერთი - შამშე. შემდეგ ისევ ტახტზე აწვენს და თავად მაგიდის კიდევ ჯდება.

- აბა, გვითხარი, ჩემო ღმერთო, რამ შეგაწახა და რა არის შენი სტუმრობის მიზეზი? ასე ვთქვათ, რას უნდა ვუ-მადლოდეთ ასეთ მოულოდნელ დაფასებასა და წყალობას? როგორ? მე გთხოვ? როდის? რაღაც არ მახსოვს, რომ

ჩემთან სტუმრობა მეტხოვოს. არა, ნამდვილად ვერ ვიხსენებ მაგ ამბავს... სხვა ყველაფერი მართლაც შეიძლება მრავალ-ჯერ მქონდეს ნათხოვნი, თუმცა სტუმრად მოსვლა ნამდვილად არ მაგონდება. ისე, შე კი კაცო, ამ თხოვნებზე თუ ასე ოპერატიულად რეაგირებ, რაღა ეს სტუმრობის ამბავი შეისმინე და სხვა ყველაფერს წაუყრე. ჰა? შენ ხომ მაინც იცი, რამდენი რამე მაქვს შენთვის ნათხოვნი. მუხლებიც კი დამიტყავებია და ღამეებაც გამიტხნავს შენთან თხოვნების გზავნით. ერთი ნუთით, ტასო, გთხოვ, ახლა ნუ მანყვეტინებ. სულაც არ არის ამის კითხვა უხერხული და მკრეხელური. რადგან ინება და მესტუმრა, მაშინ ისიც ინებოს და რაღაც კითხვებზე პასუხი გამცეს. აბა, გისმენ, სად იყავი აქამდე და რატომ უგულვებელყოფდი ჩემს თხოვნებს?

გივი ცრიელ ჭიქას იღებს და უკმაყოფილოდ დასცქერის. კარადასთან მიდის და ვისკის ახალ ბოთლს იღებს. უკვე საკმაოდ ნასვამია და ფეხიც ერევა. ისევ მაგიდაზე ჯდება, ბოთლს ხსნის, ვისკის ისხამს, წრუპავს და გასაბერ ხნიერ კაცს დაჟინებით უცქერს.



- ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო... გვედრები... გვედრები... ისმინე ჩემი... ისმინე ჩემი... იცი, რამდენჯერ მომიმართავს შენთვის ამ სიტყვებით? უთვალავჯერ. მართლა უთვალავჯერ... და იცი, შენ რამდენჯერ გამეცი პასუხი? რამდენჯერ ისმინე ჩემი ვედრება? არც ერთხელ. დიახ, შენ ერთხელაც კი არ შეგისმენია ჩემი ვედრება და ახლა კი ასე მოუბრუნებლად მეცხადები და მთხოვ, ჩემს სახლში გიშასპინძლო. ბოდიში და ცოტა თავხედური ხომ არ არის შენი ეს გამოცხადება? თქვენც მადროვეთ, ქალბატონო მაკრინე. ნუ ღელავთ, ამჯერად არავის დაპორტყნა არ არის საჭირო... და ყველამ გაითვალისწინეთ, რომ მე ისეთს არაფერს ვიტყვი, რაც ვინმესთვის შეურაცხყოფელი და უსამართლო იქნება. ამხელა შემოქმედ კაცს პატარა კრიტიკის მოსმენა და ერთობ უწყინარ კითხვებზე პასუხის გაცემა ნამდვილად უნდა შეეძლოს. აბა, გისმენ, ბატონო ღმერთო. სად იყავი, როდესაც ქართულის მისაღებ გამოცდაზე ქულა დამაკლდა და უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩავირიცხე? სად ბრძანდებოდი, როდესაც იძულებით ჯარში წამიყვანეს და თითქმის ორი წელი დაცვის ობიექტში სრულიად მუქთად მამუშავეს რაღაც უსახური ობიექტის დარაჯად? სად დაფრინავდი, ერთ მშვენიერ დღეს კოკისპირულ წვიმაში რომ მოვყვეცი, გაცვივდი, დავსწვდი და შემდეგ არასწორი დიაგნოზის გამო სამუდამოდ ინვალიდი დავრჩი. სად იყავი მთელი ეს დრო? მე ხომ ყოველ ჯერზე გიხმობდი და შეელასა თუ შენვენას გთხოვდი, გემუდარებოდი... შენ არსად იყავი. შენ ჩემთვის არ გეცალა. შენ სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტით იყავი დაკავებული და მე დაგავინწყდი, გამოგრი... შენ არსად იყავი, როდესაც ჩემი ცხოვრების გზა გამრუდდა. ასე მკვეთრად გადაუხვია და სხვა, არასწორ მიმართულებას მიჰყავდა. შედეგად კი აღმოვჩნდი იქ, სადაც ახლა ვარ... არადა, მე ხომ სულ სხვა რამე მინდოდა? მე ხომ სულ სხვა რამეზე ვოცნებობდი? მე ხომ სულ სხვა რამეს გთხოვდი?

გივი მორიგ ჭიქას ცლის და სახეზე ხელებს იფარებს. მხრები უცაცხაბებს და ხმამაღლა ტირის. ტირილი ისტერიკაში გადასდის. ისტერიკა აგრესიაში გადაეზრდება. გივი წარდს ისერის, მაგიდაზე ფეხებით დგება და იწყებს ხტუნვას. პირდაპირ ბოთლიდან სვამს ვისკის და ღრიალებს - სად იყავი, სად? - ფეხი უცდება და მაგიდაზე ენარცხება. მაგიდიდან იატაკზე გორდება. ცოტა ხანი გაუძძრეველად წევს და მძიმედ სუნთქავს.

- ჰო, კარგად ვარ, ტასო... ნუ გეშინია, მგონი, გადავრჩი და არაფერი მომსვლია. შამშე... შამშე... მოდი, კაცო, და ნამოდგომამი შემეშველე. მგონი, ცოტა დავთვერი და თავბრუც დამესხა. ნურც თქვენ იდარდებთ, ქალბატონო მაკრინე. მართლა არაფერი მიჭირს და სრულ ჭკუაზეც გახლავართ. უბრალოდ, ცოტა სასმელმა დამრია ხელი და... ფეხი და... თირკმელი და... ჰო, ღმერთო, იცი, მე თირკმელი მაქვს ამოჭრილი. მაშინ, სწორედ მაშინ ამომაჭრეს თირკმელი, როდესაც შენ გიხმობდი საშველად და შენ კი არ მოხვედი. დამტოვე მართო სამხედრო ჰოსპიტალში იმ თეთრხალათიან

ჯალათებთან და... მართლა, სად იყავი მაგელო ეს დრო? ეს ყველაფერიც ხომ იცოდი?

გივი დგება და ტანისამოსს იწმირებს. თმს ღორებოდ გვერდზე ივარცხნის და მტკიან ხელს იხივავს. კარადასთან მიდის, აღებს და იქიდან ხმალი გამოაქვს.

- იცით, ეს რა არის? ეს იაპონური ხმალია, კატანა. სამურაების სატყვევარია... რატომღაც, როდესაც თვითმკვლელობაზე ვფიქრობ, ყოველთვის კატანა მახსენდება. უფრო სწორად კი კატანათი სიცოცხლესთან გამომშვიდობების ხერხი, აი, სწორედ ისე, როგორც ამას სამურაები აკეთებდნენ ხოლმე. დამარცხებული სამურაები... და მეც ხომ დამარცხებული ვარ? და მეც ხომ მაქვს კატანა? მაგრამ მე არ მაქვს ის ვაჟაკობა, რომელიც ჰქონდათ სამურაებს. და მე არ შემიძლია, ამ კატანათი სიცოცხლე მოვისწრაფო, რადგან მე არ ვარ სამურაი. მე ერთი რიგითი სირი ვარ. კატანაიანი სირი...

გივი ხმალი ქარქაშიდან იღებს და რამდენჯერმე ჰაერში იქნევს. ხელს ნელა ამოძრავებს და ფოლადის ელვარებით ტყეპს.

- სამწუხაროდ, მე თავს ვერ მოვიკლავ. მე უნდა ვიცხოვრო. მე უნდა შევექმნა ჩემი სამყარო. ჩემი პატარა საპნის ბუშტი. ჩემი „ბაბლი“. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩემი ღმერთი უტყვია. აი, ახლაც კი ჩემ წინ ზის და ხმას არ იღებს. მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად ილიმის. ამიტომ მე ვაგრძელებ ცხოვრებასა და ამ წარმოდგენას... ტასო, ქალბატონო მაკრინე, ძნელია შამშე და პატივცემული ღმერთი, ჩვენ ვაგრძელებთ დროსტარებასა და გუგუნს. ბოდიში მინდა მოგიხადოთ ამ ჩემი წამიერი სიშლეგისა და იმ დისკომფორტისთვის, რომელშიც აღმოჩნდით. ახლა ჩვენ ყველანი დავმშვიდდებით. და ისევ ჩვენი კომფორტის ზონებს დავუბრუნდებით. ცხოვრებაც ჩვეულ რიტმში ვაგრძელებდა და ყველაფერიც შესანიშნავად იქნება. აბა, დაიწყეთ...

გივი ხმალი ქარქაში აგებს, მაგიდაზე დებს და ისევ კარადასთან მიდის. იქიდან საშუალო ზომის დინამიკს იღებს, ტელეფონთან აწყვილებს და მუსიკას გამაყრუებელ ხმაზე რთავს. გივი იწყებს ცეკვას. ჯერ საწოლიდან პერანგში გამოწყობილ ტასოს წამოაგდებს და გიჟივით ატრიალებს. შემდეგ მაკრინეს სტაცებს ხელს და ახლა მას აბურთავებს. მერე შამშესა და ღმერთს ერთდროულად აცეკვებს და ბოლოს ყველას ტახტისკენ ისვრის. ენერგიული მუსიკა სულ უფრო მეტად ხურდება. ოთახში განათება იწყებს ციმციმს და იქაურობაც ღამის კლუბს ემსგავსება. გივი მაგიდიდან ხმალი იღებს, აშიშვლებს და ცეკვას აგრძელებს. კატანას გიჟივით იქნევს და როკავს. ყვირის, იფურთხება, ილანძლება და თან გაუჩერებლად ცეკვავს, ბრუნავს... ბნელდება. ისმის მსხვერვისა და მტკრევის ხმა. იატაკზე რაღაც მძიმედ ეცემა. ნათდება. გივი ძირს გდია და აღებინებს. ოთახში სრული ქაოსია. ტახტზე მიყრილი გასაბერი ადამიანები აღარ ჩანან. მათ ადგილზე ბარსელონას ფორმა, ნითელი ატლასის ღამის პერანგი, ძველბოლური კაბა და თეთრი ტოგა აწყვია. თითოსთან თითო გამსკდარი ბუშტი დევს. გივი ბარბაცით დგება და ხმალი ქარქაში აგებს. გაოგნებული შესცქერის ტახტს და მერე ხმალი. ერთს ამოიოხრებს და თავში ხელებს იშენს.

- ჯეს რა დამართე, ჩემო ტასო, ჩემო ცოლო და ჩემო სიცოცხლე? ეს რა მომივიდა და რა ღმერთი გამიწყდა? ასე რამ დამართო და ეს ოხერი ხმალიც ხელში რამ ამალბინა? ახლა რაღა ვქნა, ჩემო საყვარელო ტასო, და ანი ვინ მოვტყნა? თქვენთანაც როგორი შერცხვენილი ვარ, ქალბატონო მაკრინე. სად ვიშოვო ახლა მე თქვენისთანა ერთგული სიდედრი. ვინ ოხერი დამიცავს ანი და დათხრის თვალებს ჩემს დაუძინებელ მტრებს? და შენ, შენ რაღას გერჩოდი, ჩემო ძნო და მეგობარო შამშე? რად არ გამიხმა ეს მარჯვენა, როცა შენზე აღემართე ხმალი? ანი ვინ დავანგრიო წარდსა თუ ტადრაკში? ანი ვინ იქნება ჩემი შეუცვლელი თანამოსაუბრე და თანამზრახველი? შენ კი, ჩემო ღმერთო და დაუპატივებელი სტუმარო, შენ, მგონი, ამას კიდევ იმსახურებდი. სწორედ შენი ბრალია ეს ყველაფერი და შენ რომ არა, მე არ გამოვთვრებოდი, არ გადავირეოდი, ხმალი ხელში არ ავიღებდი და ამხელა ცოდვასაც არ დავატრიალებდი. დიახ, სულ ყველაფერი შენი ბრალია... ახია შენზე, ჩემო ღმერთო, და დიდი სიამოვნებით კიდევ ერთხელ მოგკლავდი, უკვდავი რომ არ იყო და ასე ძლიერ არ მჭირდებოდე...

გივი პერანგს იხდის, ხმალი აშიშვლებს, მუხლებზე დგება და კატანას წვერს მუცელზე იბჯნის.

- ახლა სწორედ ის დროა, თავმოყვარე სამურაებს მივბაძო და მიუხედავად დამარცხებისა, ამ ქვეყნიდან მაინც გამარჯვებული და თავანუული წავიდე. მშვიდობით დედაც, სამშობლოც... მშვიდობით, ჩემო ძვირფასო გასაბერო ადამიანებო. მშვიდობით, ჩემო განუმეორებელი საპნის ბუშტო, ჩემო „ბაბლო“... მშვიდობით, ჩემო ღმერთო, და შემიხედე, თუ კი რამ მიწყინებია... რა? ვერ გავიგე, რამე მითხარი? საყოფაცხოვრებო მალაზიაში წავიდე და სკოჩი და ნასოსი ვიყიდო? და რად მინდა სკოჩი და ნასოსი, მე ხომ თავს ვიკლავ? რა ვქნა? გასაბერი ადამიანები დავსკოჩო და ხელახლა გავბერო? ეეე, რა მაგარია? ეგ კი არ მომეფიქრდა. მგონი, ურიგო აზრი სულაც არაა. ახლავე მივხედავ ყველაფერს. გმადლობ, ღმერთო.

გივი ტანზე იცვამს, ხმალი იატაკში არჭობს, კარადაში შედის და ხმამაღლა მღერის: „აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი მზით ავიღე, მთვარით დავდგი...“



ვლადიმერ სტანჯურიჩა

გული

ნ. ლორთქიფანიძის ნოველის მიხედვით

სამშობლოდან დაშორებით შორს, უცხოეთს გახვეწილი, ქართველ დედას უკვდებოდა ერთადერთი ვაჟიშვილი.

ბევრს ეცადნენ ექიმები, გაიტყუეს ღამით ძილი, მაგრამ სიკვდილს ვერ აჯობებს, ვერ წაართვებს მისი წილი.

- ვერაფერი გავიგეთო, - პროფესორი ხელეებს შლიდა. - ნება დავრთოთ ექსპერტს, გაჭრას, იქნებ, მიზეზს იპოვნოდა.

ბოლოს დართო დედამ ნება, რომ გავიდა ერთი კვირა. გვამი გაჭრეს, პროფესორმა შემოთვლით დაიყვირა:

- ბატონებო, გული?! გული? - მის ადგილზე ფერფლი იყო. სამშობლოს მზეს დანატრული ჩამწვარ-ჩანავლებულიყო!

შენ როგორ ხარ

განგონა ბეღმა

პოეტ ვახტანგ ხარჩილაევას შენ ლექსის წერა გარგუნა ბეღმა, ბოლოხანს ხშირად დარდობ ამაზე: ვყოფილიყავი მოქანდაკე, ანდა მხატვარი, კვალს დავტოვებდი ამ ქვეყანაზე.

ვის სჭირდება ჩემი ლექსები, ან სიყვარულის საგალობელი, როცა ატომი ზეცას აშავებს, გამოსავლის კი არ ჩანს მპოვენილი.

არ გეთანხმები, შენი მკითხველი, ერს პოეზია დღესაც სჭირდება, რამდენჯერ იმედს ვპოულობ შენში, როდესაც სუნთქვა გამიჭირდება.

ხალასი ლექსი, ვით მარგალიტი, თუნდ „ზამთრის ბაღი“, ანდა „კორიდა“, ან „ღამის თოვლი“ მოულოდნელად, როცა გვეძინა, მაშინ მოვიდა.

ვით შეგეცილო, საკუთარ სიზმარს, ვიცო, შენ თვითონ გაუზიარებ, სამშობლოსაკენ სიზმარში ფრენას, რამდენ ემიგრანტს ურჩენ იარებს.

საქართველოზე ზრუნვამ, ალბათ, უკვე დაგლალა, თან განუელი ღვანლის ფარდი არ ჩანს შედეგი! მამონას მონებს გაღვსილი უჭირავთ დანა, მოკლეს შარაძე, ვინ იქნება, ნეტავ, შემდეგი?!

„ლალატიაო ფარ-ხმალის დაყრა“, გახსოვს? მუხრანმა ამოთქვა კენტად. შენ საქართველოს უფარე ფარად - „თქვენ საქართველო გიცვნიათ დედად“.

ეს ერთი ლექსი რამდენ სულში აანთებს სანთელს, რამდენ ებრაელს ძმად გაუხდის იქ ჩასულ ქართველს!

ქართველს, რომელსაც ქვეყნის გარეთ ძმა არ ჰყოლია. ობლობის სევდა ძველთაგანვე გამოჰყოლია.

„იქ ქართულ სულს რომ იმედსა და ნუგეშს შეანეჭს,

თქვენს „შემოგველეს“ შემოგველე, თქვენს „დაგენაცვლეს“.

„დულს საქართველო ისრაელში, ცოცხლობს და ბორგავს, თქვენს ქართულ ჰანგებს ვენაცვალე, თქვენს ქართულ როკვას!“

ოცი წლის შემდეგ

ე...ს ჩემთვის ისევ მზის სხივი ხარ! ისევ ოცდასამი წლის ხარ. რა ვქნა, შენთვის წლები არ მემეტება. და თუ მაინც დაგებრდებით, სად წაუვალთ, დაგვერდებით, ბედს და უფალს ჩვენთვის რაც ემეტება. დღეს კი ჩვენმა ანგელოზმა მონყალებით გადმოგვხედა, მფარველობის კალთა გადმოგვაფარა და გვაჩუქა სასწაული - სიყვარულად ნოდებული. ამის მეტი ნეტავ, კიდევ გვინდა რა!

\*\*\* ე...ს შენ ისევ ფრთხილობ, ისევ მეკრძალვი. თუმცა მე გამიხსენ ძველი იარა. რატომ მიღიმი, რატომ მეძახი, თუ მონატრებამ არ მოგიარა?!

თავზე ხელს ვიღებ და მოგიტაცებ, ჩაგიკრავ მაგრად, მაგრად უბეში და გაგაქროლებ ტატოს მერანით უკან, დარჩენილ სიჭაბუკეში.

შემოგატარებ იმ მთებს და ველებს, მაშინ რომ უნდა შემოგვერბინა,

მაშინდელ მთვარის შუქზე გატარებ, დაგვათენდება თავზე ის დილა, შენ სიცილ-კისკისის ისევ მოვისმენ და შევსვამ ნექტარს შენი ბაგიდან და დაიწყება კვლავ ის ზღაპარი, რაც ინყებოდა დასაბამიდან!

\*\*\* შენ წმინდანი ხარ, ჩამოსული სანთლის აღიდან, ვაზის ჯვრით ხელში შორი გზიდან ჩემთან მოსული. მართალი რწმენის შემომტანი დასაბამიდან, ამ გაზაფხულზე ნათლის სვეტად ზეგარდმოსული.

ნატიფი მხრებით მოგაქვს ტვირთი გაუსაძლისი, ისე ამაყად, არ შეგცვლია სახის იერი. შენ ძალას გაძლევს დედობრივი წმინდა საწყისი და უფლის რწმენა, ყველაფრისთვის ხარ მადლიერი.

ვკადნიერდები, ანგელოზო, მაგრამ გამიგებ, ჩვენს შეხვედრაში ურევია თავად განგება. ჩვენი სულები დაანყვილა არსთა გამრიგემ და დაგვანათლა სიყვარულის არსის გაგება.

მე შენში ვიცან განწმენდილი სული ობოლი, ასე მძიმე გზით თუმცა დაღლილი, პირმშენიერი, ისეთი ნაზი და სათუთი, როგორც ფოთოლი, თანაც ქალური ნებისყოფით ასე ძლიერი.

ორნი თუ ერთურთს აღმერთებენ, გვმოძღვრავს უფალი, მათ შუა მე ვარ, და იქმნება წმინდა სამება. შენ დამატყვევე, მე აღარ ვარ თავის უფალი, ჩემო ყინწვისის ანგელოზო, ზარზმის ზმანებაე.

მოდო, სიონში დავიჩოქეთ საკურთხეველთან, ღამენათვენი, ლოცვით შეგვხედეთ ერთად აღიონს. გამოვიტხოვოთ შენდობა და მყოფები ღმერთთან, გავენდოთ ერთურთს და ვემთხვიოთ წმინდა ამბიონს.

მამადავითი მზის სხივით რომ შეიმოსება, უკვე ვიქნებით უფლის მიერ ნაზიარები, ჩვენს გულის ცემას აწყვება და დიდებულ მესსად ამღერდებიან სამრეკლოზე ცისკრის ზარები!



ოტორნიკა კანაკლაძე

დაიბადა თბილისში 1997 წელს. დაამთავრა თბილისის 67-ე საჯარო სკოლა, შემდგომ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით. ამჟამად სწავლობს ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის პირველ კურსზე.

რედაქტორობს სტუდენტურ ლიტერატურულ ჟურნალს „ანდამატი“.

მოგავალი ნიგნიდან „ქარბის სახლი“

იყო პოეტი

იყო პოეტი, - რა გიხარია? ეს დანყვევლაა, სხვა არაფერი, აქ ყველაფერი მხოლოდ ქარია, შენ ინსტრუმენტი ხარ ჩასაბერი.

შენ სანთელი ხარ, ანათებ, იწვი, მაგრამ ვერ თბები და შენთვის ბნელა,

და თუ ჩაქრები, კარგადვე იცი, ეს უარესი იქნება წყევლა.

შენი ბეღია დიდი ძეგლები და ყვავილებით საფლავი სავსე, სიცოცხლეში კი მხოლოდ ეკლები, ეკლები გზებზე, ეკლები თავზე.

შენთვის სასახლეც ეს არის სორო, არ მნამს, ცხოვრება რომ თქვა „ავინყე“, ქვეყნად ყველაზე მძაფრად შენ ცხოვრობ ქვეყნადცხოვრებაგადანავინყი.

დადიხარ, უფრო სწორად კი, დაქრი, დაქრი და არსად არა გაქვს ბინა, დაქრი და ყველგან შენია სახლი, მხოლოდ ამ ქროლვით არ მოგეწყინა.

მხოლოდ ქროლაში, მხოლოდ ქროლაში, ამ უთავბოლო ქროლაში მხოლოდ ოქროს ნუთების არის კოლაჟი, შენი სიცოცხლის თავი და ბოლო.

იყო პოეტი, - ნუ გიხარია, ანდა, იხარე, გულს ნუ აქვს ბზარი, შენი სიცოცხლეც ეს ხომ ქარია, შენ ხომ არასდროს არა ხარ მკვდარი!

ბიძგე

ახლა, როდესაც ამ წერილს გინერ, ღამეა, ირგვლივ არავინ არის, ვდგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.

თითქოს ომიდან მე დაგიბრუნდი, ისევ წრეში ვარ სახემლიმართა, დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდ-ბუნდი, როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.

რალაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან, დიდი ხანია, რასაც თვალეები არ შეხვედრიან და თითქოს რუკა მე მანვალეება გაფერმკრთალეებით.

შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა! ვინ გადაურჩა სულის ობლობას? მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ, ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?

სულში რა ხდება, მხოლოდ შენ განდობ, მე შენთან ვხაროთ თავისუფლებით, არ გეკრძალება ერთი შენ მარტო, მიგლოვო, თუკი დავიღუპები.

ჯოჯოხეთში ვარ, თუ ვერ გიგონებ და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ, და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს, ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.

არ დამემდურო, გიცქერენ სადაც ღალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით, იქ გულგრილობა მშვიდი და სადა მოგერეოდა შენც უნებური.

როდემდე უნდა ენთოს სანთელი? როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?

როდემდე უნდა მან წინანდელი გადაივიწყოს გულმწყურვალეება?

მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს, როდესაც ვხედავ, რა ფიქრით სდუმან, რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის, შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უმალ.

თუ მიკავია მერნის სადავე, თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვითიურობს, ნეტავ, ვიცოდე, შენთვის რადა ვარ ასეთი უცხო, გზავ, მშობლიური!

მე მახსოვს სითბო შენი თითების, როცა ყველასთვის უცხო ვიყავი, ძირს დაცვნილი მარგალიტები და მოსროლილი სადღაც ნიღაბი.

ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გნამდეს! ჩემი ტკივილიც მოიძევს საფლავს და ყველაფერი დასასრულამდე მივა, რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.

არაფერია, ჩემო ძვირფასო, ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი, ბევრი წარწერა ვნახე კვირბაზე, მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი.

და ახლა, როცა ამ წერილს გინერ, ვისმენ სიხარულს შორეულ ჭერის, კვლავ ჩვენს საოცარ ამოვედ ხიდზე და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

### სამსოფლიო მოვლენების

მრავალი წლის წინათ მისიპოპულარული ამერიკელი ფერმერი გავიყვანი, 70 წლისა იქნებოდა. რაღას არ მოვლენარი ცხოვრებაში, მეუბნებოდა, - ვიეტნამის ომი, მეორე მსოფლიო ომი, მანამდე კიდევ დიდი დეპრესია, იმის წინ კიდევ, ჩემს ბავშვობაში, - პირველი მსოფლიო ომი იყო. არადა, ამათგან პირადად მას მხოლოდ დიდი დეპრესია თუ შეეხო, ისიც - გაკვირვებით. დანარჩენი ყურმოკვრით იცოდა.

ხოლო სწორედ მაშინ, როცა ის ამერიკელი თავისი მრავალწლიანი მსახურით მტრებადებოდა, საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ვერ კიდევ ცოცხალი იყო ხალხი, ვინც არათუ მოესწრო, თავადაც მონაწილეობდა ამა თუ იმ ფორმით რუსეთის ორ რევოლუციასა და ორ მსოფლიო ომში. ის კი არა, ზოგიერთ მათგანს რუსეთ-იაპონიის ომიც ახსოვდა.

რას წარმოვიდგენდი, თუ წლები მერე მეც ასეთი მრავალმხარეული აღმოჩნდებოდი!

მართლაც, პირად ამბებს და სამოქალაქო ან ლოკალურ ომებს თუ არ ჩავთვლით, ჩემს თვალწინ მსოფლიო ოთხჯერ ძირფულად იცვალა სახე, ოთხი დიდი სამსოფლიო ტრანსფორმაცია მოხდა:

1. საბჭოთა კავშირის დანგრევა თანამედროვე მოვლენებით;
2. საკომუნიკაციო და საინფორმაციო რევოლუცია თავისი ინტერნეტით;
3. კოვიდ-19-ის პანდემია;
4. რუსეთ-უკრაინის მსოფლიო ომის დასაწყისი მიდრეკილი ომი.

ოთხეულ ამ მოვლენამ საფუძვლიანად შეცვალა მსოფლიო წესრიგიც, ჩემი ქვეყანაც და მეც პირადად.

და რაც მთავარია, არც ერთი ამ მოვლენათგან ვერ დასრულებული, ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე დასრულებული არ არის. ყველა მათგანი ვერ კიდევ პროცესია და არა ისტორია. და რომელი როდის დასრულდება, არავინ იცის.

ნეტა მოვესწრები თუ არა მათ დასრულებას?

არც ის ვიცი, მოხდება თუ არა ჩემს სიცოცხლეში მესხუთე ასეთივე ყოვლისშემძველი რამ.

წარმოვიდგენია იმათი მდგომარეობა, ვისაც ამ ყველაფერთან ერთად ქვეყნის გამოცვლის ან ცოლის გამოცვლის სტრუქტურა აქვს განცდილი!

### გარინა ოსიანნიკოვასი

14-საათიანი დაკითხვა კი მოუწყეს, მაგრამ მერე, სულ რაღაც 30 ათასი რუბლით დააჯარიმეს, არადა, რაც მარინა ოსიანნიკოვამ გააკეთა, მათას რუსეთის თვითმფრინავის წითელ მოედანზე დაუდომას შეიძლება შეეძაროს და თანამედროვე რუსეთის სტანდარტით, გაცილებით დიდ სასჯელზეც გაქაჩავდა.

რა გააკეთა და, 14 მარტს, რუსეთ-უკრაინის ომის მე-18 დღეს, პირდაპირ ეთერში შეუვარდა „ვრემიას“ უკმადავ ნამყვანს ეკატერინა ანდრეევას და მის ზურგსუკან ანუ მრავალმილიონიანი მსოფლიოს თვალწინ ინგლისურ-რუსული ხელნაწერი პლაკატი ააფრიალა:

„არა ომს! გააჩერეთ ომი! ნუ დაუჯერებთ პროპაგანდას! აქ თქვენ გატყუებენ! რუსები ომის წინააღმდეგ!“

ეკატერინა ანდრეევას წარბი არ შეუხრია, მშვიდად გააგრძელა ცენზურის მიერ დავარცხნილი ტექსტის კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოუწოდებდა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ბელარუსის პრემიერ-მინისტრს, გაეძლიერებინათ თანამშრომლობა საერთაშორისო სანქციების წინააღმდეგ.

ხოლო მარინა ოსიანნიკოვა - პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი, მეორე დღეს ოსტანკინოს რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა შეუთანხმებელი საჯარო ლინისტიკების ორგანიზების მუხლით, რომელიც 10-დღიან პატიმრობას, ფულად ჯარიმას და 50-საათიან იძულებით შრომას ითვალისწინებს, მაგრამ სასამართლომ, როგორც ორი მკვირვლოვანი შვილის

დედას, მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარა, რაც იმდენადედალი კურსით სულ რაღაც 270 დოლარი იყო. მაგრამ, როგორც ამბობენ და წერენ, ეს ამბავი ამით არ დამთავრდება - იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 207-3 მუხლით - რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ შეგნებულად ყალბი ინფორმაციის საჯარო გავრცელება. რუსეთის დუმის თავმჯდომარე ვიარესლავ ვოლოდინმა სამართალდამცავ ორგანიზებს მოუწოდა, მთელი სიმკაცრით განიხილონ ოსიანნიკოვას საქციელი და დუმის უშიშროების კომიტეტს საქმის კონტროლზე აყვანა დაავალა.

ოსიანნიკოვას საქციელს მართლაც ისეთივე რეზონანსი მოჰყვა მთელ მსოფლიოში, როგორც 1987 წლის 28 მაისს მოყვარული გერმანელი მფრინავის მატას რუსეთის დაშვებას მოსკოვის ცენტრში, ან - დისიდენტ ნატალია გორბანოვსკაიას გამოსვლას 1968 წლის 25 აგვისტოს დე-

თურმე სწორედ მარინა ოსიანნიკოვას გამო არ დაუწინავეთ რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის საკუთარ კორესპონდენტად კრასნოდარის მხარეში, რადგან „ვრემიას“ ყოვლისშემძლე დირექტორს რუსეთს ეს ადგილი ოსიანნიკოვასათვის ნდობები.

პირველი არხის ვაშინგტონის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი იგორ რისკინმა ოსიანნიკოვას საქციელს პროგრამა „ვრემიას“ საუკეთესო ეპიზოდი უწოდა მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ უზრუნველყოს ოსიანნიკოვა დიპლომატიური დაცვით და მისცეს მას პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთში.

ოსიანნიკოვას აქციას უფრო დიდი რეზონანსი ჰქონდა როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ვიდრე რადიო „ეხო მოსკვის“ მთავარი რედაქტორის ალექსეი ვენედიქტოვის მოხსნას და საერთოდ ამ რადიოს დახურვას.

მოეტისა და კინორეჟისორის ირინა ცილიკის ფილმი „დედამინა ცისფერია, როგორც ფორთოხალი“ დონბასში გადაღებული და ფონად ომის ამბები გასდევს. უკრაინა-ლიტვის ამ ერთობლივმა დოკუმენტურმა ფილმმა საუკეთესო რეჟისორისათვის პრიზი დაიმსახურა 2020 წელს სანდერსის საავტორო ფილმების ფესტივალზე პარკ-სიტიში (იუტა, აშშ) და მას შემდეგ კიდევ ათზე მეტი სხვადასხვა პრემია მოიპოვა.

სათაური მომწონს ძალიან. პოლ ელუარის სიტყვებია: „დედამინა ცისფერია, როგორც ფორთოხალი“. რატომაც ფორთოხალი ცისფერი, მხოლოდ ელუარმა და მისმა მამინდელმა სურურეალიზმმა იცინა. რაც შეეხება დედამინას, აბა ელუარს საიდან ეცოდინებოდა, რომ პირველმა კოსმონავტებმა, რომლებმაც გარედან შეხედეს დედამინას, მას სწორედ „ცისფერი პლანეტა“ უწოდეს.

როგორც ფილმის რეჟისორი ამბობს, მას ეს სათაური მისი სურურეალისტური

ტრი, 41 წლის დმიტრო კულება ნუ-მელიც დრომ და შედისწინაშე სისუთ-ორ-ომ-ტრიალში, მოსკოვიდან, რომ სამეფუაროც შეეჩინებოდა მინისტრობის შემდეგ.

ხოლო გამინისტრებამდე, 2019 წელს კიევში გამოცა მისი წიგნი „ომი რეალისთვის (როგორ გავიმარჯვოთ სიყალბეების, ტყემატიტებათა და ვაგუფების სამყაროში)“. ჩემთვის ხელმისაწვდომ ენებზე ამ წიგნის მხოლოდ ფრაგმენტებია გამოქვეყნებული და ბოლომდე ვერ არ ნამიკითხავს, თუმცა ამთავითვე შეგულბული მაქვს იმ წიგნთა შორის, რომლებიც უნდა გამოვიყენო ჩემს საუნივერსიტეტი კურსში „ინფორმაციული ომები“, რომელზეც ახლა ვმუშაობ.

დმიტრო კულებას წიგნი მასობრივი ინტერნეტზაცისა და დიჯიტალიზაციის ეპოქაში ინფორმაციით მანიპულირების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი სახელმძღვანელოა, რომელშიც ავტორი უკრაინისა თუ სხვა ქვეყნების კომპანიების მაგალითზე განიხილავს მოზღვავებულ ყალბ ინფორმაციაში რეალური სურათის დადგენისათვის ბრძოლის მეთოდებს. წიგნი რუსეთის მიერ აგრძობის მოვლენების შემდეგ დაინერა და ავტორი გულსიტკოვით აღნიშნავს, რომ ამ მოვლენებისას დიდი როლი შეასრულა საინფორმაციო ომში უკრაინის დამარცხებამ. კულებას დასკვნით, უკრაინა არ აღმოჩნდა მზად, დაეცვა თავისი საინფორმაციო სივრცე.

„ტელევიზია, სოციალური ქსელები, ინლაინ-პლატფორმები და ვაგუფები, რეკლამა, ბლოგები, ფიკები თუ ნებოსმიერ თემაზე რამდენიმე სიმართლის არსებობა ყოველწუთიერად გარს აკრავს თითოეულ ჩვენგანს, - წერს დმიტრო კულება ამ წიგნში, - სხვადასხვა ძალა ყოველი მხრიდან გვებრძვის, რათა გვლენა იქონიოს სინამდვილის ჩვენულ აღქმაზე და გადაგვიბროს. თავად ჩვენც, ხშირად გაუცნობიერებლად, ამ ბრძოლის მონაწილეები ვართ. წიგნი სწორედ იმაზეა, როგორ გავიმარჯვოთ ამგვარ ბრძოლაში. ნაკითხეთ, თუ გსურთ, იპოვით საყრდენი წერტილი საყოველთაო ინფორმაციულ ნარღვანში, გაიგოთ, თუ როგორ არის მოწყობილი კომუნიკაციური ომის მანქანა და არ მისცეთ სხვებს თქვენი ემოციებით, შეხედულებებითა და არჩევანით მანიპულირების საშუალება.“

რა იცოდა დმიტრო კულებამ, როცა ამ წიგნს წერდა, რომ უწინარეს ყოვლისა, ის თვითონ მას გამოადგებოდა სახელმძღვანელოდ, როცა რუსეთის წინააღმდეგ პიბრდულ ომში ჩაებმებოდა, როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი!

მე, რა თქმა უნდა, შეუშინველი არ დამრჩენია, რომ დმიტრო კულებას გვარი უმარტოესი კომბინაციით ანაგრამულად ქმნის ქართულ გვარს - უკლება. მიხილ უკლება მთლად მინისტრი არა, მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კი იყო 2004-2005 წლებში. ხოლო 2013-2017 წლებში იგი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ უკრაინაში. მაშინ დმიტრო კულება უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და იქნებ არარეზიდენტ შეხედნენ კიდევ ერთ მანეთს კულება და უკლება. ნეტა თუ იცოდნენ მაშინ, ან ახლა თუ იციან, რომ ერთმანეთის ანაგრამები არიან?

### ნიუსმედიკაჰისა

ჩვენ, ნოსმედიკაჰი, - ყელი მოულერება ტელეკრანიდან და გულზე ხელს იბრაგუნებს.

როგორც არ გამიკვირდეს, რომ ერთ-ერთ ყველაზე ხმამაღალ ქართველ ტელენამყვანს თავისი თავი ნოსმედიკერი ჰგონია! ის კი არა, ჟურნალისტიკის ზოგიერთი პროფესორიც ასე ფიქრობს. არადა, სწორედაც პირიქით - ნოსმედიკერი ის „ცნობადი სახეები“ არიან, ვისაც ეს ხმამაღალი ჟურნალისტიკა თავიანთ გადაცემებში ემატიტებთან, ვისი კომენტარიც, მათი აზრით, საზოგადოებას აინტერესებს და ვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არცთუ იშვიათად მართლაც რომ ნოსთა.

►► ბარბაქლეზა იქნება



# ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

## კაატა ნაცვლიზმილი

მონსტრაციაზე ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შესვლის წინააღმდეგ.

ამ ინციდენტის შემდეგ გამოქვეყნდა მარინა ოსიანნიკოვას მიერ წინასწარ ჩანერილი განცხადება, სადაც მან საჯაროდ შეინანა და ბოდიში მოუხადა საზოგადოებას, რომ წლების განმავლობაში თვითონაც ამ პროპაგანდისტული მანქანის ნაწილი იყო და ხმას არ იღებდა. ხოლო რუსული ტელევიზიის მათუსალამ - ეკატერინა ანდრეევამ, რომელსაც „ვრემია“ ვერ კიდევ წინა ათასწლეულში მიჰყავდა, თავისი წარბ-შეუხრებლობა იოგათი ვარჯიშით ახსნა. სხვათა შორის ეკატერინა ანდრეევამ, სანამ ტელევიზიაში მივიდოდა 1990 წელს, მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და მისი სადიპლომო თემა სტალინისა და პიტლერის რეჟიმების მსგავსება-განსხვავებანი იყო. ვინ იცის, თავის შესაძლო მემუარებში რუსეთის დღევანდელი რეჟიმიც შეადაროს იმ ორს, უკვე საკუთარი გამოცდილების მაგალითზე.

ხოლო თავად მარინა ოსიანნიკოვა უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე „ნოვია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი დმიტრი მურატოვი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ მშვიდობის ნობელის პრემია მიიღო სიტყვის თავისუფლების დასაცავად განუღი ძალისხმევისათვის.

## რუსკიმირიისა, ჩინავპორდისა და სხვათა

რუსულენოვანი მოსახლეობა უნდა გადავარჩინოთ და დავიცვათო, რუსკი-მირზე - რუსულ სამყაროზე ვწუხვართ და ვზრუნავთო!

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩინეთმა ჩინურენოვან მოსახლეობაზე დაიწყო ზრუნვა და მსოფლიოს ყველა ჩინაბაჭუნი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიაროს ან მათი ერთ დიდ ჩინაწარმდ მიგერ-თანება მოინდომოს!

ან ესპანეთმა რომ გადაუაროს მთელ ლათინურ ამერიკას ესპანურენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით!

ან დიდმა ბრიტანეთმა რომ ინგლისურენოვანი მოსახლეობის დაცვის მიზნით ყველა იმ ქვეყანას უკრაინა დაატეხოს თავს, სადაც ინგლისურად უკეთ ლაპარაკობენ, ვიდრე, ვთქვით, საქართველოს მოსახლეობა ლაპარაკობს ქართულს!

აბა, ის იქნება თუ იქნება, არმაგედონი!

## ომიანოვის მრავალი ვერისა

ადრე მქონდა ნაწყვეტები ნანახი და ახლა ის რუსეთის უკრაინაში შეჭრის პირველსავე დღეებში შემახსენეს ტელეარხ „ნასტოიაშივე ვრემიაზე“ საბრძოლო რეპორტაჟებს შორის. უკრაინელი

ბუნებისა და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის გამო აურჩევია, რაც, მისი აზრით, კარგად გამოხატავს დონბასში არსებულ სიტუაციას.

თუმცა ამ ფილმის ავტორისთვის მთავარი არა ცისფერი, არამედ ყვითელი ფერი უნდა იყოს. ფილმის სამუშაო სათაური „ყვითელი ავტობუსი“ ყოფილა. „ყვითელი ავტობუსი“ ერქვა უკრაინულ პროექტს, რომლის ფარგლებში კინორეჟისორები ქალაქ-ქალაქ დადიოდნენ და მსურველებს კინოს ანაბანას ასწავლიდნენ. ასე აღმოაჩინა ირინა ცილიკმა თავისი მომავალი ფილმის გმირი.

და აქვე კიდევ ერთი ფერი - წითელი: ფილმი ეხება 36 წლის ანას, კინომოყვარულს, რომელიც ომიანობისას მარტო ზრდის ოთხ შვილს დონბასის ეგრეთ-ნოდებულ „წითელ“ ზონაში.

ხოლო ეგრეთწოდებული „წითელი ზონა“ შავია, როგორც ყველა ეგრეთ-ნოდებულ „მშვიდობისმყოფელის“ ანუ ყველა აგრესორისა და ოკუპანტის გული!

## კულებასი და უკლება

საგარეო საქმეთა მინისტრები ყველა ქვეყნის მთავრობაში გამოჩენილები არიან თუნდაც იმით, რომ ერთ-ორ უცხო ენას ფლობენ და ბევრს დამოგზაურობენ მსოფლიოში. გამინისტრების შემდეგ არაერთი მათგანი საინტერესო წიგნსაც წერს ხოლმე მემუარებისა თუ სახელმძღვანელოს სახით.

მაგრამ იშვიათია შემთხვევა, რომ ადამიანს ვერ წიგნი დაეწეროს და შემდეგ გამხდარიყოს საგარეო საქმეთა მინისტრი. სწორედ ასეთია უკრაინის მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტ-

**ლევან ჟვანია**, ისტორიკოსი, მკვლევარი, პირველი რანგის საჯარო მოხელე, 1985 წელს სენაკში დაიბადა, ჰყავს ექვსი და-ძმა; 2008-2009 წლებში სწავლობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 2003-2008 წლებში – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე; იყო უნივერსიტეტის ხალხური სიმღერის ანსამბლის წევრი, ამასთან, 2001 წელს გახდა შავი ქამრის მფლობელი ტაიკვანდოში, აქვს მესამე დანი, არის საერთაშორისო ტურნირებისა და საქართველოს მრავალგზის გამარჯვებული; 2010-2015 წლებში იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე, 2012 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა ისტორიულ-მემკვიდრეობითი გაზეთი „ჩვენი ბასიანი“. იყო ამ გაზეთის რედაქტორი; 2012-2018 წლებში ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა შემოქმედებით კავშირს „იბერიონი“; 2012-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, 2013-2016 წლებში საქართველოს ტაიკვანდოს ფედერაციის (ოლიმპიური) ვიცეპრეზიდენტისა, 2014-2016 წლებში – თბილისის ტაიკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტის გენერალური მდივანი. მას უკავშირდება რეგიონებში ტაიკვანდოს პოპულარიზაცია. იგი მწვრთნელად მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სკოლაში. ერთხანს ისტორიისა და მსოფლიო კულტურის მასწავლებლად იმუშავა რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმში“, იგი მუდმივად თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა გოეთეს ინსტიტუტი და „One Caucasus“ და სხვა, რომლის ფარგლებში ატარებს საჯარო ლექციებს ისტორიის საკითხებზე. 2015-2017 წლებში იყო ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე. 2017 წლიდან დღემდე ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია.

ამ ბიოგრაფიის ადამიანთან შეხვედრა ურნალისტიკისათვის, დამეთანხმებით, ერთობ საინტერესოა. გარდა ამისა, ბატონ ლევანს სამსახურებრივი მოვალეობის გამო ყოველდღიური კავშირი აქვს ქვემო ქართლის შვიდივე რეგიონთან და ეთნიკურად ჭრელი რაიონების ასავალ-დასავალი კარგად იცის. რაკი იცის, მიზანმიმართულად ცდილობს ამაყობს კავშირს და მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ტუბილ-მწარე ყოველდღიურობის უშუალო მონაწილეა. ლევან ჟვანია, მაღალპროფესიონალი ისტორიკოსი, წერის ნიჭითაც არის დაჯილდოებული და შესაშური უნარით უთავსებს ერთმანეთს სამსახურსა და სამწერლო საქმიანობას. მან ქვემო ქართლში საქმიანობა მიზნობრივად გამოიყენა იმ ეროვნული ღვაწლისათვის, რომ მიაგნოდა აღმოჩენას თითქმის დაკარგებული, გასული საუკუნის ოციანი წლების მოდერნიზაციის მწერლის ბასილ მელიქიშვილის სახელი და მისი შემოქმედების ერთ კრებულში მოქცევისათვის იზრუნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლევანს ბავშვობიდანვე ახლო ურთიერთობა აქვს ცნობილ ქართველ მწერალთან, პუბლიცისტსა და კრიტიკოსთან, ბატონ ლერი ალიმონაკთან, მისი ლიტერატურული გემოვნების თანამოაზრეა და კარგად ერკვევა, რა წეროს, ვისზე და როგორ, რათა შედგეს ტრიადა – ავტორი, წიგნი და მკითხველი.


ლევან ჟვანიამ სულ ბოლოს გააგრძალა თანამშრომლობა საქართველოში განახორციელა ძალიან საინტერესო წიგნის „თურმანი“ შედგენა-გამოცემაც და სრულიად გულწრფელად ვუსურვოთ, რომ კვლავ ბევრი ახალი წიგნით გაეხარებინოს მკითხველი – მას ეს შეუძლია. ბასილ მელიქიშვილის ტრაგიკული ბიოგრაფიის გაცნობისა და მისი მაღალმხატვრული ნაწარმების ნაკითხვის შემდეგ მკითხველს გაორების გრძნობა უჩნდება: ტრაგიკული ბიოგრაფია, ცრემლით რომ იკითხება, და ასე მაღალმხატვრული შემოქმედება, რასაც, ვგონებ, სხვა თუ არავინ, ყველა ფილოლოგი უნდა იცნობდეს და ქართული მწერლობის ისტორიის ცოდნა ამ წიგნის ნაკითხვითაც შეივსოს.

ეს სექმატური ჩამონათვალი პიროვნების შესახებ აზრს დაკარგავდა, თუ არ აღვნიშნავდით მთავარს – სადაც კი ლევან ჟვანია

სწავლობდა, მუშაობდა და სადაც ამჟამად საქმიანობს, მხოლოდ სიყვარული და აღიარება მოიპოვა. ამ განათლებული, წინდახედული და კარგად აღზრდილი ადამიანის მაღალზნობრიობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ განსაკუთრებით რუსთავეში, მთელ ქვემო ქართლშიც, სადა კ, როგორც აღვნიშნეთ, შვიდი რეგიონული დანაყოფი – ცენტრით რუსთავი. ამ ქალაქმა სრულად ბუნებრივ გარემოში გამოარჩია, მოიწონა და აღიარა ლევან ჟვანია, როგორც თანამდებობისათვის შესაფერისი კადრი და ერთდროულად რუსთაველი ცხოვრებით, მისი ყოველდღიურობით ძალიან დაინტერესებული კაცი, და კიდევ, დახვეწილი ინტელიგენტი, რომლისთვისაც ძალიან საინტერესო იყო და არის რუსთავისა და ქვემო ქართლის სამწერლო საქმიანობა და ნიჭური შემოქმედთა აღიარება-დაფასება.

ლევან ჟვანია ენერგიული ადამიანია, მუდმივად განონასწორებული, ბევრს სწავლობს უფროსებისაგან და მიიჩნია, რომ თაობათა კავშირი ისევე აუცილებელია საზოგადოების წინსვლისათვის, როგორც თავად სამოქალაქო საზოგადოების (და არა ბრბოს) არსებობა ქვეყნისათვის.

ლევან ჟვანიას, როგორც ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანის, შესახებ თხრობას, მისი შემოქმედებითი საქმიანობით განვაგრძობთ. რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონულ სამწერლო ორგანიზაციას ლევანმა წლების წინათ გააცნო თავი თავისი პირველი პოეტური კრებული. შემდეგ შეხვედრებზე ისიც გაგვანდო, რომ სამწერლო საქმიანობა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნა იყო და ახლო მომავალში, როგორც ისტორიკოსი და ლიტერატორი, ახალი სათქმელით გაგვახარებდა. სამწუხაროდ, თავს დატეხილმა ეპიდემიამ, როგორც ბევრს, ლევანსაც ერთი მხრივ ხელი შეუშალა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ე.წ. მოცალეობის პერიოდი მან ფრიად ნაყოფიერად გამოიყენა და მკითხველს 2018 წელს წარუდგინა „წიგნი სახელწოდებით, „მზის სისხლი“, რომელიც შედგენილია გასული საუკუნის დასაწყისის მოდერნიზაციის პოეტის ვანლერ დაისელის ნაწარმებით. ეს ის ავტორია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შურიგებული დარჩა ბოლშევიკურ



## მაღალპროფესიონალი ისტორიკოსი ახალი კვლევებით

რი რეჟიმისადმი. მიუხედავად არაერთი დაკავებისა, დევნისა, მძიმე სულიერი და ფიზიკური მდგომარეობისა, ეს ახალგაზრდა კაცი არ უშინდებოდა არსებულ ტოტალიტარულ რეჟიმს და ებრძოდა მას. მრავალჭირნახული პოეტი საპყრობილეში ტუბერკულოზითა და ნევრასთენიით დაავადდა, მაგრამ არ გახდა საბჭოთა მარნუხებში მყოფი ხელისუფლების ლაქია. 1903 წელს დაბადებული ვანლერ დაისელი, სავარაუდოდ, 1932 წელს გარდაიცვალა „დაუმორჩილებელი შემოქმედი“... მის შესახებ ლევან ჟვანიამ ბევრი რამ შეიტყო ბატონი ლერი ალიმონაკისაგან. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მკვლევარი ლევან ჟვანია მართლაც „შეხვდა“ ვანლერ დაისელს, ამავე დროს დაუკავშირდა ქალბატონებს, ნინო ხოფერიას და თეა თვალთავაძეს.

ამ წიგნის შესავალ ნერილში, რომელიც ლევან ჟვანიას ეკუთვნის, ვრცლადაა ნათქვამი მკვლევრის ჩანაფიქრისა და სამწერლო მიზნის შესახებ, რაც აშკარად აჩვენებს თანამედროვე ეროვნული ცნობიერებით სავსე ქართველი შემოქმედის დამოკიდებულებას ისტორიულად ღირებული სახელების მიმართ, წიგნი დაყოფილია თავებად, „პოეზია“, „გამოუქვეყნებელი ლექსები“, „წერილები და ჩანაწერები“, „შსს. არქივიდან“ და „ფოტოები არქივიდან“.

ვანლერ დაისელის შინაარსითა და ფორმით ძალიან საინტერესო პოეზიასთან ერთად მეტისმეტად მნიშვნელოვანია თავი „ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი“ ორი დაკონკრეტებული ანალიზით: „გულის ბურთებით ნასროლი პოეზია“, რომლის ავტორია ქალბატონი ადა ნემსაძე და ასევე, ქალბატონი ნინო ხოფერიას „ვანლერ დაისელი ანტიტეატრი“. ორივე ეს მასალა თითქმის ამომწურავად ეუბნება სათქმელს გასული საუკუნის მოდერნიზაციის პოეტის ბიოგრაფიითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს, ზოგადად ქართული მწერლობის მოყვარულთ.

მწუხარებაში არ გამითენდა და დათმობილი აკვენსედი მისთვის... შენ დამიტოვებ, ძვირფასო დედა, პოეტი ბავშვი და პესიმისტი...

ვანლერ დაისელის ეს პოეტური სტრიქონები ავტორის ხელწერითვე წიგნის ბოლო ყდაზეა გამოტანილი, წიგნის ზედა ყდაზე გიორგი ჩინჩალაძის ნახატი

სამყაროს იმ ამღვრული ფერებით, ბედისწერამ რომ უბოძა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქართველ კაცს, ნახატზე თვალშისაცემი ნიღბი ფერი კი სიმბოლურად სისხლია, რომელიც მზის შუქით სავსე რეპრეზირებული რეჟიმის პოეტების გულიდან დაიღვარა.

2019 წელს მკვლევარ-შემდგენელმა რედაქტორის სტატუსით გამოსცა წიგნი „გადამტყდარი რკალი“, 2020 წელს მისივე რედაქტორობით გამოიცა „მოგონებები ნოდარ წულუისკირზე“, 2021 წელს – მომცრო კრებული „ეგვიხი“ და ბოლოს „თურმანი“, რომლის შემდგენელ-რედაქტორია ლევან ჟვანია და ჩვენ ამ გამოცემაზეც შევაჩერებთ ყურადღებას.

„თურმანის“ ავტორი, როგორც ვთქვით, ბასილ მელიქიშვილია, მისი სახელი გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში არნახულად აკაპკაშდა, მოდერნიზტულმა ლიტერატურამ და მისმა ძალიან ნიჭიერმა წარმომადგენელმა „მზისფერი მრავალფეროვნება შესძინა ეროვნულ ლიტერატურას“.

„მშვენიერი ენა აქვს ბასილ მელიქიშვილს. მშობლიური კუთხის კოლორიტულ მეტყველებაში ემზიანდა გაისმის „ქართლის ცხოვრების“, სახარების ხმა, გაზაფხულის ამღვრული და ადიდებული არაგვის ძახილი“ – ასე აფასებს გიორგი შატბერაშვილი ბასილ მელიქიშვილის მხატვრულ ენას და სრული პასუხისმგებლობით შემძლია ვთქვა, რომ ამ ერთ წინადადებაში შეკუმშული აზრი მომავალი მკვლევრის ხელში ერთ ვრცელ სამწერლო თემად გაიშლება“, – წერს წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი გააგრძალა შატბერაშვილი.

კრებულის შემდგენელ-რედაქტორებმა გააგრძალეს შატბერაშვილი და ლევან ჟვანიამ არაფერულბრივი სიზუსტითა და გემოვნებით მოუყარეს თავი ბასილ მელიქიშვილის პოეზიას, პროზას და პირად წერილებს. ამ ნაწარმებთან ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის სათაური „თურმანი“ წიგნის სახელწოდებად აქციეს.

წიგნში ასევე თავმოყრილია წერილები ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაზე, რომლის ავტორები არიან როსტომ ჩხეიძე, მარინა რევიშვილი, თამაზ ვასაძე, გიორგი შატბერაშვილი, ალექსანდრე

გომიშვილი, დავით მჭედლოური, ინგა მილორაფა. გააგრძალა ბასილ მელიქიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია.

წიგნის შესავალ ნაწილში დაბეჭდილია ქუჯი ძიძიშვილის, გიორგი შატბერაშვილის, სანდრო რაზიკაშვილის, ალექსანდრე გომიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის მცირე მოგონებები, რაც აშკარად მიანიშნებს მწერლის ღრმა აზროვნებასა და მხატვრულ გემოვნებაზე.

„მოთხრობები, მინიატურები, ლექსები, პირადი მიმოწერა“ – ეს ძალიან საინტერესო ლიტერატურული მასალაა, რომელსაც ყველა ქართველი შემოქმედი და ფილოლოგი უნდა იცნობდეს. ამ მშვენიერი კრებულის ნაკითხვა კი ქართული მხატვრული სიტყვის იმ „ეგზოტიკურ გარემოში“ შეგიყვანთ, რომელიც ჭეშმარიტად ალაფრთოვანებს ქართულ მხატვრულ სიტყვაზე შეყვარებულთ.

ლევან ჟვანიას კიდევ ერთი შემოქმედებითი ნაღვანია მომცრო კრებული სახელწოდებით „ეგვიხი“, რომლის რედაქტორიც ქალბატონი ადა ნემსაძეა. ეს წიგნი ცნობილ ქართველ ფოტოგრაფს ეგვიხი ჟვანიას ეძღვნება, კაცს, რომელიც საქართველოში სპორტული ფოტოს მამამთავრად უნდა მივიჩნიოთ. წიგნში მოცემულია ჩვენგან ნასული ამ შემოქმედის ბიოგრაფია, ფოტოები და მისი ფოტოარქივიდან ძალიან საინტერესო მასალები.

...ქვემო ქართლის შვიდი რაიონი, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობა – უამრავი სხვა რამ, რასაც ყოველდღიურად თავს ართმევს ლევან ჟვანია, ბუნებრივია, აჩენს კითხვას, როდის იცლის ის ლიტერატურულ-სამწერლო საქმისათვის. ამ შეკითხვაზე იგი მოკლედ უპასუხებს: – ეს ჩემი ცხოვრებაა.

პანტიანის ძველ სასაფლაოზე სუსხსა და ქარში ეძებდნენ გააგრძალა შატბერაშვილი და ლევან ჟვანია ბასილ მელიქიშვილის საფლავს, ხოლო, როდესაც მიაგნეს, იზრუნეს მისი შემოქმედების ერთად თავმოყრისა და გამოცემისათვის და ახლა განზრახული აქვთ, რომ ორბუთის საშუალო სკოლას ბასილ მელიქიშვილის სახელი ეწოდოს.

ლევან ჟვანია კვლავაც აგრძელებს, კვლავაც დაინყებულ ღირსეულ სახელთა აღმოჩენისათვის. წარმატებები ვუსურვოთ მას.

ლია მარტაშვილი



რეზო ზინაბიშვილი

# ლოგოსის დაუფლება

პაულ ცელანის პოეზიის თარგმანის გამო

ანტიმიმეტური პოეზიის თარგმანის პრაქტიკა თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ლიტერატურული სიბნელე თვითონვე განსაზღვრავს მისდამი მიმართების სპეციფიკას. სიბნელეში იგულისხმება ჯერ კიდევ XX საუკუნის გარდამავალი დაწყებული ევროპული ლექსის გარდაქმნის პროცესი, რომლის ძირითადი მახასიათებლებია სინამდვილისაგან განდგომა და განყენებულ იდეათა მხატვრული ტრანსფორმაცია, წარმოსახვითი სინამდვილისა და მხატვრული აბსტრაქციის ინტენსიურობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა პოეზიაში სუბიექტური სანყისისა და პოეტური ენის ინდივიდუალური სტილის მომქალაქებება. რიგითი მკითხველისთვის მხატვრული ნაწარმოები არსებობის უფლებას თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძალით ინარჩუნებს. ლექსის სასიცოცხლო ენერჯია მხატვრულობის ცნებაში კონცენტრირდება, ლალი ფანტაზიით შექმნილმა გონითმა ვარაუდობა და ირეალურმა ხატებმა კი პოეტური ფრაზა ერთობ ბუნდოვანი გახადა. ბუნდოვანია როგორც შინაარსი, ასევე სტილურ-ფორმალისტური საშუალებები. კლასიკური ესთეტიკისა და პოეტიკის უარყოფამ, ახლებური მხატვრული აზროვნებით განპირობებულმა პირობითობამ პოეტური შედეგების უმრავლესობა ტრადიციული, „წმინდა“ მხატვრული ასპექტისაგან განტვირთა და ენობრივი ხელოვნების ნიმუშად აქცია. შეიქმნა ზედაპირული შთაბეჭდილება, რომ ლექსმა დაკარგა კომუნიკაციური ფუნქცია, დაიკარგა გრძობადობის ის ელემენტი, რომელიც მან რეალობის განცდა უნდა დაბადოს; თითქოს აღარც ექსპრესიული მუხტია გადამდები; კითხვის ნიშნის ქვეშ დდდა ლექსის ესთეტიკური ღირებულება.

შესაბამისად ლექსი მრავალგანზომილებიანი დაკვირვების ფოკუსში მოექცა. საკმარისი აღარაა მისი ფილოსოფიურ-პერსონალური ტიპი და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაცია. სავადებულო გახდა მისი არა მარტო ზოგადენობრივი, არამედ ღრმა ლინგვისტური ანალიზი. სახეობრივი აზროვნების ახალმა სისტემამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ლექსის ვერსიფიკაციული არსენალი და ინოვაციებით გაამდიდრა ტრადიციული მეტრულ-რიტმული სტრუქტურა. თავჩენილმა სემიოტიკურმა აბსტრაქციამ თავის მხრივ ლექსის უკიდურესი პირობითობაც მოიტანა. შინაარსის ბუნდოვანებისა და ენობრივი ქსოვილის გაუმჭვირვალობის გამო ლექსის თემა ზედაპირზე აღარ იკითხება. სიუჟეტისაგან დაცლილი ლექსი სემანტიკურად და კომპოზიციურად ღარიბდება. სემანტიკური ფენისა და ტოპოლოგიური ჩარჩოს დესტრუქციამ ლექსის ცალკეული ენობრივი ერთეულების სემანტიკური დატვირთულობა მაქსიმალურად გაზარდა; ჩარჩოს უქონლობის გამო სალექსო ტაეპების უმრავლესობა ავტოსემანტიური გახდა. უკომპოზიციო ლექსში გახშირდა ფრაზებისა და სიტყვათა ატომიზირება, მათი დანაწევრება ცალკეულ მარცვლებად, რომელთაგანაც ზოგიერთი მხოლოდ აკუსტიკური გამოსახველობის უნარსა ინარჩუნებს. საჭირო ხდება ცალკეული კომპონენტების გამოყოფა.

მოდერნისტულ ლექსზე საუბრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზრი, რომ „პოეზია არსებობს მხოლოდ ენის უწყვეტი ქმნადობის ხარჯზე, რაც ენის სტრუქტურის, გრამატიკული წესებისა და სამეტყველო წესრიგის მსხვერველს უტოლდება“ (ლ. არაგონი, „ელიზას თვალის“ წინასიტყვაობა). ენისადმი მიძღვნილი მთარგმნელის ლექსისადმი კომპლექსური მიდგომის ვალდებულება დააკისრა. საკმარისი აღარ არის მხოლოდ მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ განზომილებებში გარკვევა, აქტიურდება მისი ლინგვისტიკური სიღრმეების კვლევის მოთხოვნაც. ამავე კონტექსტში იკითხება თარგმნის, როგორც სიღრმისეული ფილოლოგიურ-შემოქმედებითი საქმიანობის, ინტერდისციპლინარული ხასიათი.



\*\*\*

როგორც ნებისმიერი მხატვრული ტექსტი, ლექსი ახლა წარმოადგენს რთულ სემიოტიკურ ერთეულს, რის გამოც სტრუქტურალიზმის მიმდევრებმა ენის პოეტური ფუნქცია თამამად გამოყვეს პოეზიის ფარგლებიდან და მას ლინგვისტიკაში მიუჩინეს ადგილი. მათი თვალსაზრისით, ლექსი წარმოადგენს სტრუქტურაში განხორციელებულ იდეას, რომლის თვით უმნიშვნელო ფორმისეული და შინაარსისეული ელემენტიც კი მნიშვნელობის შემცველია და ერთიან კონტექსტში განიხილება. თანდათანობით განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ პოეტური სახეები და ცნებები არსებობენ არა იზოლირებულად ანდა მექანიკური ურთიერთკავშირის საფუძველზე, არამედ ხდება ურთიერთშეღწევა, რადგან სიტყვა კონტექსტში ცოცხლობს და ლექსიც კომპლექსურად აწყობილი აზრის ფენომენია. მავანი იტყვის, რომ მთარგმნელი არასოდეს თარგმნის წინადადებას იზოლირებულად, რომ საზრისის ძიებაში ის მუდამ ტექსტის მთლიანობიდან ამოდის. მაგრამ ინტუიტიურად მიგნებული ეს ტექსტური ტექსტის ლინგვისტიკამ უტყუარა კანონზომიერების სახით წარმოაჩინა-გაირღვა წინადადების საზღვრები და კვლევა ზეფრაზული ერთეულებისაკენ წარიმართა. ენის მიმართებითი ფუნქციის გამოკვეთამ განაპირობა ასევე გარღვევა გრამატიკაში. პრალის სკოლის წარმომადგენლებმა ტრადიციული, ფორმალურ-ლოგიკური სინტაქსი აქტუალურ, კომუნიკაციურ-ფუნქციონალურ სინტაქსს დაუპირისპირეს: წინადადება ახლა დაიყოფა არა ლოგიკაზე დაფუძნებულ გრამატიკულ ერთეულებად, არამედ მხოლოდ ორ წევრად – თემად და რემად, რომელთა ურთიერთკავშირი და, საერთოდ, ენობრივი ერთეულების გამოყენება სიტუაციასთან დინამიურ მიმართებაში მოიაზრება.

ასეთ ვითარებაში გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს ლექსის ინტერპრეტაციის საკითხი, რამდენადაც მთარგმნელს თვითონ უხდება სემანტიკური დასკვნების გამოტანა. ის ხდება ინტერპრეტატორი, რაც ლექსის კვლევის ახალ საფეხურს მოასწავებს. ინტერპრეტაციის ძირითადი ორიენტირი ხდება ლექსის საზრისის ამოცნობა, რადგანაც ენობრივი გამოხატულების ელემენტები მხოლოდ საზრისის კონსტრუირების საშუალებას წარმოადგენენ. მთარგმნელი თვითონ უნდა გაერკვეს ლექსის ინტერნალ მოდელში, აღიქვას მისი სტრუქტურა და შემადგენელი კომპონენტები, დაადგინოს მათი მიმართებები და უწყვეტი. ამრიგად, ტრადიციული კომუნიკაციური მოდელი: კომუნიკატორი (ავტორი) – ტექსტი – კომუნიკანტი (მკითხველი, მთარგმნელი) იხვეწება იმ მოსაზრებით, რომ ახლა თავად ტექსტი ხდება კომუნიკატორის სუბსტიტუტი, მთარგმნელს კი ინტერპრეტატორის ფუნქციაც ეკისრება.

\*\*\*

როგორც რეაქცია II მსოფლიო ომზე და ფაშისტური ანტიჰუმანური დამოკიდებულებაზე ებრაელთა მიმართ პაულ ცელანის (1920-1970) პოეზია ამ ტრავმული ეპოქის სრული ანარეკლია. სუბიექტურ-ალსარებითი ელემენტების შემცველი მისი პოეზია გამსჭვალულია ღრმა კაემანით განპირობებული ელემენტურ-მელანქოლიური ტონალობით. ტრავმული განცდით შეფერილი რეფლექსიები, განსჯები, მედიტაციები, თვალთა და ყურით აღქმულ შთაბეჭდილებებზე და შინაგან ხილვებზე აგე-

ბული პოეტური სტრიქონები მაქსიმალური სიმძაფრით ამჟღავნებენ იდენტურობას ყოფიერებასა და სიტყვას შორის. ეს თითქოს პოეტური დასტურია მარტინ ჰაიდეგერის ცნობილი ფრაზისა „ენა ყოფიერების სახლია“, თუმცა პ. ცელანის პოეზიასთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩინა ლუდვიგ ვიტგენშტაინის გამოთქმა – „ჩემი ენის საზღვრები ჩემივე სამყაროს საზღვრებია“ („Die Grenzen meiner Sprache bedeuten die Grenzen meiner Welt“, Ludwig Wittgenstein, Schriften, Bd.1, Frankfurt a.M. 1960, S.64), რამდენადაც ვიტგენშტაინი გულისხმობს ენას მისი უვრცესი განფენილობით; არა მარტო მის მიმართებას მეტყველებისა და სიტყვათა მარაგთან, მის მიმართებას მეტყველების აქტების წარმოქმნასთან, არამედ მის მიმართებას აზროვნებისა და აღქმის უნართან. მასთან მნიშვნელოვანია ენისა და ცნობიერების (ინტელექტის, გონის) ურთიერთგამსჭვალვის საკითხი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „გონი მთლად ენადაა ქცეული“, თუმცა ბევრი რამ ნაგულისხმევი და მინიშნებულია. საგანთა და მოვლენათა უკიდურესად სუბიექტური, ცელანისეული ხედვა ლექსებს მრავალმნიშვნელოვანს ხდის. მის კონკრეტულ პოეტურ ხატებს კიდევ უფრო ართულენენ მისივე ფილოსოფიური მედიტაციები, ჩახლართული და გაუმჭვირვალე სიმბოლოები, საგანთჭვრეტის უკიდურესი სუბიექტივიზმი, რის გამოც საჭირო ხდება გარკვეული წინარე ცოდნის მოშველიება.

პ. ცელანის ლექსში იკითხება მთელი ენის აგებულება – ლექსიკა, სიტყვათმარობა, ფორმათქმნადობა, შესიტყვება. საჭიროა დაგაკვირდეთ შინაარსულ კომპლექსებს, მათ გამომსახველ ფორმებს, რათა შევძლოთ დავადგინოთ, რომელი შინაარსია უფრო მნიშვნელოვანი და მხოლოდ თანდათანობით ჩავნვდეთ ლექსის არსს. მისი ლექსების აზრით სფერო ერთდროულად უკავშირდება შინაარსობრივ, საგნობრივ და ბგერისმიერ ასპექტებს. ხანდახან სიტყვისაგან მხოლოდ ცალკეული ბგერითი კომპლექსები რჩება, ისე, როგორც შესიტყვებაში „თოვლის სიღრმეში“: „Tiefenschnee, -lefnnee, \_l-i-e“. შინაარსი, ძირითადად, მყარი არ არის და დანაწევრებულია შემადგენელ ელემენტებად.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პ. ცელანის ენა არ ემორჩილება გერმანული პოეტური ენის ხატოვანებას და ხშირად ტრადიციასაც უპირისპირდება (Hauptwerke der dt. Lit-ur, Bd.2. Kindlers Neues Lit.lexikon, 1994, S.582). ნიმუშად მოხმობილია გოეთეს უკვდავი საპროგრამო სტრიქონი „Gedichte sind gemalte Fensterscheiben“ – „ლექსებს მე ვადრი ეკლესიის ვიტრაჟებს ფერადს!“ (თარგმანი კ.ხ. გამსახურდიასი: ვიტრაჟები, XIX და XX საუკუნეების გერმანული პოეზიიდან. „საარი“, 2002, გვ. 7). პ. ცელანის ფრაზა შემდგენიარად უღერს: „Umsonst malst du Herzen ans Fenster. Der Herzog der Stille/wirbt unten im Schloßhof Soldaten“ – „ტყუილად ხატავ გულებს მინაზე: მდუმარების დიდი რაინდი/ჯარისკაცებს უხმობს უკვე კოშკის ეზოში“ (თარგმანი ზვიდ რატიანისა). პ. ცელანის სტრიქონები და ფრაზები აგებული არიან, ასევე, ცალკეული სინტაქსური ნაწილების სახით, რომელთაგან ბევრი გარკვეულ კომპლექსურ სიდიდეს წარმოადგენს. მათი გაცნობიერება და ერთმანეთთან დაკავშირება საკმაოდ ძნელია. ხშირად თვით ცალკეულ სიტყვებსაც სინტაქსურად დამატებითი განსაზღვრულობა ენიჭება; ის ცილდება სიტყვის „საგნობრიობას“ და მთელი წინადადების „სიტუაციურობაზე“ მიანიშნებს. ამდენად, ისინი არიან დანაწევრებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მთლიან ტექსტში იყრიან თავს. მისი ფრაზა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს გონითი ქმნადობის ფორმას, რის გამოც საჭირო ხდება მათი „შინაარსად“ გაცნობიერება. ბევრ ლექსში ნამდვილი „სუბიექტი“ არ ჩანს და მის ადგილს იკავებს „სუბსტანციური სუბიექტი“. ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ პ. ცელანის სიტყვისადმი დამოკიდებულება არის გერმანული ენის შესაძლებლობების განვრცობა ყველა განზომილებით, მათ შორის საპირისპირო მიმართულებითაც. გერმანული სიტყვა მასთან უკიდურეს გარდასახვას განიცდის. ეს არის ცხადი თუ მარტოოდენ პოეტის თვალთა და ყურით მიგნებული ხატები, რომლებიც ავტორისეული ინტენციის შესაბამისად წარმართავენ მკითხველის წარმოსახვას. ასევე,

მიჩნეულია, რომ მეორე ენის ცელანისეული ვის მეორეულია, თუმცა, რაც შემთხვევითი (როგორც ამ კრებულში), მაინც ვახდებ რიტმულ-მელოდიური ელემენტები. ეს არის ის საინტერესო შიდა რითმები, რომლებიც მისი პოეზიის ნაშევანი სახეობის, ვერლიბრის გონით და გრძობად მთლიანობას გამოხატავენ. ამ სახით იკვეთება პ. ცელანის სულიერი გამოცდილების საფუძველზე ამოზრდილი ინდივიდუალური მეტყველება, თუმცა მასთან სახეზე არა მარტო საკუთარ ფსიქიკურ განცდაზე დაკვირვება, არამედ მასში ეპოქისათვის დამახასიათებელი საერთოს პოვნა და მისი ენაში ტრანსპონირება. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ასეთი სინთეზით აღწევს პოეტი თავისი „სინამდვილის“ დამკვიდრებას მკითხველის ცნობიერებაში. მართალია, მისი მეტყველება ყოველთვის არ ემთხვევა საგანთა და მოვლენათა ონტიურ სიცხადეს, მაგრამ ეს პოეტის რეალობაა, პოეტისეული „ხილული“ სამყაროს შესაქმე.

\*\*\*


„გამონასკვა თაიგული უშავესი ფოთლებისგან მახლობლად აკრის. მივაჭენებდი შავ ბედაურს და შიშველი სატყვართი სიკვდილს ვზარავდი. ხის თასებიდან ვსვამდი ნაცარს, ამოხაპულს ჩაფერფლილი წყაროდან აკრის. ცის ნანგრევებში მივინევი და სახეზე დაშვებული მქონდა ზარადი.“

ანგელოზები მომკვდარიყვენ და ბრმა იყო უკვე ღმერთიც მახლობლად აკრის. არავინ ჩანდა – მანუგემოს, მათგან, ვინც აქ დადიოდა მდუმარ ლანდებდა. ორად გაიხო მთვარის დისკო, პატარა და უნედლესი ყვავილი აკრის. ხელისთითები გაიხლართნენ ჟანგმოდებულ ბეჭდებშორის ეკალბარდებდა.

და მეც დავემხე, ვეამბორე, როგორც მცველი და მლოცველი სინმინდეს აკრის. ღამეს აბჯარი გარღვეოდა და შესხნილი საკონიდან მოინავდა სისხლი. მე კი, მოლიმარ ძმად ქცეული, უკვე რკინის ქერუბში ვიყავი აკრის. ამოვიძახე კვლავ სახელი და ვიგრძენი, ამიალდნენ ღანვები რისხვით.“

მაღალმხატვრულობა, როგორც ლექსის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი, მის თარგმნელ ვარიანტსაც თანაბრად მოეთხოვება. ამის საუკეთესო მაგალითია ჩვენ მიერ წარმოდგენილი, პ. ცელანის ერთ-ერთი საპროგრამო ლექსი „სიმღერა უდაბნოში“. იგი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მთარგმნელმა ზვიად რატიანმა მისი სათაური კრებულის საერთო სათაურად გამოიტანა. ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით ძნელი არ არის მთარგმნელის ინტენციის განსაზღვრა. კრებულში იგი თავს უყრის პ. ცელანის მიერ სხვადასხვა ნაშევში შექმნილ და სხვადასხვა კრებულებში გამოქვეყნებულ, სიმარტოვისა და მიუსაფრობის თემატიკით გაერთიანებულ ლექსებს. ისინი გაგებული უნდა იქნენ, როგორც უთვალავ სპექტრად დამოდილი ინდივიდუალური „მე“-ს ძახილი, ავტორის უკიდურესი სუბიექტური შეგრძნებების კომპლექსი, რომელიც კიდევ უფრო მძიმდება ტრაგიკულ შთაბეჭდილებათა ასოციაციური სისტემით. უდაბნო არის პოეტის მსოფლიოებისა და წარმოდგენილი ლექსების კონცენტრი. ამდენად, სათაური შეგიძლია განვიხილოთ უფრო ფართო ფილოლოგიურ კონტექსტში და განვსაზღვროთ როგორც ტექსტმა, ტექსტის ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ცნება, რომელიც გულისხმობს ტექსტის გარკვეული ტიპისა თუ კლასის სემანტიკურ საბაზო სტრუქტურას. ის იძენს ტექსტის მთლიანი მენტალური ერთეულის ფუნქციას და წარმოადგენს კრებულის საზრისის განმსაზღვრელს. თვალსაჩინოებისთვის დამატებით ნიმუშად შეგიძლია დავასახელოთ ესქატოლოგიური შინაარსის ლექსები, რომელთა ქვეტექსტები შეიძლება იყოს ცოდვით დაცემა და სულის მატერიალურ სამყაროში დაკვება, სინანული და გამოსყიდვა, ჯოჯოხეთში შთასვლა და აღდგომა, სამოთხის დაკარგვა და მისი კვლავ დაბრუნება. ამ ბიბლიური არქეტიპებისათვის ტექსტების ინტენციად შეიძლება წარმოვიდგინოთ კაცობრიობის სულის თავგადასავლის მხატვრული გარდასახვა.

►► დასასრული იქნება



# სიზოხლის სავა ლიტერატურა



ელდარ კერძევაძე - 80

ელდარ კერძევაძე - პოეტი, ჟურნალისტი, პოეტური კრებულების ავტორი; ცნობილი სახელი 1970-80-იანი წლების მკითხველებისთვის.

დაიბადა 1942 წლის 7 იანვარს თიანეთის რაიონის სოფელ საყარაულაში.

1955 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის №3 საშუალო სკოლა. 1961 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. იმავე წელს გაიწვიეს არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1970 წელს.

1970 წლიდან 1980 წლის 20 ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადი-

ომუნელობის მხატვრულ გადაცემათა მთავარი რედაქციის რედაქტორად, შემდეგ კი ამავე რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად.

ლიტერატურულ მოღვაწეობას 1960 წლიდან ეწეოდა. ელდარ კერძევაძის ლექსები რეგულარულად ქვეყნდებოდა ქართულ ლიტერატურულ პრესაში, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალებში - „ცისკარი“ და „მნათობი“. მისი ნაწარმოებები ითარგმნებოდა უცხოურ ენებზე. ელდარ კერძევაძე 1991 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

გაზეთი „ახალგაზრდა ივრელი“ 1991 წლის 16 თებერვლის ნომერში წერდა: „ქართველ მწერალთა ოჯახს გამოაკლდა ერთი ჭეშმარიტი პოეტი, კაცი, რომელმაც უნილბოდ გაატარა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე რეალურ ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც. მისი ცხოვრების დასასრულიც ადასტურებს იმას, თუ როგორი იყო ელდარ კერძევაძე. უგულუო კაცები გულით არ კვებდნენ. ელდარ კერძევაძეს კი სწორედ გულმა უმტყუნა... უდარდელი კაცის იური დადიოდა. სიკვდილთანაც კი შეთამამებული იყო. მხოლოდ ხანდახან თუ გაამხელდნენ მისი ლექსები პოეტის სევდასა და ზოგჯერ უკიდურესობამდე მისულ სასოწარკვეთას. სწორედ დღეს სჭირდებოდა საქართველოს მისნაირი, მოყვასისთვის სიკეთის უშურველად გამლბედი, უღალატო, თავგანწირული, თავისი ქვეყნის მოყვარე და მისი მომავლის მოიხედე კაცი. სამწუხაროდ, არ დასცალდა. ნუგეშად მხოლოდ მისი შემოქმედება რჩება, რომელსაც კვლავაც

მრავალ წელს ინტერესით გაცნობა ქართველი მკითხველი“.

ალექსი რობაქიძე გაზეთ „ნიგნის სამყაროში“ წერდა: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ე. კერძევაძის ლექსებში ასახული პოეტური სამყარო არ არის „უმიზეზო სევდით“ დამძიმებული. სევდის მიზეზი თითქმის ყოველთვის ცნობილია და ამიტომ მინორული სულისკვეთების მაღნეველ განცდებს მალევე ცვლის სიხარულითა და იმედის რწმენით ნასაზრდოები განწყობილება“.

ელდარს, როგორც პოეტსა და შემოქმედებითი იდეებით სავსე კაცს, თავისებური ხასიათი ჰქონდა. თავისნება, ჯიუტი, თვითრწული იყო, მეგობრები იხსენებენ. ერთ-ერთი მათგანი, ნოდარ შანიძე წერს: „უამ-უამად ეს თვითრწულიც ცდილობდა „გამოსწორებას“, მუულებს უჯვრებდა, შინიდან აღარ გადიოდა და რაც შეუქმნია, სწორედ ისეთ დღეებშია დაწერილი.“

ნიგნები, ყვავილები, ჭიჭა ჩაი, მზიანი დილა, მაგიდაზე ლოპე დე ვეგას „დანამაული არ არის სასჯელი“ - მისი უკანასკნელი საქმე. თარგმნა დაუგვი იანდა, წინასწარ აღებული ჰონორარი დახარჯული ჰქონდა, ხოლო თამაზ ბაძაღუა ყოველი შეხვედრისას შეახსენებდა: „ბატონო ლეილა, როდის თარგმნის ნიგნს?“ („ლეილა“ მისი მეტსახელი იყო).

მაგონდება, ცალკე ცხოვრებაზე ფიქრიც დაიწყო, მეტი ხალვათობა მოენატრა. სამუშაო პირობების უქონლობა მოიჩივლა, თუმცა 1980 წლიდან მხოლოდ ლიტერატურული

მოღვაწე იყო, მაგრამ პოეტი, აღარ-სად მსახურობდა“.

ელდარ კერძევაძის სახასიათო პორტრეტულ შტრიხებს გვთავაზობს ემზარ კვიციანი: „თავის ლიტერატურულ ესკიზებში: „ელდარ კერძევაძესთან არ მქონია ახლო ურთიერთობა, მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ კეთილი სალაში და თანადგომა, როცა სჭირდებოდა, არასოდეს დამიშურებია, ლექსებსაც გვარიანს წერდა და რასაც აქვეყნებდა, ყოველთვის ყურადღებით ვკითხულობდი.“

თავის თავს იგი, რატომღაც, ლეილას ეძახდა (არ ვიცი, ვინ დაარქვა ეს მეტსახელი ან რას ნიშნავს), ხოლო ზოგჯერ ხუმრობით ხარლამპიჩად მოიხსენიებდნენ. ამაზე ეცინებოდა, არ სწყინდა.

სილარიბისგან დალდასმულს, ერთგვარი პირქუში შესახებაობა ჰქონდა, უკმაყოფილება ეკერა სახეზე, სქელ წარბებზემოდან უნდოდ გიყურებდა და რაღაცით ნააგავდა პიტლერის თანამებრძოლს, მიუნხენის პერიოდის ახალგაზრდა რუდოლფ ჰესსს, ინგლისელების ხელში მოხვედრილ, სამუდამო პატიმრობაში აღსრულებულ სამხედრო დამნაშავეს, თუმცა დამავეებით არც ვინმესთვის და არც სახელმწიფოსთვის არაფერი დაუშავებია...“

ელდარ კერძევაძეს აქვს ერთი ძალზე თავისებური და შთამბეჭდავი პატარა ლექსი, რომელიც, სამწუხაროდ, მის მინიატურულ გამოცემაში არ შეუტანიათ. ლექსის შინაარსი ყოფითი და რამდენადმე მარტივია, თუმცა, კარგად გადმოგვცემს ავტორის მოურიდებელ პირდაპირობას, უტყხ ხასიათს. იგი ალესილი სამართლებით პირს იპარსავს, ნელ-ნელა იშორებს ნიკაპსა და ყბებზე ნილბივით შემოვლ-

ბულ, აღრმინს წამში აფრებულ ქაფს, დაშრულ ხარკუში-სარკას-ტულაზე იმზრება და ლექსს სატ მოულოდნელად ამთავრებს: „გამოჩნდა ჩემი სამინე სახე“. მწარედ, ტკივილიანად არის ნათქვამი და თანაც მკაცრად, შეულამაზელად მონოდებული, დაუნდობელი სიმართლეა (ამ დროს იგი ხშირად ავადმყოფობდა).

ბუნებრივად ჩნდება სურვილი - გულდაგულ გადაიხიწვოს ელდარ კერძევაძის არქივი, შეგროვდეს, რაც მის ნაცნობ-მეგობრებშია გაფრებულ, დალაგდეს და გამოიცეს მისი უფრო სრული და მნიშვნელოვანი რჩეული, რათა ქართული პოეზიის მოყვარულებს საშუალება მიეცეთ, გაისიგრძეგანონ უილბოდ ცხოვრებაგარულებული, ადრე ნასული კაცის“ მართალი შემოქმედება“.

ერთხელ, როდესაც რეზო ჭეიშვილმა სახელმწიფო პრემია მიიღო ფილმ „ცისფერი მთების“ სცენარისათვის, ელდარ კერძევაძემ მას ლექსი მიუძღვნა. ლექსში, აღფრთოვანებული, განადიდებს მეგობარს და დანანებით წერს: „აფსუს რა დროს არ ვსვამ, თვარა კი ვიზამდი ჩემებრ ლეილურს“.

ლეილური ელდარ კერძევაძემ მიიღო ვასნა, მიიწვ ქნა თავისებური - და, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მისი პოეტური შემოქმედება, რომელიც დღეს უკვე ითხოვს ყურადღებას, რადგან პოეზიის მოყვარულთა ახალი თაობები არ იცნობენ მის ლექსებს, ძველი თაობის მკითხველებსაც სჭირდებოდა ნაცნობი სახელის, ნაცნობი მოტივების შესხენება, ამიტომ მართლაც დროა, გამოიცეს ახალი, სრული კრებული ამ ადრე ნასული პოეტისა, მით უმეტეს, შესრულდა მისი დაბადებიდან 80 წელი.

# ავთო ხარაიშვილი - მოყვასი ჩემი!

სოხუმიდან თბილისში გალაკტიონის სანახავად ჩამოვიდა. არცერთ პოეტს არა ქვს იმხელა თავგადასავალი გალაკტიონს რომ აქვს - ამბობდა.

მერე უნივერსიტეტში ჩააბარა. თუ მიესალმებოდი, ასე გიპასუხებდა: ჰაილ გიტლერ! ფაშისტი შეარქვეს. სიტყვა „ფაშისტი“ ნუ შეგვაცბუნებს.

საჯარო ბიბლიოთეკა არ იცოდა, სად მდებარეობდა. ელდარ კერძევაძემ ასწავლა. მიიყვანა, ბიბლიოთეკარ ქალბატონს გააცნო და უთხრა: ამას გებელსის დღიურები ნაკითხეთო.

მის ბინაში პირდაპირ ტროტუარიდან შედიოდი. ეს ბინა მას ირაკლი აბაშიძემ მისცა. რომ შევიდა, კედლიდან ცხენის ოთხი მისაბმელი ჩამოსხნა. ჩანდა, ოდესღაც თავლა ყოფილიყო.

ამ ბინასთან იგი მისტიკურ კავშირში იყო, როგორც აბორიგენი თავის ტოტემთან.

ბაასობდა გარდაცვლილ მეგობრებთან, მიცვალებულებთან. ასე კაცი მაინც იქნებოდა იქ ნამყოფი და ცოცხალი აღარავინაა. უნდა გავყიდო და გადავიდეო. ვერ გაყიდა. იმ ბინაში დამთავრდა.

„მურმან ლებანიძე კარტს თამაშობდა ხოლმე ჩემთან. მე არ ვთამაშობდი. მომიტანდნენ ლენინს. თავად თამაშობდნენ. მურმანი იგებდა და მერე, გამთენიისას უბრუნებდა ფულს ნაგებულებს. ნადით, ხაში ჭამეთო, ეპ, რა ხალხი იყო?“

ლექსი მაინც სულიერად სიმართლევია. ლექსი და ოჯახი ერთად არ არსებობს. მე ვერ ავიტანე დისშვილები და ძმისშვილები რომ იყვნენ ჩემთან სახლში, ეს ვერ ავიტანე. ერთი ვირთხა მყავდა, ისიც წავიდა“.

81 წელს, ბრეჟნევი რომ მოკვდა, კიროვის ქუჩაზე მწვანე მალაზიაში ხახვი იყიდებოდა. ერთმა გაჭირვებულმა ქალმა იკითხა, როდემდე იქნება ამ ხახვზე რიგო? ავთომ უპასუხა: სანამ ლენინის მძორი ეგდება მაგზოლუუმშიო. მდგარა იქ ვილაც ვირთხა და...



არავინ მითხრა, არც ჯანსუღმა მითხრა, მარტო ირაკლიმ მითხრა.

გაგსკვანჩავენ შენ! შენც სუ, მეც სუ! მე გეტყვი-მეთქი ხო, ეპ არიო.

ილია ბარამიძემ მომასმენინა მერე ის ჩანანერი. პროლეტარებო კი არა - ყოლეტარებო!

„ვილბები ნოდარ, ვილბები,“ - მითხრა ერთხელ. ავდივარ ფუნქულიორზე და ჩამოვდივარ. ახლა სპორტი-ულბები უნდა ვიყიდო, ბოტასები და უნდა ვიარო. აქ შენთან რომ ამოვდიოდი ფეხით, დავილაღე.

გუშინ სამი კვერცხი ვიყიდე (ორი ჩემი მქონდა) ღვინო ავიღე და გავათენე, რაფერც იქნა. ღვინის სული მიდგას“.

კარგი პოეტი იყო გოგია კაპანაძე. ჩემთან ნამყოფია სახლში. რომ ამოდიოდა ლენინის მოედანზე მეტროში, ვილაცამ ჰკითხა: სად არის თავისუფლების მოედანიო. ამან მიუგო: თავისუფლების მოედანი კი არა, თავისუფლების დედისტყენის მოედანიო. იმ კაცმა გადაინერა პირჯვარი და გაერიდა.

მაგას ჩამოჰქონდა ხოლმე კრახუნა ღვინო. ასე მეუბნებოდა: ნელა დალიე ღვინო, ნელა ჩაასხი გვამსო, რომ გაიგო გემოო.

ზესტაფონშია დასაფლავებული, მისი ფსევდონიმი კორნაპელი იყო, კორნაპელის მთაზეა მისი ობოლი საფლავი.

გულდა და კარლო კალაძეები ღიპიანები იყვნენ. ნარდს რომ თამაშობდნენ, ვერ იღებდნენ კამათელს, თუკი გადაუვარდებოდათ. ეძახდნენ გულიკოს და ის იღებდა იატაკზე დავარდნილ კამათელს. თხელი ქალი იყო.

სულ ხელმოკლე იყო. ბოჩოლასავით იმზირებოდა. არც მოკვდავი და არც უკვდავი. მაგრამ მუდამ გულითადი და გესლიანი. გულმხიარული. გარკვეულწილად შურისმაძიებელიც. პირველი ხარისხის მეცნიერები ნაიყვანეს ამერიკელებმა და მეორე ხარისხის მეცნიერები ნამოიყვანეს რუსებმა.

სვანები მართლები არიან, ქალებს რომ არ ამღერებენ. ქალი რომ მღერის, ეგაა უბედურება. ბებიაჩემის სიმღერა არ მახსოვს. იავნანას გარდა არაფერი არ უნდა იმღეროს ქალმა. გურულებიც, სხვათაშორის, არც ისინი ამღერებენ ქალს.

დედალი ბულბული არ გალობს, იმიტომ, რომ მაგის საქმე არაა. ცოცხალ ურღვეობადაა ჩვენს წინაშე ლექსი დედაზე:

შენ ახლა დგებარ სამოთხის კართან და გზას გილოცავს თავად მესია; რა დამრჩენია ამ ლექსის გარდა, ჩემთვის სიკეთე რაც გითესია.

ტანჯვა-წვალების, ვაი-ვაების, თმაში ნისლეტი შემოგესია.

მახსოვს, რამაზ პატარიძესთან შევარიგე. შეჩქვიფთდნენ, ხოლო, როცა რამაზის ბინას ვტოვებდით, გალაკტიონის სამსტროფიან ლექსის მაინცდამაინც ეს უპულები ამოიჩემა ორმა ბერიკაცმა:

სადაც უნდა შევიარო, ღვინოს დამაძალებენ, მწუხარება ვერ დავფარო; ღვინოს დააბრალებენ!

გამოთქმით, თითქოს დაფინებით, ერთმანეთს ეუბნებოდნენ და ემოციით ქვაფენილზე მარჯვენა ფეხებს აბაკუნებდნენ.

კვალად დავხვრებთ რქანითელს. სხვა, უცხო მზისქვე-შეთში შეხვედრამდე, ჩემო ავთო!

ნოდარ შანიძე 21 დეკემბერი 2021 წელი

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**  
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრეველი**  
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დავითაშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გალა გველსიანი, გიორგი ბარბაქაძე**  
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862  
**ბაბოღის პარასემოზი**  
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში  
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806  
9 771987 980005